საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელა

№165 (12 235)

16 ივლისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

კურტანიძე-გოგშელიძე: დაპირისპირება გრძელდება!

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა სპორტიდან წასვლა გადაიფიქრა

კობა ხატისაშვილი

ამ უქმეებზე, თბილისის "ქარიშხალას" სპორტკომპლექსმა ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას ტურნირებს უმასპინძლა.

როგორც იცით, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ლუკა კურტანიძე** სწორედ ამ შეჯიბრებაზე უნდა გაეცილებინათ ჭიდაობიდან. თუმცა ჯერ კიდევ ტურნირის წინადღეს გაცხადდა, რომ კურტანიძემ გადაწყვეტილება შეცვალა და აგრძელებს ბრძოლას პეკინის ოლიმპიადაზე მოსახვედრად.

96 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მოუთმენლად ელოდა ორი მსოფლიო ჩემპიონის - ლუკა კურტანიძისა და გიორგი გოგშელიძის დაპირისპირებას. კურტანიძის გადაწყვეტილების შემდეგ ამ ბრძოლის ფასი გაათმაგდა.

ამ დუელის ნახვაზე ქართველი გულშემატკივარი დიდ ხანია ოცნებობდა, მაგრამ გუშინდლამდე არ მისცემია მისი ხილვის ბედნიერება. ლუკამაც და გიორგიმაც მთელი ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარეს. ფინალამდე, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეტოქეების გამასხარავებაში - ხან ჭედილასავით მოიკიდებდნენ კისერზე მოწინააღმდეგეს და ბეჭებზე აგდებდნენ, ხანაც სხვადასხვა ლამაზი ილეთის კასკადს ატარებდნენ...

ფინალი კი გვარიანად დაძაბული აღმოჩნდა. ორი ტიტანის დაძაბულ ორთაბრძოლაში, ვერც კურტანიძემ და ვერც გოგშელიძემ, ძირითად დროში ქულა ვერ გააკეთა. მონეტის აგდებისას კი, იღბალმა ორივე პერიოდში გოგშელიძეს გადმოხედა, რომელმაც ფორტუნის წყალობა ხელიდან არ გაუშვა და უშუალო კონკურენტს თითო მომგებიანი ქულით მოუგო.

13



ფინალში გიორგი გოგშელიძემ (მარცხნივ) მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ქართულ ჩოგბურთში სკანდალია

გადავირჩიოთ პრეზიდენტი და გამგეობა!

გუშინ, რედაქციაში ჩოგბურთის ფედერაციის წევრთა ერთი ნაწილის განცხადება შემოვიდა. ისინი 31 ივლისს ფედერაციის რიგგარეშე კრების მოწვევას ითხოვენ. დღის წესრიგში იქნება ფედერაციის პრეზიდენტის, ლეილა მესხისა და გამგეობის უფლებამოსილების შეწყვეტა და ახალი პრეზიდენტისა და გამგეობის არჩევა. მიზეზებად ქართულ ჩოგბურთში შექმნილი საგანგაშო ვითარება მოჰყავთ.

განცხადებას მე-14 გვერდზე იხილავთ.

ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი ამჟამად იმყოფება ერევანში, სადაც საერთაშორისო ტურნირის დირექტორი გახლავთ. აუცილებლობად ვცანით დაკავშირებოდით მას და კომენტარი გვეთხოვა.

ლეილა მესხი

დავით ლანჩავა

- გენერალურმა მდივანმა, ზურაბ ქაცარავამ რამდენიმე წუთის წინ მომანოდა ეს ინფორმაცია და ნერილსაც გამაცნო. გაოგნებული და შეურაცხყოფილი ვარ ასეთი ქმედებით. ჯერ ერთი, უნესობად მივიჩნევ იმას, რომ ასეთი ნაბიჯი იდგმება მაშინ, როცა მე თბილისში არ ვარ, არ ვეთანხმები განცხადებაში მოყვანილ არცერთ პუნქტს, განსაკუთრებით იმ ნაწილს, სადაც კრების მოწვევის მიზეზებზეა საუბარი.

ქართულ ჩოგბურთში ძალიან ბევრი რამ გამიკეთებია და დღესაც ვაკეთებ. სამინისტრომ და დეპარტამენტმა ჩოგბურთის ფედერაცია ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ფედერაციად აღიარეს და ყოველწლიურად გვიზრდის სახელმწიფო დაფინანსებას. ამას გარდა, სპონსორების ნაკლებობასაც არ განვიცდით და თვალსაჩინოებისთვის იმ ტურნირების და ღონისძიებების გახსენებაა საჭირო, რომელიც ჩვენს კორტებზე გამართულა.

მთავარი კი ის არის, რომ რიგგარეშე კრების მოწვევა და პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნა მაშინ არის სამართლებრივად სწორი, როდესაც ფედერაციაში ფორსმაჟორული სიტუაციაა. ასეთი რამ კი ჩვენთან ნამდვილად არ ხდება.

- ორშაბათს, 13 საათზე, კომპანია "ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტი დავით ლანჩავა ამ საკითხზე პრესკონფერენციას მართავს. ხომ არ ფიქრობთ, რომ დროზე ადრე დაბრუნდეთ თბილისში?

- არავითარ შემთხვევაში. აქ საქმე მაქვს და ბოლომდე უნდა მივიყვანო. თბილისში კვირას ჩამოვალ და მეორე დღესვე მოვიწვევ მასმედიის წარმომადგენლებს. ნამდვილად არ ვაპირებ ვილაც დილეტანტების გულისთვის ტურნირი მივატოვო, ამავე დილეტანტებს არც ქართულ ჩოგბურთში დავუთმობ რამეს.

- ვის გულისხმობთ?

- ბატონ დავით ლანჩავას. ის გახლავთ ამ საქმის მოთავე. სხვათა შორის, ერთი სკანდალური ინფორმაცია მსურს მოგაწოდოთ: იმ შეხვედრაზე, სადაც ეს განცხადება მზადდებოდა, ბატონი ზურაბ ქაცარავა, ფედერაციის გენერალური მდივანიც იყო მიწვეული. სულ 8 კაცი თათბირობდა. ბატონმა ზურაბმა იკითხა - ცოტა უხერხული და არაკორექტული ხომ არ არის ასეთი განცხადებების გაკეთება, როცა ფედერაციის პრეზიდენტი საქართველოში არ იმყოფებაო; მოვუცადოთ, ჩამოვიდეს და მოლაპარაკების მაგიდას შემდეგ მივუსხდეთო. ამ წინადადებაზე ბატონმა დავით ლანჩავამ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

- მე ზემოდან, ხელისუფლებიდან მაქვს დავალებული ლეილა მესხის ქართული ჩოგბურთიდან მოშორება და ამას გავაკეთებო. ლეილა მესხს დავით ლანჩავას მოსაცილებელი არაფერი სჭირს და არც სახელმწიფო დააავალებდა მას ასეთი რამის გაკეთებას. მე ჩემი თავის მწამს და სახელმწიფოს მხარდაჭერისაც.

ბატონმა **ზურაბ ქაცარავამ** ეს ინფორმაცია დაადასტურა, ხოლო **დავით ლანჩავამ** უარყო:

- სრული პროვოკაციაა. ცხადია, ასეთი რამ არ მითქვამს. სხვა რამეც შეიძლება დამაბრალონ, მაგრამ ჭორებს არ ავყვები. ჩვენი სურვილია, ქართულ ჩოგბურთში პრობლემები აღმოვფხვრათ. გეგმაც გვაქვს და ვიცით, ეს როგორ გავაკეთოთ. ვისაც ქართული ჩოგბურთის სიკეთე სურს, მხარს დაგვიჭერს, ვისაც არა და ღმერთმა ხელი მოუმართოს - დარჩნენ ჭაობში. განცხადებას 27 კაცი აწერს ხელს. ეს იმას ნიშნავს, რომ უკმაყოფილონი მრავლად არიან დღევანდელი სურათით და სურთ, უკეთესობისკენ შეიცვალოს ვითარება. განცხადებაც იმას ემსახურება, რომ დანარჩენებმაც დაინახონ რეალური სურათი - ჩვენ მათ უკეთეს მომავალს ვთავაზობთ.

როგორც გითხარით, დავით ლანჩავა დღეს 13 საათზე იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში პრესკონფერენციას მართავს და საკუთარ პოზიციას უფრო ვრცლად დაასაბუთებს.

ზვიად შათირიშვილი

იხილეთ მე-14 გვერდი



კოპა ამერიკა. ფინალი

ბრაზილიური გაკვეთილი

ბრაზილია-არგენტინა 3:0

ბრაზილია: დონი, მაიკონი, ჟუანი, ალექსი, ჟილბერტო, ელანო (34. დანიელ ალვეში), ჟოსუე, მინეირო, ჟულიო ბაპტიშტა, რობინიო (90. დიეგო), ვაგნერ ლავი (90. ფერნანდო).

არგენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, გაბრიელ მილიტო, ჰაინცე, ვერონი (67. ლუჩო გონსალესი), მასკერანო, კამბიასო (59. აიმარი), რიკელმე, მესი, ტევესი.

გოლები: 1:0 ჟულიო ბაპტიშტა (4), 2:0 აიალა (39-საკ. კარში), 3:0 დანიელ ალვეში (69)

მაყურებელი: 45 000

არბიტრი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

დინამო

დობეში დაბრუნდა და ივარჯიშა

ჩეხ მცველს დინამოელობა სურს

რომან დობეში

თბილისის "დინამო" ევროტურნირებისა და ახალი სეზონისთვის სამზადისს განაგრძობს. **დუშან უჰრინმა** გუშინ საღამოს გუნდი ჩვეულებისამებრ ავარჯიშა. მაშინ როცა ფეხბურთელებს მწვრთნელი ტვირთავდა, **გელა ჭანტურია** მეკარეებს ავარჯიშებდა. ვარჯიშში უკლებლივ ყველა ის ფეხბურთელი მონაწილეობდა, ვინც გუნდთან ერთად გერმანიაში მოსამზადებელი შეკრება გაიარა. მათ შორის იყვნენ უცხოელი მოთამაშეებიც, გაბონელები მეკარე **დიდიე ოვონო** და ფორვარდი **ჯორჯ აკირემი**, ასევე კამერუნელები, ნახევარმცველი **რეიმონ ვუკუე** და 17 წლის ფორვარდი **დონალდ ჯუსე**. სხვათა შორის, როგორც გავიგეთ, ეს უკანასკნელი ახალ სეზონში "დინამოს" დუბლშემადგენლობაში ითამაშებს.

... და რაც მთავარია, გუშინდელი ვარჯიშის დაწყებამდე 40-45 წუთით ადრე ვენის ავიარეისით თბილისში ჩამოფრენილი ჩეხი მცველი **რომან დობეში** "დინამოს" გუნდის უფროსმა **გია იმნაძემ** აეროპორტიდან ბაზაზე მიიყვანა და ისიც სხვა ფეხბურთელებთან ერთად გავიდა სავარჯიშოდ. ჯერჯერობით რომან დობეშს "დინამოსთან" კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის ბარგს, ორ მოზრდილ ჩემოდანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფეხბურთელი აქ დასარჩენად ჩამოვიდა. მით უმეტეს, ჩეხი მცველი გუნდს გერმანული შეკრების ბოლოს შეუერთდა და იენის "კარლ ცაისთან" მატჩში კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გუშინ გამართულ ვარჯიშს ფინამოს ფანკლუბის წევრებიც ესწრებოდნენ. ნვრთნის დამთავრების შემდეგ კი ქომაგებმა "დინამოს" მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს რამდენიმე კითხვით მიმართეს. მათ აინტერესებდათ ფეხბურთელთა განწყობა, მომზადების დონე, მოთამაშეთა აზრი მეტოქე "ვადუცზე", გუნდის უკვე ყოფილი მეგოლის **სანდრო იაშვილის** სათანადოდ შეცვლის საკითხი და ა. შ.

ამ შეხვედრის შემდეგ რომან დობეშს გავესაუბრეთ:

- "დინამოს" გერმანული შეკრების ბოლოს შევუერთდი და "კარლ ცაისთან" ვითამაშე. იენელებთან დაძაბული და საინტერესო მატჩი გვქონდა. მართალია მატჩი ამანაგური იყო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ შედეგს მცირე მნიშვნელობა არ ჰქონდა გუნდებისთვის. მატჩის მერე მითხრეს, "დინამომ" 1981 წელს თასების თასის ფინალში სწორედ "კარლ ცაისს" მოუგოო.

- თქვენზე არც თუ ბევრი ინფორმაცია გვაქვს და იქნებ უკეთ გაგვეცნოთ...

- 28 წლის ვარ. ბოლოს, "ტრენჩინიში" ვთამაშობდი. მარცხენა ფრთაზე დაცვაშიც შემიძლია თამაში და ნახევარმცველადაც. ვიცი, "დინამოს" მარცხენა მცველი სჭირდება და სწორედ ესაა ჩემი საქმე, წლების განმავლობაში სწორედ ამ ფუნქციას ვასრულებდი... ბოლო სეზონში ოცამდე მატჩში ვიასპარეზე, ხან მარცხენა მცველად და ხანაც ნახევარმცველად. ამჟამად თავისუფალი აგენტი ვარ. მყავს მეუღლე და 2 წლის ქალიშვილი.

- თქვენს პლუსებად რას მიიჩნევთ?

- ცაცია ვარ, შრომისმოყვარე. ორთაბრძოლებს არ ვერიდები. თავითაც ვთამაშობ, სისწრაფეც არ მაკლია და სწრაფადაც ვაზროვნებ.

- "დინამოზე" რა წარმოდგენა გაქვთ?

- როგორც გავიგე, "დინამო" საქართველოში ყველაზე დიდი ტრადიციის მქონე გუნდია. თასების თასის მფლობელი და ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ასპარეზობის დროსაც კი ეს გუნდი ფავორიტებში ითვლებოდა.

- დუშან უჰრინთან უკვე გქონდათ საუბარი, საინტერესოა მწვრთნელმა რა გითხრათ?

- თბილისში, 2-3 საათის წინ ჩამოვფრინდი და აეროპორტიდან პირდაპირ მოედანზე შევედი სავარჯიშოდ. უჰრინთან თბილისში ჯერ კიდევ არ მილაპარაკია. ჩვენ გერმანიაში, "კარლ ცაისთან" მატჩის შემდეგ ვისაუბრეთ. მითხრა, რომ გუნდში მარცხენა მცველი სჭირდება და თუ თავს კარგად წარმოვაჩენ კონტრაქტსაც დავიმსახურებ. აი, ჩამოვედი, საკმაოდ მონდომებული ვარ და იმედი მაქვს, მალე დინამოელი გავხდები.

- დინამოელებთან როგორი ურთიერთობა დაამყარეთ?

- ყველას ეტყობა, რომ თბილი და გულიანი ადამიანები არიან. ვარჯიშებზე მათ თანადგომას ყოველთვის ვგრძნობდი.

დავით ცაბაძე

მეტოქე

ვადუცი ხვალ გვეწვევა

ხვალ ჩემპიონთა ლიგის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპს ქვეყნის ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი" ყაზახურ "ასტანასთან" საშინაო მატჩით დაიწყებს. ხუთშაბათს, 19 ივლისს კი უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართულ ფეხბურთს "ამერი" სტუმრად პოლონურ "ბელხატოვთან", "დინამო" კი შინ ლიხტენშტაინის "ვადუცთან" წარადგენენ.

თბილისის "დინამოსა" და "ვადუცის" მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, 19 ივლისს 18 საათზე დაიწყება. ლიხტენშტაინელები ხვალ, 17 ივლისს გამთენიისას გვეწვევიან, სასტუმრო "ვარაზში" დაბინავდებიან და იმავე საღამოს ივარჯიშებენ. "ვადუცის" ოფიციალური ვებგვერდიდან და კლუბის ფორუმიდან მეტოქის შესახებ ძალზე მწირი ცნობების მოძიებაა შესაძლებელი. **ჰაინც ჰერმანის** გუნდმა ბოლოს ავსტრიულ "ლუშტენაუსთან" გასვლითი ამხანაგური მატჩი გამართა და ფრეს დასჯერდა. 56-ე წუთზე ლიხტენშტაინელთაგან მაგეტიმ გახსნა ანგარიში, სამ წუთში კი ავსტრიელებმა წონასწორობა აღადგინეს და ანგარიში აღარ შეცვლილა.

"ვადუცის" ფორუმზე აშკარად ჩანს, რომ ჯუჯა ქვეყნის წარმომადგენლები მაქსიმალურად შეეცადნენ "დინამოზე" ცნობათა მოძიებას და სტატისტიკური მონაცემების მოძებნაც არ გასჭირვებიათ. ლიხტენშტაინელები სიხარულს ვერ მალავენ – "დინამოსა" და გასული ჩემპიონატის მთავარი მეგოლე სანდრო იაშვილი თბილისელებმა შვეიცარიულ "თუნში" გაასხვისესო. იმასაც დავძენთ, რომ იაშვილის დარი გამორჩეული მეგოლის დათმობა "ვადუცსაც" მოუწია. **ფაია** შვეიცარიაში გადაბარგდა და სწორედ **სანდრო იაშვილის** თანაგუნდელია.

დავით ცაბაძე

პროფლიგა

ბოლო შანსი ბათუმსა და ტორპედოს

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ უმაღლესი ლიგის კლუბების ინსპექტირება დაასრულა. როგორც იცით, "ცხინვალის" ასპარეზობის საკითხი სფფ-ის აღმასკომის სხდომაზე გადაწყდება, უმაღლესის ამჟამინდელ ბინადართაგან კი ყველაზე დიდი პრობლემები "ბათუმსა" და "ტორპედოს" აქვთ. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მათ ჯერ მომავალი სეზონისთვის მზადებაც კი არ დაუწყიათ.

"ამ კლუბებს რამდენიმედღიანი ვადა დავუწესეთ. თუ დათქმულ დროში 20 ათას ლარიან საბანკო ანგარიშს ვერ წარმოადგენენ, უმაღლესი ლიგიდან მოიკვეთებიან. იმედია, უმკაცრესი ნაბიჯის გადადგმა არ დაგვჭირდება. ისე კი, სამწუხაროა, "ბათუმსა" და "ტორპედოს" შეკრება რომ არ დაუწყიათ, ამ გუნდებმა უმაღლესში ასპარეზობა რომც შეძლონ, მათი თამაში ჩემპიონატის დონეზე უარყოფით გავლენას იქონიებს", - აცხადებს პროფლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი**.

მასთან საუბრისას ისიც შევიტყვეთ, რომ მე-19 ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის თარიღები დღედღეზე გახდება ცნობილი. კალენდარზე მუშაობა, ფაქტობრივად, დასრულებულია. გადაწყვეტილია, რომ ყოველი ტური ორ დღეზე გაიყოფა, რაც ნამდვილად მოსაწონი იდეაა. ამით სტადიონზე გულშემატკივრების რაოდენობაც მცირედით მოიმატებს, სატელევიზიო რეპორტაჟების რაოდენობაც გაიზრდება და ჩემპიონატს მასმედიაც უფრო სრულყოფილად გააშუქებს.

ლევან ჯანეზაშვილი

მამინაშვილი ბათუმს დაუბრუნდა

გუშინწინ ბათუმში აჭარის ფეხბურთის მესვეურები შეიკრიბნენ და "ბათუმის" მომავალზე იმსჯელეს. თუ აქამდე კლუბის მომავალი ბურუსით იყო მოცული, ახლა შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი დადებითად გადაწყდა. შეხვედრაზე ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე **ბადრი ქაჯაიამ** ღიად განაცხადა, რომ კლუბს მხარში ამოუდგება და ყველა პრობლემას მოუხსნის. წინა სეზონის დავალიანებათა გასტუმრება 25 ივლისისთვისაა დაგეგმილი.

"ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა. ორიოდე დღეში ფეხბურთელებს შევკრებთ და მზადებას დავიწყებთ. რამდენიმე მოთამამეს უკვე ვესაუბრე და დაგვიბრუნდებიან. სიახლე ისიც, რომ მეკარეების მწვრთნელად იური მამინაშვილი დაგვიბრუნდა, რომელიც ბოლოს ერთ-ერთ რუსულ კლუბში მუშაობდა, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა "ბათუმის" მთავარმა მწვრთნელმა **ამირან გოგიტიძემ**.

დავით ცაბაძე

მსაჯები ევროტურნირებზე

პოლონელები, უნგრელები და ფრანგები

სამშაბათს, რუსთავის "ოლიმპსა" და ყაზახურ "ასტანას" შორის მატჩს პოლონელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. შეხვედრას **მარჩინ ბორსკი** გაუძღვება, მის ასისტენტებად კი **რაფალ როსტკოვსკი** და **დარიუშ ვარდაკი** იმუშავებენ. უეფას დელეგატი ებრაელი **სუჰეილ დაოოდი** იქნება.

ხუთშაბათს, თბილისის "დინამოსა" და ლიხტენშტაინური "ვადუცის" მატჩზე უნგრელი არბიტრები არიან გამწესებულნი. მთავარი მსაჯი **შაბა საპია**, ლაინსმენები კი **პეტერ ჰეგი** და **შოლტ ვარგა**. დელეგატის ფუნქციებს სლოვაკი **იან ფასუნგი** შეასრულებს.

ასევე ხუთშაბათს, პოლონეთში, "ბელხატოვისა" და "ამერის" დაპირისპირებას კი ფრანგები განსჯიან. მთავარი მსაჯი **ტონი შაპრონია**, ასისტენტები კი - **ჟან-ფილიპ იზო** და **ლორან უგო**. დელეგატად მოლდოველი **ვლადიმირ ანტონოვია** დანიშნული.

ლევან ჯანეზაშვილი

კლუბები

სიონმა ტესტები მოგებით დაიწყო

მერანი-სიონი 0:2

0:1 ჩასემი (27. ვაშაკიძის პასით), 0:2 ბუცხრიკიძე (82. ჯიშკარიანის პასით).

მერანი: **თევდორაძე, მგალობლიშვილი, ლომაშვილი, ლ. მერებაშვილი, სარალიძე, ტყეშელაშვილი, ფურთუხია, ავალიანი, ა. ნოზაძე, სევასტოპულო (46. პეტრიაშვილი).**

სიონი: **ბობღლიაშვილი, ბოიომო, ლ. ჭელიძე, სვანიძე, რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი, ვაშაკიძე, პაპუაშვილი, ბაჯელიძე, ქარდავა, ჩასემი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **გ. იაშვილი, თავბერიძე, ზ. ჭელიძე, ბიბილაშვილი, ოქროპირიძე, სამსონია, ჯიშკარიანი, ბუცხრიკიძე.**

არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა "სიონმა" შაბათს, 14 ივლისს, მოსამზადებელ შეკრებაზე პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. ბოლნისელები "ნორჩი დინამოელის" სპორტულ კომპლექსში დედაქალაქურ "მერანს" დაუპირისპირდნენ.

მართალია, "მერანი" თითქმის თვეა, რაც ემზადება, "სიონმა" კი ხუთიოდე დღის წინათ განაახლა ვარჯიშები, მაგრამ მეტოქე მაინც დაჯაბნა და ეს ანგარიშშიც აისახა. **ნოდარ აკობიას** გუნდმა ორი მშრალი ბურთით მოიგო.

აღსანიშნავია, რომ "სიონს" **დავით სვანიძე** დაუბრუნდა. კლუბის გენერალური მენეჯერის **ჯემალ ჭიპაშვილის** ინფორმაციით, გუნდს **ვლადიმერ უგრეხელიძეც** დაემატება. მისივე თქმით, თამაშს ბოლნისის გამგებელი **გიორგი დაუშვილიც** დაესწრო, რომელიც "სიონის" ვარჯიშებსაც ხშირად სტუმრობს და საერთოდ, გუნდს ყურადღებას არ აკლებს.

რაც შეეხება თამაშს, ტესტმატჩში კამერუნელი ლეგიონერებიც მონაწილეობდნენ. **ერიკ რომეო ჩასემი** და **ბოიომო ფრიდოლინი** გამორჩეულები იყვნენ. **გასტონ ევოჩეს** კი კვლავაც ტრავმები აწუხებს. მის გამოჯანმრთელებას მალე ელიან. თუ ევოჩე მინდორს მალე არ დაუბრუნდება, შესაძლოა, "სიონის" ხელმძღვანელობამ ის ტრანსფერზეც კი დააყენოს.

მომავალი სეზონისთვის "სიონი" მზადებას ბოლნისში გააგრძელებს. 18 ივლისს კი 12 დღიან შეკრებაზე ურეკს მიაშურებს, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ოლიმპი ჩემპიონთა ლიგის წინ

პორტუგალიის ახალგაზრდულის ექს-ფორვარდი ოლიმპში

გლენ ჰოდლის რჩეულის რთული კარიერა

დანი ფერეირა როდრიგესი
პორტუგალია
დაიბადა 1980 წლის 3 მარტს
თავდამსხმელი, 1,80 სმ

კლუბები

1998-1999 "ფარენსა" (პორტუგალია)
1999 "ბორნმუთი" (ინგლისი)
1999-2002 "საუთჰემპტონი" (ინგლისი)
2000-2002 "ბრისტოლი" (ინგლისი)
2002-2003 "უოლსოლი" (ინგლისი)
2003-2004 "იოლიკოსი" (საბერძნეთი)
2004 "იოვილ თაუნი" (ინგლისი)
2004-2006 "ბორნმუთი" (ინგლისი)
2006-2007 "ნიუ ზელანდ ნაითსი" (ავსტრალია)

რუსთავის "ოლიმპი" სატრანსფერო პერიოდის დასაწყისში ბევრს ინერტული ეგონა, თუმცა გუნდის სელექციონერებმა საკმაოდ დიდი სამუშაო ჩაატარეს. მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი კილასონიამ** 30 მოთამაშე გამოსცადა. **გია გურულმა** და გერმანულმა სააგენტომ კი საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები ჩამოიყვანეს: გაბონელი **ერნესტ აკუასაგა**, კონგოელი **მასუნგა ბოდრი ჯილდასი** და სერბი **ვლადან ჟივკოვიჩი**.

თუმცა გუშინ რუსთაველებს ყველაზე სახელიანი უცხოელი მოთამაშე შეუერთდა - პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **დანი როდრიგესი**.

დანი როდრიგესის ბიოგრაფიას "ვიკიპედიაზე" გავეცანით და შეიძლება ითქვას, რომ იგი მეტად ნიჭიერი და ამავდროულად, მეტად უიღბლო მოთამაშეა.

"ფარენსესა" და პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების ნიჭიერი თავდამსხმელი უპირველესად სისწრაფითა და უძლიერესი დარტყმით გამოირჩეოდა. "ბორნმუთში" იჯარით მოთამაშე, "საუთჰემპტონმა" 200 ათას გირვანქად შეიძინა "ფარენსესგან".

დანი "საუთჰემპტონის" მაშინდელ მწვრთნელს, **გლენ ჰოდლს** მოეწონა და გადაიყვანა. თუმცა, საუკეთესო ფორმაში მყოფმა კოჭი მოიტეხა.

ტრავმამოშუშებულმა პორტუგალიელმა ფორმა კარგა ხნის მერე აღიდგინა და ისევ უბედურება - ვარჯიშზე ისევ მოიტეხა კოჭი.

ხელმეორედ ფორმის აღსადგენად მან "ბრისტოლს" მიაშურა, მერე კი "საუთჰემპტონთან" კონტრაქტი განყვიტა და თავისუფალი აგენტის სტატუსით "უოლსოლში" გადავიდა.

ეს ერთადერთი გუნდია, სადაც თავი ვერ გამოიჩინა და 2003 წლის იანვარში "იონიკოსში" ჩაირიცხა. ბოლო ტურში ამ კლუბმა 2:1 მოიგო, დუბლი დანი როდრიგესმა შეასრულა და "იონიკოსი" უმაღლესიდან გავარდნას გადაარჩინა.

2004 წელს ფორვარდი ინგლისში დაბრუნდა და "იოვილ თაუნში" ჩაირიცხა. ოთხ მატჩში ოთხი ბურთი - "იოვილში" ასეთი მშვენიერი დებიუტის შემდეგ, "ბორნმუთის" მწვრთნელი მისით ისე მოიხიბლა, ისევ დაიბრუნა. ის გუნდის ფანების რჩეული იყო.

2006 წელს ავსტრალიის ჰიუნდაი "ა" ლიგაში მოასპარეზე ახალზელანდიურ კლუბ "ნიუ ზელანდ ნაითსში" ჩაირიცხა. მხოლოდ ოთხი მატჩის ჩატარება მოახერხა და ისევ უიღბლობა - ამჯერად ჯვარედინი იოგები გაუწყდა.

"ოლიმპის" პრეს-ატაშე **მიხეილ ჯორბენაძის** თქმით, დანის ჩარიცხვა გუნდში გადაწყვეტილი არაა, მას კიდევ დააკვირდებიან, თუმცა შანსი კი დიდია, რომ კონტრაქტი გაფორმდეს. იქნებ, ამ უიღბლო ბიჭმა საქართველოს ჩემპიონ გუნდში მაინც მოახერხოს დანავსული წრის გარღვევა და ათამაშდეს. ნიჭი კი, როგორც ამბობენ, უდავოდ გააჩნია.

მერაბ მამულაშვილი

რუსთავს ევროპა მოენატრა

2007 წლის 5 მაისი. რუსთავში დინამოსთან მიღწეულმა ფრემ ოლიმპს ევროპისკენ გზა გაუხსნა

უკვე მეორე თვეა, რუსთავის "მეტალურგის" (ჯერჯერობით, ასე ჰქვია) სტადიონზე დიდი მზადებაა. მასეც უნდა იყოს - ამ ქალაქის გუნდს ხომ ხვალ ევროტურნირების სადებიუტო მატჩი აქვს. თანაც, ყველაზე პრესტიჟულ გათამაშებაში - ჩემპიონთა ლიგაზე!

...სტადიონზე მუშაობა დილით ადრიანად იწყება. ყველაზე ძნელად მოსაძებნი კი, რაღა თქმა უნდა, სტადიონის დირექტორი **მერაბ კოპალიანია**; კაცი, რომელიც 21 წელინადია, ამ თანამდებობაზე მუშაობს... მიგნებით კი მალე მივაგენით, მაგრამ, იმდენად დაკავებულია, ცოტა არ იყოს, გვერდება კიდეც საქმეს რომ მოვწყვიტოთ. თუმცა, თვითონ ვერ გვეუბნება უარს (მაინც დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს) და გასახდელებისკენ მიგვიძღვება. ჟურნალისტების "ეგოიზმი" ყველას კარგად მოეხსენება და სტადიონის დირექტორს მხოლოდ ის ვთხოვეთ, მასმედიისთვის განკუთვნილი ადგილები გვანახეთ და დანარჩენს საკუთარი თვალით ვიხილავთ-შევაფასებთო. და´ აი, პირველი გაოცებაც - უზარმაზარი ოთახი ჟურნალისტებისთვის, ადრე პრეს-ბარი რომ ერქვა და ბოლოს როდის გაიღო, ვეღარც ვიხსენებთ. ახლა კი თავი სხვაგან გვგონია - ტელეფონები, ფაქსი, ქსეროქსი, კომპიუტერები, მოკლედ, დაჯექი და იმუშავე... ეგ კიდევ არაფერი - დერეფნის ბოლოში, სტუმართა გუნდის გასახდელის გვერდით, ახალი ოთახიც "აღმოვაჩინეთ". ჰო, აქ ადრე საწყობი თუ საკუჭნაოს მსგავსი რამ იყო, ახლა კი თანამედროვე და კომფორტული საპრესკონფერენციო დარბაზია, სულ მცირე 60 ჟურნალისტზე მაინც რომ არის გათვლილი. "საკუთარი პრობლემების" თემა კი პრეს-ლოჟით ამოვწუროთ, სტადიონის ყველაზე პრესტიჟულ ადგილას რომ არის და დაახლოებით 80-მდე ჟურნალისტს ყველა პირობა რომ ექნება.

ახლა კი, ალბათ, დროა, სხვა სიახლეებსაც შევეხოთ. უპირველეს ყოვლისა, მინდვრის საფარი უნდა ვახსენოთ - ადრინდელ ოღრო-ჩოღრო და გორაკებიან (!) მოედანთან შედარებაც არ შეიძლება! სტადიონის გარეთა პერიმეტრი ერთიანად ვიხილავთ-შევაფასებთო. სულ ბოლოოდ მორჩა ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება და, როგორც იქნა, რუსთავის სტადიონზეც დაინომრა სკამები და სექტორები; სტადიონის ტერიტორიაზე განლაგდება ექვსი კომფორტული სავაჭრო ჯიხური და ყველაზე მთავარიც - ლამის ოცწლიანი უქმობის შემდეგ ამუშავდება ერთადერთი ტაბლო! ეგ კი არა, ერთ თვეში განათების პრობლემაც მოგვარდება და მეორე ეტაპზე ტიტულოვან "რუსენბორგს" პროჟექტორების შუქზე უნდა ვუმასპინძლოთ...

ახლა კი ის ხალხიც ვახსენოთ, რუსთაველებს და მათ სტუმრებს კეთილმოწყობილ, თანამედროვე და კოხტა სტადიონს რომ დაახვედრებენ. უპირველეს ყოვლისა, მადლობა უნდა გადავუხადოთ "ქართული ფოლადის" (ადრე რუსთავის მეტალურგიული ქარხანა რომ ერქვა) ხელმძღვანელობას, რომელთა უშუალო ძალისხმევითაც ხორციელდება სტადიონზე მიმდინარე სამუშაოები. ამასთან, არც ის არის ნაკლებად მნიშვნელოვანი, თუ რამხელა ყურადღებას აქცევენ სტადიონის კეთილმოწყობას სამხარეო და ქალაქის ხელმძღვანელები. თანაც, ქვემო ქართლის რწმუნებული **ზურაბ მელიქიშვილი** და რუსთავის მერი **დავით ნადაშვილი** ამას ნაღდად არ აკეთებენ "მოვალეობის" მიზნით: მთელი სეზონის განმავლობაში "ოლიმპის" არც ერთი საშინაო მატჩი არ გაუცდენიათ და ახლაც, დღე არ გავა, სტადიონზე რომ არ შეიარონ...

...მოკლედ, ყველაფერი მზადაა, ქალაქიც ხვალინდელი მატჩის მოლოდინშია და ჯერი უკვე ფეხბურთელებზეა...

ახლა კი მცირე ისტორიული ექსკურსიც მოვაწყოთ, რომელიც რუსთავის სტადიონს და ამ ქალაქის გუნდს ეხება. სტადიონი ექსპლუატაციაში 1945 წელს შევიდა, არადა, წესიერად ჯერ ქალაქიც არ იყო დაარსებული. პირველი სერიოზული რესკონსტრუქცია 1985 წელს ჩატარდა. იმ წელს ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა და ერთ ქვეჯგუფს თბილისი მასპინძლობდა. გადაწყვეტილი ამბავი იყო, რომ ერთი შეხვედრა რუსთავშიც უნდა ჩატარებულიყო: მთელი ქალაქი დაირაზმა, ყველაფერი გაკეთდა, მაგრამ რუსთავის ნაცვლად, რატომღაც, თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონი ამჯობინეს. არანაკლები იმედგაცრუება ელოდათ რუსთაველ ქომაგებს 1992 წელსაც, როცა რუსთავის "გორდამ" უეფას თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ქალაქის მაშინდელი მერის **სოსო არეშიძის** (ასევე ფეხბურთის უდიდესი ტრფიალის) ძალისხმევით სტადიონი ისე მოემზადა, რომ ევროტურნირების ყველა მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, მაგრამ უეფამ ქართულ გუნდებს მონაწილეობაზე უარი უთხრა. თბილისის "დინამოს" ჩემპიონთა თასზე უნდა ეთამაშა, სოხუმის "ცხუმს" - თასების თასზე, ხოლო "გორდას" - უეფას თასზე. ეგ კი არა, ყველაზე მტკივნეული ის იყო, რომ საქართველოს დელეგაციამ ეს ამბავი უშუალოდ კენჭისყრის დღეს (1992 წლის 15 ივლისს) ადგილზე, ჟენევაში გაიგო. მიზეზი საქართველოში იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაცია იყო... სხვათა შორის, მაშინდელ "გორდაში" თამაშობდნენ დღევანდელი "ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია** და მეორე მწვრთნელი **ხვიჩა ქასრაშვილი.**

ორი წლის მერე რუსთაველებს კიდევ გაუჩნდათ შანსი, რომ ევროტურნირებზე საყვარელი გუნდი ეხილათ - "მეტალურგმა" თასების თასზე თამაშის უფლება მოიპოვა, მაგრამ იმ წელიწადს უეფამ ჩვენი გუნდებიდან მხოლოდ "დინამოს" დართო მონაწილეობის მიღების უფლება. ბედის ირონია იყო თუ სხვა, ვერ გეტყვით, მაგრამ, ამის მერე ქართული კლუბები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ასპარეზობდნენ ევროტურნირებზე. თუმცა, რუსთაველებმა მესამე ცდაზე ეს რომ ვერ მოახერხეს, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დაბრალონ. 1996 წლის 31 მაისს, საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში "მტალურგი" უშუალო კონკურენტს - ზესტაფონის "მარგვეთს" მასპინძლობდა. ვინც გაიმარჯვებდა, უეფას თასის საგზურს მოიპოვებდა, ფრეს შემთხვევაში კი... "სამტრედია" იხეირებდა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ზესტაფონელთა საუკეთესო ბომბარდირმა **ზვიად ენდელაძემ** შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა და რუსთაველთა ვროპული ოცნებებიც დაასამარა ("მარგვეთმა" იმ წელს უეფას თასზე რაც "იყო ჩაღა", ამას აღარ გავიხსენებთ). აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მაშინდელ "მეტალურგში" თამაშობდა **ლევან სილაგაძე,** ერთადერთი ადგილობრივი ფეხბურთელი დღევანდელი "ოლიმპის" შემადგენლობაში, მშობლიური ქალაქის გუნდში 11 წლის მერე რომ დაბრუნდა...

საერთოდ კი, რუსთაველი ქომაგები საერთაშორისო მატჩებით განებივრებული არ ყოფილან. ხანდახან, თბილისის "დინამო" თუ გამართავდა ხოლმე ამხანაგურ მატჩებს (სლოვენიის "ოლიმპიასთან" და შვედურ "გეტებორგთან"); თუმცა, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში "მეტალურგის" (გნებავთ, "ფოლადის") სტადიონზე სამი სანაკრებო მატჩი გაიმართა. ჯერ იყო და 1995 წლის 28 მარტს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გერმანელ თანატოლებს უმასპინძლა. მსგავსი არც მანამდე და არც მერე არ გვინახავს: სტადიონზე, რომელიც 10700 კაცს იტევდა, 15 000 გულშემატკივარი მოვიდა! სამწუხაროდ, ის მატჩი სტუმრებმა მოიგეს (2:0) და იმ გუნდიდან ბევრმა დიდი ფეხბურთიც ითამაშა - **ნოვოტნი, რამელოვი, ციკლერი, ნერლინგერი...**

საბედნიეროდ, მეორე სანაკრებო მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდა: 1997 წლის 7 სექტემბერს საქართველოს 18-წლამდე ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუმინელ თანატოლებს ძლიეს (2:1). ის წვიმიანი საღამო ორი ჭაბუკი ფეხბურთელის ბენეფისად იქცა - აქეთ **ლაშა ჯაკობიამ** გაიბრწყინა, სტუმართა გუნდში კი შეუდარებელი იყო **ადრიან მუტუ,** "ფიორენტინას" დღევანდელი ვარსკვლავი. ამ თამაშიდან სამი დღის მერე კი რუსთავში პატარა სასწაული მოხდა: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა **გიორგი კიკნაძისა** და **ლევან ქუბაძის** გოლების წყალობით, იტალიელ თანატოლებს სძლიეს! კი, ჩვენს გუნდში არაერთი პერსპექტიული ფეხბურთელი (**რატი ალექსიძე, მიხეილ ფოცხვერია, დავით მუჯირი, ლევან ცქიტიშვილი, ლევან სილაგაძე**) თამაშობდა, მაგრამ იტალიელებს ხომ **ჯანლუიჯი ბუფონი, ალესიო ტაკინარდი, კრისტიან ლუკარელი, ფრანჩესკო კოკო, ნიკოლა ვენტოლა** და სხვა ვარსკვლავები ჰყავდათ...

...და აი, ათწლიანი პაუზის შემდეგ რუსთავში საერთაშორისო ფეხბურთი ბრუნდება!

გია ტუხაშვილი

P.S. "ოლიმპისა" და "ასტანას" მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა რუსთავის სტადიონის სალაროებში დღეიდან დაიწყება. დასავლეთ ტრიბუნაზე ბილეთის ფასი 3 ლარია, აღმოსავლეთზე - 2 ლარი.

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

კლუბები

ვიტ ჯორჯია ყირიმში

დღეს დილით "ვიტ ჯორჯიას" უკრაინისკენ უნდა აეღო გეზი. ვეტერინარები ყირიმულ შეკრებაზე მიემგზავრებიან. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ნესტორ მუმლაძემ** საამისოდ შემდეგი კონტინგენტი შეარჩია.

მეკარეები: **გრიგოლ ბედიაშვილი, არდალიონ მიქაბერიძე, შოთა ღურბელეიშვილი.**

მცველები: **ალექსანდრე კვახაძე, დავით ლომაია, პავლე დათუნაიშვილი, ლაშა ჯაფარიძე, გურამ ადამაძე, ალექსი კაიშაური.**

ნახევარმცველები: **გიორგი დათუნაიშვილი, ლუკა რაზმაძე, გიორგი კვაღინიძე, გიორგი მელქაძე, რატი იმერლიშვილი, რევაზ ინჯგია, გიგა ბეჭვაია, დავით მაისაშვილი.**

თავდამსხმელები: **გიორგი ბერიაშვილი, ზაზა სახოკია, ვასილ ლუჭაშვილი, ირაკლი კიკნაძე, ირაკლი კლიმიაშვილი, ჯაბა ლიპარტია.**

შეგახსენებთ, "ვიტ ჯორჯიამ" ახალი სეზონისთვის მზადების პირველი ეტაპი თბილისში გაიარა და სამი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. ყირიმში მუმლაძის გუნდი ოთხ ან ხუთ საკონტროლო მატჩს გამართავს, პირველს 19 ივლისს. "ჯორჯია" საქართველოში 30 ივლისს დაბრუნდება.

როგორც ხედავთ, აქცენტი კვლავ ახალგაზრდებზე კეთდება. ახალი სახეები არ არიან, წასულების ადგილს კლუბის მიერ აღზრდილი ფეხბურთელები დაიკავებენ. შეგახსენებთ, **ოლეგ გველესიანი** თბილისის "დინამოში" გადავიდა, **ნიკოლოზ გელაშვილი** კი კარიერას, ალბათ, ბელგიაში გააგრძელებს. ჯერ ღიადაა **ალექსანდრე კვახაძის** საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ვეტერინართა რიგებში ვარჯიშობს, ახალი სეზონი, შესაძლოა, მან სხვა გუნდის შემადგენლობაში დაიწყოს.

ვიტელთა მიზანი კი უცვლელი იქნება. გუნდი მომავალ სეზონშიც მაღალი საფეხურებისთვის იბრძოლებს.

ლევან ჯანეზაშვილი

აფციაური მესხეთში?

ახალციხელებმა კვლავ მოიგეს

მესხეთი–დილა 3:0

1:0 შ. ჯიქია (25. გვირჯიშვილის პასით), 2:0 სუდაძე (60. გვირჯიშვილის პასით), 3:0 კაიდარაშვილი (85).

მესხეთი: **სომხიშვილი, მამუკიშვილი, კობესაშვილი, ნადირაშვილი, აკოფიანი, გვირჯიშვილი, აფრიამაშვილი, ინასარიძე, თაყაძე, კაიდარაშვილი, შ. ჯიქია.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი, რუსია, სუდაძე.**

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა "მესხეთმა" შაბათს მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. სტუმრად ბორჯომის ძლევის შემდეგ, ახალციხელები ბორჯომში გორის "დილას" ეთამაშნენ და ისიც დაამარცხეს.

"შვებულების შემდეგ, ადგილზე შევუდექით მზადებას და თავიდან ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე გავამახვილეთ ყურადღება. ნელ-ნელა ბურთიც ჩავრთეთ ვარჯიში. შესაბამისად, ტექნიკურ-ტაქტიკური თვალსაზრისით გუნდი ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. თუმცა ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილი პერიოდი ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ", - განაცხადა "მესხეთის" მთავარმა მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმა.**

დაბოლოს, ჩვენი ინფორმაციით, ჩემპიონ რუსთავის "ოლიმპის" ფეხბურთელმა და გასული ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ნახევარმცველმა **თორნიკე აფციაურმა,** შესაძლოა, კარიერა "მესხეთში" გააგრძელოს. ამ ცნობის მართებულობა ახალციხელთა კლუბის პრეზიდენტმა **გია მესხელმაც** დაგვიდასტურა:

"დიახ, მართალია. თორნიკე აფციაურთან მოლაპარაკებები დავიწყეთ. ის ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა და ჩვენი კლუბის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველაფერს გავაკეთებთ, აფციაურის გადასაბირებლად. ამ ფეხბურთელთან მიმართებაში ფინანსური მხარეცა დარჩა გასარკვევი და წესით საკითხი ორიოდე დღეში უნდა გადაწყდეს.

ამასთან, ზუსტად ამავე ამპლუის სამი ფეხბურთელი გვყავს შერჩეული სომხეთშიც. ორი სომხეთის ნაკრების წევრია... ერთი სიტყვით, 2-3 დღეში ყველაფერი გაირკვევა".

დავით ცაბაძე

თორნიკე აფციაური

ლეგიონერი

იაშვილი ნიცასთან დაზავდა

ახალი გუნდის, შვეიცარიული "თუნის" რიგებში **სანდრო იაშვილმა** უკვე რიგით მეორე ამხანაგურ მატჩში ითამაშა. გუშინწინ, 14 ივლისს, **რენე ვან ეკის** გუნდი ფრანგულ "ნიცას" დაუპირისპირდა. ანგარიში 33-ე წუთზე "ვადუციდან" "თუნში" გადასულმა **ფაიამ** გახსნა. 76-ე წუთზე ფრანგებმა გაიტანეს და ამის შემდეგ ანგარიშიც აღარ შეცვლილა. სანდრო იაშვილი სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა. ქართველმა ფორვარდმა 58-ე წუთზე სწორედ გოლის ავტორი ფაია შეცვალა.

შვეიცარიულ ექსპო სუპერლიგაში მომავალ უქმეებზე უკვე სასტარტო ტურის მატჩებია. პირველი მატჩში, 21 ივლისს "თუნი" "სიონს" უმასპინძლებს. სანდრო იაშვილის ოფიციალური დებიუტიც, ალბათ, ამ თამაშში შედგება

დავით ცაბაძე

თემურს, პირველ რიგში, თბილისში ეკუთვნის!

შაბათს ლარნაკაში დაუვიწყარი საღამო მოეწყო. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო, თუ საუკეთესო არა, ფეხბურთელი **თემურ ქეცბაია** კვიპროსელებმა დიდი ფეხბურთიდან ზარზეიმით გააცილეს.

საბენეფისო მატჩში მონაწილეობა თემურის მეგობრებმა, მისმა ძველმა თანაგუნდელებმა მიიღეს. მათ შორის ქართველებიც იყვნენ. ქეცბაია **რევაზ** და **არჩილ არველაძეებმა, კახა ცხადაძემ, მურთაზ შელიამ, გიორგი ნემსაძემ, გიორგი ქინქლაძემ, გოჩა ჯამარაულმა** და **სოსო ჭედიამ** დააფასეს. მკითხველთა უმრავლესობამ შეხვედრის ტელერეპორტაჟს თვალი ადევნა და დეტალებზე აღარ შევჩერდებით, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ თემურმა თითო ტაიმი ითამაშა კვიპროსელთა და სტუმართა გუნდის შემადგენლობაში. მან პენალტით გოლი გაიტანა, კიდევ ერთი ნაღდი ბურთი კი მას მსაჯმა არ ჩაუთვალა. თამაში ქართველთა გუნდმა 6:4 მოიგო.

ლამაზი და ემოციური საღამო ქეცბაიების ოჯახში დასრულდა. თემურმა და მისმა მეუღლე **კატერინამ** მატჩის ყველა მონაწილესა და სხვა საპატიო სტუმრებს უმასპინძლეს. "ანორთოსისის" მწვრთნელს არაერთი სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს, მათ შორის გამოსარჩევი ამ მატჩში გამოყენებული ბურთი იყო ფეხბურთელთა ავტოგრაფებით.

მოკლედ, ყველაფერმა ბრწყინვალედ ჩაიარა, დასანანი მხოლოდ ისაა, რომ ეს თბილისში არ მომხდარა. თემურსა და სხვა ქართველ ვეტერანებს სათანადოდ დაფასება, პირველ რიგში, ქართველებისგან სჭირდებათ. კვიპროსელთათვის ქეცბაია უცხოტომელი ნამდვილად არაა, მაგრამ მას პირველ რიგში, ჩვენგან ეკუთვნის მადლობა. ჯერ კიდევ არ არის გვიანი და იძენდია, თემურს თბილისში, მადლიერი გულშემატკივრებით გადაჭედილ ეროვნულ სტადიონზე მივაგებთ საკადრის პატივს.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

რა კავშირშია კარლ ცაისი რუსებთან?

გერმანელი ფანები ჭორებს იჯერებენ

შაბათს იენის "კარლ ცაისმა" საკონტროლო შეხვედრა გამართა დაბალი ლიგის "მეზერბურგთან" და 9:3 მოიგო. ქართველებმა ითამაშეს, თავი კი დუბლით **რევაზ ბარაბაძემ** გამოიჩინა. ინფორმაცია გუნდის ოფიციალურ საიტზე გავრცელდა, სადაც მითითებულია, რომ ქართველებიდან გასინჯვაზე მხოლოდ რეზო ბარაბაძეა.

ოთხი ქართველი გუნდში - ეს ამბავი, როგორც ჩანს, იენელთა ფანების ნაწილს არ მოსწონს. ამის თაობაზე გაზეთი "ნოიეს დოიჩლანდი" სტატიას აქვეყნებს.

"გავრცელდა ჭორები, რომ "კარლ ცაისს" რუსეთიდან **სერგეი კირიაკოვის** სახით, საიდუმლო სპონსორი გამოუჩნდა.

ეს ხმები გუნდში ოთხი ქართველის გამოჩენის შემდეგ აგორდა. **გიორგი ონიანის** შემდეგ, **გიორგი სეთურიძე, ილია კანდელაკი** და რეზო ბარაბაძე მოვიდნენ. ოთხივე ეროვნული ან ახალგაზრდული ნაკრების წევრი ან კანდიდატია. ონიანმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სავარაუდოდ, ასეთივე ხანგრძლივობის იქნება სეთურიძისა და კანდელაკის ხელშეკრულებებიც, რომელსაც ხელს სამედიცინო შემოწმების შემდეგ მოაწერენ. ახალგაზრდა ბარაბაძე კი ჯერ გასინჯვაზეა და ცდილობს "კარლ ცაისის" მწვრთნელ **ფრანკ ნოიბარტს** თავი მოაწონოს. ქართველთა ფრაქციას ყურადღებას **გოჩა თამაზაშვილი** მიაქცევს. *"თაზაშვილი თანამემამულეებს გერმანულს ასწავლის და აკვალიანებს. თავად ხომ 10 წელია გერმანიაში ცხოვრობს"* - ეს კლუბის პრეზიდენტის **რაინერ ციფბელის** სიტყვებია.

იენის ფანებს გუნდის გაქართველება მას შემდეგ არ მოეწონათ, რაც შეიტყვეს ჭორები "კარლ ცაისის" რუსი სპონსორის თაობაზე. ისინი ეჭვობენ, ხომ არ ცდილობს ის თავისი ფეხბურთელების მოყვანას. რა თქმა უნდა, ამას კლუბში ოფიციალურად არავინ ადასტურებს. "კარლ ცაისის" პრეზიდენტს ეს ჭორები ძალიან აღიზიანებს, რადგან ამაზე სულ უფრო ხშირად საუბრობენ.

რაინერ ციფბელი: *"ჩვენთვის მთავარია, ძლიერი და იაფი ფეხბურთელები შევიძინოთ. ეს ჭორები კი უადგილოა. რა მნიშვნელობა აქვს ფეხბურთელის ეროვნებას, ოთხი ქართველი იქნება თუ ოთხი სხვა ეროვნების ლეგიონერი. კი გვსურს გერმანელების ყიდვა, მაგრამ ძვირები არიან. ალბათ, დროა "კარლ ცაისის" გულშემატკივარი მიეჩვიოს, რომ გუნდში უცხოელებიც ითამაშებენ".*

და მაინც, საინტერესოა, ეს ტრანსფერები როგორ განხორციელდა. ამაზე უფრო დეტალურად "კარლ ცაისის" გენერალური მენეჯერი **ლუტს ლინდემანი** ამბობს: *"მე ვენდობი რალფ მინგეს, რომელიც დრეზდენის "დინამოს" დირექტორატის წევრია და საქართველოს ნაკრებში მუშაობს. მან ჩვენი ყოფილი მოთამაშეები გიორგი ლომაია და მიხეილ აშვეთია ზუსტად ისე დაგვიხასიათა, როგორებიც აღმოჩნდნენ. ამიტომ, მინგეს ვენდობით და აზრი ვკითხეთ. ქართველები ახლაც მისი რეკომენდაციით ავიყვანეთ".*

სხვათა შორის, მინგეს შეფასებებს მთავარი მწვრთნელი ფრანკ ნოიბარტიც ენდო. თუმცა მივუბრუნდით სპონსორის თემას. მართლა არსებობს თუ არა საიდუმლო სპონსორი? ჭორების თანხამად, "კარლ ცაისს" ფეხბურთელთა შეძენაში ფინანსურად დაეხმარა ადრე გერმანიაში მოთამაშე რუსეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი სერგეი კირიაკოვი.

სერგეი კირიაკოვი: *"გერმანიაში საკმაოდ კარგი ნაცნობობა გამაჩნია და ამ კონტაქტებით ვსარგებლობ. ფრანკ ნოიბარტს ვკითხე, მოთამაშეები რა პოზიციაზე სჭირდებოდა და ხალხი შევთავაზე. რაც შეეხება ტრანსფერებიდან მილებულ თანხას, დამიჯერეთ, ეს სისულელეა. საკმაოდ ბევრი ფული მაქვს, რომ "კარლ ცაისს" ტრანსფერებიდან ფული არ გამოვართვა".*

"კარლ ცაისის" მენეჯერი ლუტს ლინდემანი ქართველებს კარგად ახასიათებს: *"ჩამოსული ფეხბურთელები კარგად იქცევიან. მათ ჩვენი ქალაქი ძალიან მოეწონათ. რაც მთავარია, ვარჯიშზე არასდროს იგვიანებენ, ალკოჰოლს არ ეტანებიან და იაფად შევიძინეთ. ამას რომ ვამბობ, გასული სეზონი მახსენდება. ქართველები "ფრაიბურგსაც" ჰყავდა და კარგად ვიცით მათი შესაძლებლობები".*

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

კიდევ ერთი გამარჯვების გოლი

დავით კვირკველია

გასულ უქმეებზე ყველაზე ხმაურიანი ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველი ლეგიონერის ალეკო ამისულაშვილის ქმედება იყო, სამარაში მატჩის 84-ე წუთზე მცველმა ბურთი მონინააღმდეგის საჯარიმოში მიიღო, შემოტრიალდა და აუღებელი დაარტყა - ასე მოუტანა გამარჯვება საკუთარ კლუბს ჩვენებურმა. სხვათა შორის, ეს უკვე მეორე გოლია ამისულაშვილისთვის წლევანდელ სეზონში. ქართული ლეგიონის ცხრილი კი უკრაინის ჩემპიონატით შეივსო, თუმცა შარშანდელთან შედარებით ჩვენს სამეგობროში ქართველ ლეგიონერთა კლებაა.

მეორე წრე, მეორე გოლით

რუსულ პრემიერლიგაში მეორე წრე დაიწყო. ტური ნაკლული იყო - ყაზანის "რუბინის" ინტერტოტოს თასზე მონაწილეობის გამო "რუბინისა" და მოსკოვის "ლოკომოტივის" მატჩი გადაიდო. შაბათს **გოგიტა გოგუას** "სატურნი" ვლადივოსტოკში "ლუჩთან" 1:2 დამარცხდა. გოგუამ გერმანიაში ოპერაცია გაიკეთა და სამშობლოში მკურნალობს.

გუშინ ჩვენთვის საინტერესო მატჩი სამარაში გაიმართა, **დავით მუჯირის** "კრილია სოვეტოვმა" **ლევან გვაზავასა** და **ალეკო ამისულაშვილის** ნალჩიკის "სპარტაკს" უმასპინძლა. ქართველები სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. მუჯირმა 73-ე წუთამდე ითამაშა, შემდეგ კი ის **ლეილტონმა** შეცვალა. ექვს წუთში მასპინძლებმა გახსნეს ანგარიში, თუმცა იქვე საპასუხო ბურთი მიიღეს. 84-ე წუთზე კი ფანტასტიკური გოლი გაიტანა სტუმართა ქართველმა მცველმა, ალეკო ამისულაშვილმა ტრიალში დაარტყა ბურთი, რომელიც საოცარი ტრაექტორიით მასპინძელთა კარში გავიდა. ასე მოუტანა "სპარტაკს" სამი ქულა ამისულაშვილმა. "სპარტაკმა" ამ მოგებით 18 ქულა მოაგროვა და ბოლოსწინა ადგილს თავი დააღწია (17 ქულიან "სატურნს" გადაუსწრო). "კრილია სოვეტოვი" 22 ქულით მეხუთე ადგილზე დარჩა. "რუბინი" და "ლოკომოტივი" 20-20 ქულით მეშვიდე და მერვე ადგილზე არიან.

ვიშა მხოლოდ ოთხი ქართველით

დაიწყო უკრაინის მე-17 პირველობა, საუკეთესო შემთხვევაში ამ ქვეყანაში ცხრა ქართველი ლეგიონერი ითამაშებს, პირველ ტურში კი მხოლოდ ოთხი ჩვენებური გამოჩნდა მოედანზე. პირველი მატჩი ზაპოროჟიეში გაიმართა "მეტალურგმა" 1:0 მოუგო "კარპატის", ქართველთაგან **დავით კვირკველიამ** ითამაშა, **ირაკლი მოდებაძემ** კი დუბლების მაისურა მოირგო. ხარკოვში "მეტალისტმა" დებიუტანტ "ნეფტიანიკს" უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. **ლაშა ჯაკობია** ჯერაც არ ითვლება "მეტალისტის" ფეხბურთელად. აი, რა განაცხადა "მეტალისტის" მთავარმა მწვრთნელმა **მირონ მარკევიჩმა**: "ჯაკობიას შევხედავთ, ის ჯერ ჩვენთან ვარჯიშობს, ვნახოთ რა და როგორ იქნება". სტუმართა რიგებში დებიუტი ჰქონდა 30 წლის **ვასილ გიგიაძეს**, რომელიც რამდენჯერმე დაემუქრა მასპინძელთა კარს. მატჩის შემდეგ "ნეფტიანიკის" მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი შევჩენკომ** გიგიაძეს საფეხბურთო ფიგურა უწოდა: "*ის ჯერ არ არის შესაფერის ტონუსში, იმდენად ნავარჯიშებიც არაა, თუმცა გვეიმედება, რომ გიგიაძე ჩვენს გუნდს გააძლიერებს. რაზეა საუბარი - ვასო ხომ საფეხბურთო ფიგურაა*".

ახალ კლუბში პირველად ითამაშა გიგიაძის ყოფილმა თანაგუნდელმა **ლადო ბურდულმაც**, მისი "ზარია" "ვორსკლას" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. ლადომ იაქტიურა, მე-60 წუთზე მან ძალზე სახიფათოდ დაარტყა, თუმცა ბურთი გოლკიპერმა მოიგერია. 81-ე წუთზე ქართველი ლეგიონერი გააფრთხილეს. კიევში "არსენალმა" დონეცკის "მეტალურგს" უმასპინძლა, ქართველი ფორვარდის **ოთარ მარცვალაძის** შეყვანა განაცხადში ჯერ ვერ მოხერხდა. **გიორგი დემეტრაძე** კი სათადარიგო იყო. ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ის მოედანზე 50-ე წუთზე გამოვიდა, როცა ანგარიში 0:1 იყო. 68-ე წუთზე ქართველი ფორვარდი სიმულაციისთვის გააფრთხილეს, "არსენალი" კი **კოსირინის** ჰეთ-თრიკის "წყალობით" 1:3 დამარცხდა. დაბოლოს, კიევის "დინამომ" საჩემპიონატო განაცხადში, როგორც მოსალოდნელი იყო, არ შეიყვანა **დავით იმედაშვილი** და **კახა ალადაშვილი**.

რუბინი უძართველოდ

ინტერტოტოს თასის საპასუხო მატჩში "რუბინმა" 2:0 დაამარცხა უნგრული "ზალაეგერშეგი" (ორი მატჩის ჯამში 5:0) და მესამე წრეში გავიდა. მოლდოვურმა "დაჩიამ" შეჯიბრებიდან შვეიცარიული "სენტ გალენი" გამოთიშა, საპასუხო მატჩში შვეიცარიაში "დაჩიამ" მოულოდნელად 1:0 იმარჯვა, მერე კი პენალტების სერიაც 3:0 მოიგო. **ლადო ახალაია** მოლდოველთა საევროპო განაცხადში არაა.

მორიგი 90 წუთი

ავსტრიული ბუნდესლიგის მეორე ტურში **გიორგი შაშიაშვილის** "შტურმი" "ვაკერს" ესტუმრა, "შტურმმა" კვლავ ფრე იკმარა, ამჯერად - 0:0. კვლავ 90 წუთი ითამაშა ქართველმა მცველმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფეხბურთელი	მატჩი	ანგ.	შენიშვნა	სულ. სტატ.
რუსეთი				
პრემიერლიგა, XVI ტური				
გოგიტა გოგუა	ლუჩი-სატურნი	2:1	არ უთამაშია, ტრავმა	10 თ, 0 გ.
ნუარი რევიშვილი	რუბინი-ზალაეგერშეგი	2:0	ინტერტოტო: არ უთამაშია	2 თ, -2 გ.
ლაშა სალუქვაძე	რუბინი-ზალაეგერშეგი	2:0	ინტერტოტო: არ უთამაშია	4 თ, 0 გ.
დავით მუჯირი	კრილია სოვეტოვი-სპარტაკი ნ.	1:2	73 წთ. (შეცვალეს)	15 თ, 4 გ.
გელაზა ასათიანი	რუბინი-ლოკომოტივი	-	გადადო	3 თ, 0 გ.
ალეკო ამისულაშვილი	კრილია-სპარტაკი ნ.	1:2	90 წუთი, 1 გოლი	16 თ, 2 გ.
ლევან გვაზავა	კრილია-სპარტაკი ნ.	1:2	77 წუთი	13 თ, 0 გ.
უკრაინა				
ვიშა ლიგა, I ტური				
დავით კვირკველია	მეტალურგი ზ.-კარპატი	1:0	90 წუთი	1 თ, 0 გ.
ირაკლი მოდებაძე	მეტალურგი ზ.-კარპატი	1:0	არ უთამაშია, დუბლები	0 თ, 0 გ.
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი-ნეფტიანიკი	2:0	ჯერ კლუბთან არ გაუფორმებია	0 თ, 0 გ.
ვასილ გიგიაძე	მეტალისტი-ნეფტიანიკი	2:0	90 წუთი	1 თ, 0 გ.
ლადო ბურდული	ვორსკლა-ზარია	1:1	90 წუთი, გააფრთხილეს	1 თ, 0 გ.
გიორგი დემეტრაძე	არსენალი-მეტალურგი დ.	1:3	40 წთ. (შეცვლაზე), გააფრთხ.	1 თ, 0 გ.
ოთარ მარცვალაძე	არსენალი-მეტალურგი დ.	1:3	არ უთამაშია	0 თ, 0 გ.
კახა მძევნაძე	ჩერნომორეცი-ხარკივი	-	18 ივლისი	0 თ, 0 გ.
ჯაბა კანკავა	დნიპრო-კრივბასი	2:0	არ უთამაშია, სათ, დუბლები, 1 გ.	0 თ, 0 გ.
ავსტრია				
ბუნდესლიგა, II ტური				
გიორგი შაშიაშვილი	ვაკერი-შტურმი	0:0	90 წუთი	2 თ, 0 გ.

ნალჩიკის "სპარტაკი" **ალეკო ამისულაშვილის** დატოვებას აპირებს და საამისოდ კიევის "დინამოსთან" მოლაპარაკება წამოიწყო. როგორც ჩანს, ყაბარდოელთა ჩანაფიქრი განხორციელდება. ქართველ ლეგიონერს კლუბთან კონტრაქტი 31 ივლისს უმთავრდება და მისით რუსეთის პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი დაინტერესდა.

ალეკომ ინტერნეტ-გამოცემა "ჩემპიონატს" გაუმხილა, რომ სავარაუდოდ, ნალჩიკის "სპარტაკში" დარჩება: "*დიდი შანსია, კლუბში დავრჩე. ნალჩიკში თავს კარგად ვგრძნობ, ყველაფერი მაწყობს და ამ ეტაპზე კლუბის შეცვლას აზრი არ აქვს. თუმცა რაიმე გაუთვალისწინებელი რომ არ მოხდეს, "სპარტაკის" ხელმძღვანელობა კიევის "დინამოს" არენდის გაგრძელებაზე უნდა შეუთანხმდეს*".

ამისულაშვილი ნალჩიკში რჩება

ჩვენი ინფორმაციით კი, ალეკოს წასვლა ძალიანაც სურს, მაგრამ კიევის "დინამომ" რუსეთში უკვე წარმატებით მოთამაშე ქართველში მილიონი დოლარი მოითხოვა, რაც დაინტერესებულ გუნდებს აფრთხობს. აქედან გამომდინარე, ამისულაშვილი მზადაა, ნალჩიკში არენდით დარჩეს. თუმცა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე იმედი რჩება - იქნებ, კიევიდან რომელიმე პრემიერლიგელმა გამოისყიდოს.

მერაბ მამულაშვილი

ლევან კობიაშვილი (3)

კობიაშვილი მოედნის ცენტრშია

გერმანული პრესა ვარაუდობდა, რომ **ლევან კობიაშვილი** მომავალ სეზონში მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშებდა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "შალკეს" თავკაცი **მირკო სლომკა** მას უმეტესად ნახევარდაცვის ცენტრში გაამწესებს ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, "ხუმარების" რიგებში ქართველმა ორი ტესტ-მატჩი ჩაატარა და ორივე შუა ხაზში.

შაბათს "შალკე" ამხანაგურად "მიდლსბროს" გაეჯიბრა და რივერსაიდელები 3:0 გაანადგურა. ლევანს საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღია, "მიდლსბროს" **კურანიმ, ასამაომ** და **აზაუაგმა** გაუტანეს. .

ლევან ჯანეზაშვილი

თარგამაძე: სამი წლით ფრაიბურგში

დავით თარგამაძე თებერვლიდან "ფრაიბურგის" დუბლებთან ვარჯიშობს. მას კონტრაქტის გაფორმების უფლება ასაკის გამო არ ჰქონდა. ფიფა 18 წლამდე ფეხბურთელებთან პროფესიული ხელშეკრულების გაფორმებას კრძალავს.

გუშინ დათოს დავუკავშირდით, რომელმაც სიახლე გვითხრა: "*უკვე ათი დღეა ფრაიბურგში ვარ და გუნდში ვვარჯიშობ. ძალიან დიდი დატვირთვებია და თავიდან დასვენებულზე გამიჭირდა, თუმცა მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა* ".

უკვე გადაწყვეტილია, რომ დათო "ფრაიბურგთან" კონტრაქტს გააფორმებს: "*გუნდის მენეჯერი მესაუბრა და საქმე გადაწყვეტილია, მალე "ფრაიბურგში" ოფიციალურად ჩავირიცხები. 18 წლის 22 აგვისტოს ვხდები. მერე დუბლების განაცხადშიც შემიყვანენ და კონტრაქტსაც გავაფორმებ. წინასწარი შეთანხმებით, ხელშეკრულება სამწლიანი იქნება*".

მერაბ მამულაშვილი

ხიზანეიშვილი ფინალში დამარცხდა

ახალი სეზონის წინ "ფრაიბურგმა" ბლიც-ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ფინალში **რობინ დუტის** გუნდი "როიტლინგენს" დაუპირისპირდა და 0:1 დამარცხდა. **ოთარ ხიზანეიშვილმა** მოედანზე 90 წუთი დაჰყო. "ფრაიბურგის" მთავარი მწვრთნელი თავისი გუნდის თამაშის ხარისხით უკმაყოფილო არ დარჩენილა.

ახალი სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს ოთარი და მისი თანაგუნდელები 5 აგვისტოს ჩაატარებენ, როცა გერმანიის თასის პირველ რაუნდში სტუმრად სამოყვარულო "ვილინგენს" შეხვდებიან. მეორე ბუნდესლიგას კი "ფრაიბურგი" 10 აგვისტოს დაიწყებს. ასევე გასვლით შეხვედრაში გუნდი "ოსნაბრუკს" დაუპირისპირდება.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

MLS. ბექჰემის წარდგენა

FOOTBALL კი არა, SOCCER!

ბექჰს ამერიკა პომპეზურად დახვდა...

ბექჰემი ახალი გუნდის ფორმით

უდიდესი ეიფორია, დაუსრულებელი ფეიერვერკები, ათასობით ფანი სტადიონზე: **დევიდ ბექჰემს** ლოს ანჯელესში, როგორც მოსალოდნელი იყო, გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ლოს ანჯელესის ზეიმი - ეს მთელი კალიფორნიისა და საერთოდ, მთელი ამერიკის ზეიმი გახლდათ. სტადიონზე მისული გულშემატკივრები და ისინი, ვისაც ფეხბურთში, უფრო სწორად, სოკერში ძალიან ცოტა რამ გაეგება და იქ მხოლოდ იმიტომ მივიდა, რომ ბექჰემი ენახა, დევიდის თითოეულ განცხადებას გამაყრუებელი ჟიჟინით ხვდებოდნენ.

საინტერესო ის გახლავთ, რომ ბექზმა თავისი პირველი გამოსვლა დიდი შეცდომით დაიწყო და თითქოს ეს შეცდომაც სიმბოლური გამოვიდა. ცხადია, პირველივე წინადადებაში ახსენა სიტყვა "ფეხბურთი", მაგრამ როგორ თქვა? Football! მერე კი შეცდომას მიხვდა, გაეცინა და გამოასწორა: Soccer...

მისი ახალი გუნდის, "გალაქსის" მთავარ მწვრთნელ **ფრენკ იალოპს** რომ ჰკითხოთ, დევიდი ამერიკული ფეხბურთის, ცხადია, არა იმ ფეხბურთის, არამედ სოკერის პოპულარიზაციის უდიდესი გარანტიაა. *"ჩვენი მიზანია, რომ ერთ დღესაც MLS მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო ლიგა იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ ბექჰემის ჩამოყვანით ამ მიზნის მისაღწევად უდიდესი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ამ ხუთი წლის განმავლობაში, სანამ დევიდი ჩვენთან ითამაშებს, ამერიკაში კიდევ არაერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჩამოვა. ბექჰემი გრანდიოზული პიროვნება და შესანიშნავი ფეხბურთელია,"* - განაცხადა დევიდის წარდგენაზე იალოპმა, რომელიც შაბათს აქეთ ბექჰის დაბრიგებელი გახლავთ.

საინტერესოა ალბათ, თუ სად ხედავს ეს უკანასკნელი ბექჰემის ადგილს მოედანზე. იალოპის აზრით, ბექჰის ადგილი ნახევარდაცვის ცენტრშია, იქ, სადაც ბოლო დროს თამაშობდა. *"მწვრთნელმა მითხრა, რომ მოედნის ცენტრში უნდა მათამაშოს. პრობლემა არ არის, "რეალშიც" ხომ ამ პოზიციაზე ვასპარეზობდი. სადაც დამაყენებენ, იქ ვითამაშებ,* - თქვა დევიდმა და იქვე დასძინა, - *თავს ძალიან პატივცემულად ვგრძნობ. ჩემი პირველი ვარჯიშის სანახავად ათასობით ადამიანი მოვიდა. ამას ნამდვილად არ ველოდი. არ მეგონა, თუ ამერიკა ასე დამხვდებოდა."*

კიდევ რა თქვა? მაგალითად, ის, რომ ამაყობს, კალიფორნიელობას, რის გამოც ფანებისგან ყველაზე ხანგრძლივი აპლოდისმენტები დაიმსახურა. თანაც, დევიდმა "გალაქსისადმი" პატივისცემას თმის ფერითაც გაუსვა ხაზი - სპეციალურად ამ დღისთვის მან თმა თეთრად შეიღება - კლუბის ფერიც ხომ თეთრია. ბექჰი აშშ-შიც 23-ე ნომრით ითამაშებს, ნომრით, რომელიც ამერიკელებს, პირველ რიგში, ლეგენდარულ **მაიკლ ჯორდანს** აგონებთ.

და კიდევ, დევიდის მთავარი განცხადება: *"ისეთ სპორტულ ქვეყანაში, როგორიც ამერიკაა, ფეხბურთი ყველაზე პოპულარულ სახეობათა სამეულშიც კი არ შედის. ეს ძალიან სამწუხაროა. მინდა, ვიზრუნო იმისთვის, რომ ფეხბურთი მინიმუმ სამეულში მოხვდეს!"* "გალაქსის" რიგებში ბექჰის დებიუტი 21 ივლისს, "ჩელსისთან" ამხანაგურ შეხვედრაში შედგება...

გოტფრიდ ლენცი

ჩელსი

არისტოკრატი მალუდას პირველი გოლი

მოურინიო ბექჰემის ნაკვალევს გაუყვება

ლონდონის "ჩელსიმ" თავისი ამერიკული ტურნეს პირველი შეხვედრა ჩაატარა. **ჟოზე მოურინიოს** გუნდს მექსიკის "ამერიკა" დაუპირისპირდა, რომელიც **ხუან კარლოს მოსკედას** მიერ მე-3 წუთზე გატანილი გოლით, დიდი ხანი უგებდა "არისტოკრატებს".

"ჩელსიმ" მდგომარეობა მეორე ტაიმის ბოლოსკენ გამოასწორა. პირველი ნახევრის შემდეგ, პორტუგალიელმა მწვრთნელმა ცხრა ფეხბურთელი შეცვალა. მოედანზე გამოჩნდა ლონდონელთა ახალწვეული **ფლორან მალუდა**, რომელმაც 74-ე წუთზე თავისი პირველი გოლი გაიტანა "ჩელსიში" და ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრას ნერტილი კი, "არისტოკრატთა" კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** დაუსვა - მან 83-ე წუთზე გამარჯვების გოლი შეაგდო. სხვათა შორის, ტერი ერთადერთი იყო ინგლისელთა შემადგენლობაში, რომელმაც სრულად ითამაშა ეს შეხვედრა.

ამ მატჩში "ჩელსის" შემადგენლობა ასეთი იყო:

პირველი ტაიმი: ჩეხი, ჯონსონი, ბენ ჰაიმი, ტერი, კორკი, მაკელელე, სიდუელი, ლემპარდი, ჯო კოული, შევჩენკო, რობენი.

მეორე ტაიმი: კუდიჩინი, ჯონსონი (76. სინკლერი), რიკარდო კარვალიო, ტერი, ჰათჩინსონი, ესიენი, დიარა, რაიტ ფილიპსი, მალუდა, დროგბა, კალუ.

მალუდას პირველი ინგლისური გოლი

მატჩის შემდეგ, ჟოზე მოურინიომ პრესკონფერენცია ჩაატარა, სადაც მას, ძირითადად, გუნდის ლიდერების შესახებ დაუსვეს შეკითხვები. პორტუგალიელმა ხმამაღლა განაცხადა, რომ ჯონ ტერი, **ფრენკ ლემპარდი** და **არიენ რობენი** მის გუნდს არ დატოვებენ.

"ტერის, ლემპარდსა და რობენს ჩვენთან დარჩენა სურთ. ასეთივე სურვილი გააჩნია თავად კლუბის ხელმძღვანელობასაც. ამიტომაც, ისინი ლონდონში დარჩებიან", - განაცხადა მოურინიომ და იქვე **ანდრეი შევჩენკოს** სავარაუდო წასვლის შესახებ გავრცელებულ ჭორებსაც გაუკეთა კომენტარი. - *"შევჩენკოს ჩემთვის არ უთქვამს, რომ წასვლა უნდა. ის აგრძელებს მუშაობას, ასე რომ, შევასთან დაკავშირებით სიტუაცია არ შეცვლილა"*.

ბუნებრივია, ამერიკაში მყოფ პორტუგალიელს "ლოს ანჯელეს გელაქსიში" გადასული **დევიდ ბექჰემის** შესახებაც ჰკითხეს. მოურინიომ განაცხადა, რომ სურვილი აქვს, ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტნის მაგალითზე, კარიერის მიწურულს ამერიკაში განაგრძოს მუშაობა: *"დარწმუნებული ვარ, ბექჰემს ბევრი მიბაძავს და ამერიკაში გადავა სათამაშოდ. კარიერის ბოლოს, მეც ვისურვებდი აქ მწვრთნელად მუშაობას. შესანიშნავი ქვეყანაა, სადაც ფეხბურთის განვითარებისთვის ბრწყინვალე პირობები არსებობს"*.

"ევროპული ფეხბურთი ძალიან მოიწყენს ბექჰემის გარეშე", - იქვე დაამატა ჟოზემ.

ამასობაში, ლონდონის "ჩელსი" კომპანია "უოლტ დისნეისთან" მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. ოთხწლიანი ხელშეკრულების თანახმად, ლონდონური კლუბი "დისნეის" მფლობელობაში მყოფი კომპანია "უაიდ უორლდ ოფ სპორტსის" კუთვნილი გუნდი გახდება.

"ეს ორივე მხარისთვის უმნიშვნელოვანესი შეთანხმებაა. "ჩელსი" კმაყოფილია "დისნეისთან" კონტრაქტის გაფორმებით. ჩვენ ამერიკაში ფეხბურთის განვითარებაზე ზრუნვას ვაპირებთ და ეს პირველ რიგში, ბავშვთა და იუნიორთა ფეხბურთს შეეხება. ამ საქმეში "დისნეისგან" დიდ დახმარებას ველით", - ამბობს "ჩელსის" კომერციული დირექტორი **პოლ სმიტი**.

ბექჰემი ახალი გუნდის ფორმით

კოპა ამერიკა

უგო სანჩესი თავაწეული დაგვემშვიდობა

ტაბარესის აზრით, ურუგვაის ნაკრებმა მსაჯის შეცდომების გამო წააგო

ურუგვაი-მექსიკა 1:3

ურუგვაი: კარინი, პერეირა, ვალდესი, ლუგანო, სკოტი, ფუსილე, იგნასიო გონსალესი (73. კანობიო), პაბლო გარსია (79. გარხანო), კრისტიან როდრიგესი, ფორლანი (73. ვისენტე სანჩესი), აბრეუ.

მექსიკა: ოჩოა, კასტრო, ფრანსისკო როდრიგესი, მაგელიონი, პინტო (64. გარდადო), ტორადო, მორალესი, ლოსანო (75. კორეა), ბლანკო, კასტილიო, ბრავო (87. ლანდინი).

გოლები: 1:0. აბრეუ (21), 1:1. ბლანკო (37-პენ), 1:2 ბრავო (67), 1:3. გარდადო (75)

გაძევება: 36. ლუგანო (ურუგვაი)

მექსიკის ნაკრებმა კოპა ამერიკა მნიშვნელოვანი გამარჯვებით დაასრულა. "აცტეკებმა" მესამე ადგილი დაისაკუთრეს. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ჩემპიონობის ტოლფასი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სხვადასხვა პრობლემით დამძიმებული გუნდისთვის ბრინჯაოს მედლები სულაც არ გახლავთ ურიგო შედეგი. თამამად შეიძლება ითქვას, **უგო სანჩესის** ბიჭებმა სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მესამე ადგილისთვის მატჩში ანგარიში ურუგვაიმ გახსნა. მექსიკას საიმისო უნარი და ძალა აღმოაჩნდა, რომ თამაშის დარჩენილი დროის სცენარი მისთვის სასიკეთოდ შემოეტრიალებინა და საქმე გამარჯვებამდე მიეყვანა.

ხშირად ხდება, როცა ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები მესამე ადგილისთვის შეხვედრას ფეხებზე იკიდებენ და ინერტულად თამაშობენ. საბედნიეროდ, ამჯერად ასე არ მოხდა. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ფარ-ხმალი დაყარა, **რაფა მარკესი** გახლდათ. "ბარსელონის" მცველმა არგენტინის ნაკრებთან განცდილი მარცხით მოტივაცია დაკარგა და კატალონიურ გრანდს დაუბრუნდა. როგორც გაირკვა, მექსიკას მარკესის გარეშეც შეუძლია წარმატებაზე ფიქრი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დაპირისპირება ძალიან საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა. მატჩი საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყო. დებიუტში **ოსკარ ტაბარესის** შეგირდები დომინირებდნენ. ისინი მოწინააღმდეგის იერიშებს უპრობლემოდ უმკლავდებოდნენ. მექსიკას გადაბმულად სამი პასის გაკეთებაც კი უჭირდა. სერიოზული ჩავარდნის შემდეგ სანჩესის ბიჭები გონს მოეგნენ და თამაშის ხარისხი გაათანაბრეს. რაოდენ ცინიკურიც არ უნდა იყოს, გოლი მათ სწორედ ამ დროს გაუშვეს. 21-ე წუთზე **მაქსი პერეირამ** მარცხენა ფლანგზე **ოჩოას** საჯარიმოში ჩაჰკიდა. **სებასტიან აბრეუმ** ყველას დაასწრო და ეფექტური თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. მექსიკელებმა მოწინააღმდეგის ეს გამოხდომა მეტისმეტად მტკივნეულად აღიქვეს და უმალ შეტევაში გადაერთვნენ. თავდასხმას ისინი უდიდეს ძალებს ახმარდნენ. შედეგმაც არ დაახანა. კარინის უამრავი თავსატეხი გაუჩნდა. ყველაზე მეტად მას **ნერი კასტილიო** აწუხებდა. ამასობაში, 36-ე წუთი დადგა. **რამონ მორალესმა** საჯარიმო დარტყმა შეასრულა. ბურთი ხარიხას მოხვდა. თითქოს ურუგვაი განსაცდელს გადაურჩა, მაგრამ მსაჯმა წესების დარღვევა დააფიქსირა. მისი აზრით, **დიეგო ლუგანომ ხერარდო ტორადოსთან** ორთაბრძოლისას უკანასკნელი იმედის ჯარიმა აიკიდა. ეკვადორელმა **მაურისიო რეინოსომ** ლუგანოს წითელი ბარათი უჩვენა და პენალტი დანიშნა. სტანდარტული მდგომარეობა ვეტერანმა **კვატემოკ ბლანკომ** გოლად აქცია.

მეორე ტაიმში ურუგვაელებს აშკარად დაეტყოთ, რომ 10 კაცით თამაშობდნენ, თუმცა სერიოზული პრობლემების მიუხედავად, "სელესტე" შიგა და შიგ მაინც მწვავედ უტევდა. ბუნებრივია, მექსიკას მეტი საშუალება ჰქონდა იმისთვის, რომ მეორე გოლის გატანაზე უფრო თამამად ეფიქრა. **პინტოს** ნაცვლად **გარდადოს** გამოსვლა სწორედ იმაზე მიანიშნებდა, რომ უგო სანჩესს ძირითად დროშივე სურდა გამარჯვება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მექსიკელი სპეციალისტის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. "აცტეკები" **ომარ ბრავოს** ლამაზი გოლით დაწინაურდნენ. მან დასწრებაზე იყოჩაღა და კარინის შანსი არ დაუტოვა. ბოლოს მოვლენათა ეპიცენტრში შეცვალზე შესული ანდრეს გარდადო მოექცა. მესამე გოლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ურუგვაის ეშმაკიც ვეღარ უშველიდა. საფინალო სასტვენმა მექსიკა 2007 წლის კოპა ამერიკის მესამეადგილოსნად აქცია.

უგო სანჩესი, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა: *"ტურნირის დაწყების წინ ვაცნობიერებდით, რომ ჩემპიონობა დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. ვენესუელაში ჩემი გუნდი დაღლილი ჩამოვიდა. რამდენიმე ლიდერიც გვაკლდა. აქედან გამომდინარე, დაუფარავად ვამბობდით, რომ ფავორიტები არ ვიყავით... თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, მაქსიმალური მიზნების მისაღწევად გახლდით მოტივირებულები. ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, კმაყოფილი დავრჩი. რა თქმა უნდა, სულ სხვა საქმე იქნებოდა, ფინალში რომ გავსულიყავით, მაგრამ არგენტინასთან მატჩის შემდეგაც ვისაუბრე, რომ "ალბისელესტე" საუცხოო ფორმაში იყო და მის დასამარცხებლად მზად არ ვიყავით. ბიჭებს თავდადებული თამაშისთვის მადლობას მოვახსენებ. იმედია, გულშემატკივრები ჩვენს გარჯას ჯეროვნად დააფასებენ. მით უმეტეს, დღეს ურთულესი პაექრობა მოვიგეთ. როგორც ნახეთ, ურუგვაი დაწინაურდა, თუმცა შევძელით და სამი ბურთი შევაგდეთ. მიხარია, რომ მექსიკის ნაკრების ამ შემადგენლობამ ფანტასტიკური გამოცდილება შეიძინა. თითქოს ცეცხლში გამოვიბრძმედეთ."*

უგო სანჩესი

იდეა

ბლატერი: გავაუქმოთ დამატებითი დრო!

ფიფას პრეზიდენტს ეს იდეა კოპა ამერიკამ მიაწოდა...

ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** ძალიან მოსწონს ის, რომ კოპა ამერიკაზე, საფლეიოფო მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში, დამატებითი 15-წუთიანი ტაიმები არ ინიშნება და რომ გუნდები მაშინვე თერთმეტმეტრიანებს ურტყამენ.

"ჩემი აზრით, ეს იდეალური წესია. მას მერე, რაც ოქროსა და ვერცხლის გოლის სისტემა გაუქმდა, დამატებითმა დრომ ფაქტობრივად, აზრი დაკარგა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. უმჯობესი იქნება, თუ ძირითადი დროის ფრედ დასრულების შემთხვევაში, გუნდები პირდაპირ თერთმეტმეტრიანებს დაარტყამენ," - განაცხადა ფიფას შვეიცარიელმა ბოსმა.

ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი შანსია, უახლოეს მომავალში ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატებზე დამატებითი თხუთმეტწუთიანი ტაიმები მართლაც გაუქმდეს. ისე, რომ არა დამატებითი დრო, საფეხბურთი ისტორიას არც უემბლის ლეგენდარული გოლი ექნებოდა და არც **ზინედინ ზიდანის** "თავური დარტყმა"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

ფენერბაჰჩე: 40 მილიონი კურანის!

თურქები შალკეს ფორვარდს ზღაპრულ კონტრაქტს სთავაზობენ

წინა ნომერში გაუწყეთ, რომ "ფენერბაჰჩეს" "შალკესა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელ **კევინ კურანის** გადაბირება სურს. იმასაც ვწერდით, რომ თურქულმა კლუბმა, რომელსაც **ზიკო** წვრთნის, გელზენკირხენულ გუნდს 15 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ "შალკეს" მენეჯერი **ანდრეას მიულერი** ცივ უარზეა - კურანის გაყიდვა ჩვენთვის თვითმკვლელობა იქნებაო. ერთი სიტყვით, ტრანსფერი ერთობ არარეალური ჩანდა, მაგრამ მას მერე, რაც გაირკვა, თუ რაოდენ დიდ ხელფასს სთავაზობს "ფენერი" კევინს, გამორიცხული უკვე აღარაფერია. თავად განსაჯეთ: "ფენერბაჰჩე" მზადაა, კურანის ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმოს და ამ კონტრაქტისთვის 40 მილიონი ევრო გადაუხადოს! დიახ, წელიწადში 10 მილიონი - ზუსტად იმდენი, რამდენსაც "ბაიერნის" ახალწვეული **ლუკა ტონი** იღებს.

ეს კი ძალიან დიდი თანხაა, წინადადება, რომელზეც უარის თქმა არა მარტო კურანის, არამედ ნებისმიერიერ ფეხბურთელს გაუჭირდება. მეტიც, "ფენერბაჰჩე" მზადაა, კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, 25 წლის გერმანელ ფეხბურთელს 40 მილიონის 80 პროცენტი, რაც 32 მილიონს შეადგენს, ახლავე გადაუხადოს! დაგვეთანხმებით, იდეალურზე უკეთესი წინადადებაა.

კურანი და მისი მრჩეველი **როჯერ ვიტმანი** ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას ერიდებიან. "ფენერბაჰჩესთან" დაკავშირებით, კევინმა დღემდე მხოლოდ ერთი კომენტარი გააკეთა და თქვა, ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ ზიკოს დარი ლეგენდარული კაცი მეპატიჟება, მაგრამ "შალკეში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობო. მაგრამ ეს განცხადება კევინმა ერთი კვირის წინათ გააკეთა, მას მერ ეკი ალბათ, ბევრი რამ შეიცვალა.

როგორც იცით, ზიკომ უკვე გადაიბირა **რობერტო კარლოსი**. "ფენერის" ბოსები მზად არიან, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას მიაღწიოს. ხოლო ის, რომ თურქებს ბევრი ფული აქვთ, აქამდეც არაერთხელ დამტკიცებულა. "შალკეს" პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი** ამბობს, 30 მილიონიც რომ შემოგვთავაზონ, კურანის მაინც არ გავყიდითო. იგივეს იმეორებს მენეჯერი მიულერიც, მაგრამ თუ თვითონ ფეხბურთელმა მოისურვა, ტრანსფერს წინ არაფერი დაუდგება. ამიტომაცაა, თურქები კევინს მართლაც ზღაპრულ პირობებს რომ სთავაზობენ. 40 მილიონი ოთხწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ, აქედან 32 მილიონი ახლავე - კურანის უარის თქმა გაუჭირდება...

გოტფრიდ ლენცი

კევინ კურანი

კარლოს ალბერტო

ვერდერი

ახალი მუსიკოსი კარლოს ალბერტო

მან დიეგოსთან ერთად მრისხანე დუეტი უნდა შექმნას...

"ვერდერი" ერთადერთი გუნდი იყო ბუნდესლიგაში, რომელმაც ახალი სეზონისთვის მზადება ახალწვეულების გარეშე დაიწყო. და ის ის იყო, ბრემენელ ფანებს ახალი ფეხბურთელების ხილვის იმედი გადაეწურათ, რომ გუნდის ბოსებმა ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელეს. როგორც მოსალოდნელი იყო, "ვერდერმა" 22 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი **კარლოს ალბერტო** შეიძინა. ამ უკანასკნელმა "მუსიკოსებთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ბრემენელებს მისი შეძენა 8.5 მილიონი ევრო დაუჯდათ. "ვერდერმა" კარლოს ალბერტო შაბათს წარადგინა. შაბათსვე, ამ ფეხბურთელმა **თომას შააფის** ხელმძღვანელობით პირველად ივარჯიშა.

"მიხარია, რომ ტრანსფერი, ბოლოს და ბოლოს, შედგა. "ვერდერისთვის" თავს არ დავზოგავ და ყველა თამაშში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ. ჩემი მიზანი ამ გუნდთან ერთად უამრავი ტიტულის მოგებაა," - განაცხადა ბრაზილიელმა ახალწვეულმა. აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელისთვის "ჰამბურგიც" იბრძოდა და მზად იყო, 7.5 მილიონი გადაეხადა, მაგრამ "ვერდერმა" 1 მილიონით მეტის გადახდა შეძლო და HSV-ც ამიტომ დანებდა. ამას გარდა, კარლოს ალბერტოს რუსული კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა უპირატესობა "ვერდერს" მიანიჭა. როგორც თვითონ ამბობს, ეს თანამემამულე **დიეგოს** გამო გააკეთა, რომელიც მისი მეგობარია. *"დიეგოს ხშირად ვესაუბრებოდი. მეუბნებოდა, "ვერდერი" არაჩვეულებრივი გუნდია, აუცილებლად აქ უნდა გადმოხვიდე, თანაც, ერთად ვიქნებითო. ასე რომ, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რისთვისაც ბრემენში გადმოვედი, სწორედ დიეგოა,"* - თქვა კარლოს ალბერტომ.

ასე რომ, ამ უკანასკნელმა ნახევარდაცვაში დიეგოსთან ერთად მრისხანე დუეტი უნდა შექმნას. მაინც, როგორი სტილის ფეხბურთელია ალბერტო? *"თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლია, ბევრ გოლი გააქვს და კარგი პასიც აქვს. ერთდროულად ფლეიმეიქერიც არის და საყრდენი ნახევარმცველიც. გარდა ამისა, ფლანგ ზეც შეუძლია თამაში,"* - ასე ახასიათებს ახალწვეულს შააფი.

19 წლის იყო, როცა "პორტუში" გადავიდა - ეს 2004 წელს მოხდა და პირველსავე სეზონში პორტუგალიის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა. გეხსომებათ, ლიგის ფინალში, "მონაკოსთან" ანგარიში სწორედ მან გახსნა. 2005 წელს ისევ ბრაზილიაში დაბრუნდა, სადაც "კორინთიანსთან" ერთად ბრაზილიის ჩემპიონობა იზეიმა, მერე კი, "ფლუმინენსეს" რიგებში თასიც მოიგო. ამრიგად, ასაკის კვალობაზე, საკმაოდ ტიტულოვანი ფეხბურთელია.

ბრემენელთა მომდევნო მიზანი თავდამსხმელის ყიდვაა, რომელიც **მიროსლავ კლოზეს** შეცვლის. გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** არც იმ ვარიანტს გამორიცხავს, რომ "ვერდერმა" აღარავინ იყიდოს. თუმცა გაირკვა, რომ "მუსიკოსებმა" ჰამბურგის კოტ დ'ივუარელ ფორვარდ **ბოუბაკარ სანოგოს** დაადგეს თვალი. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელით "შტუტგარტიცაა" დაინტერესებული.

გოტფრიდ ლენცი

ტრანსფერი

აილტონი ისევ ბუნდესლიგაშია!

არა ჰანზა, არამედ დუისბურგი...

ბუნდესლიგის შვილი სახლში დაბრუნდაო, წერენ ჩვენი გერმანელი კოლეგები. საუბარია 33 წლის ბრაზილიელ თავდამსხმელ **აილტონზე**, რომელმაც შაბათს მეორედან პირველ ბუნდესლიგაში აღზევებულ "დუისბურგთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. როგორც იცით, ტონის გადაბირება როსტოკის "ჰანზასაც" სურდა, მაგრამ "დუისბურგის" შეფებმა უფრო მეტი ფხა გამოიჩინეს და ბუნდესლიგის ექს-ბომბარდირი გადაიბირეს.

MSV-მ აილტონი შაბათსვე წარადგინა, ფეხბურთელმა კი, პირველივე სიტყვებით ფანების გული მოიგო. *"სალამი! მე ისევ დავბრუნდი. აილტონი ფეხბურთელი არის, გოლების გატანა უნდა!"* - თქვა ტონმ თავისი დამტვრეული გერმანულით. კონტრაქტი ერთწლიანია, მაგრამ თუ მომავალ სეზონში 20 შეხვედრას ჩაატარებს, ხელშეკრულება ავტომატურად კიდევ ერთი წლით გაგრძელდება. აილტონის ხელფასი 600 000 ევრო იქნება. ცნობილი გახდა, რომ ბელგრადის "პარტიზანმა" კომპენსაციის სახით 100 000 ევრო მიიღო.

"აილტონი ზუსტად ის ფეხბურთელია, რომელიც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა. ჯერჯერობით, ფორმაში არაა, წონა აქვს მომატებული, მაგრამ დამპირდა, რომ აუცილებლად დაიკლებს. ტონის ბუნდესლიგაში 211 თამაშში 105 გოლი აქვს გატანილი და ეს კვოტა ყველაფერზე მეტყველებს," - აცხადებს "ზებრების" დამრიგებელი **რუდი ბომერი**. *"თურქეთსა და ბელგრადში თავს ცუდად ვგრძნობდი, ჩემთვის იდეალური ბუნდესლიგაა. მინდა, ყველას დავუმტკიცო, რომ გოლების გატანა ძველებურად შემიძლია,"* - ეს კი აილტონის სიტყვები გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ ტონი 1998-იდან 2004 წლამდე "ვერდერის" ღირსებას იცავდა და ბრემენული კლუბის მაისურით 169 თამაშში 88 გოლი გაიტანა. 2003/04 წლების სეზონში ის 28 გოლით ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. "ვერდერის" შემდეგ ერთი სეზონი "შალკეში" გაატარა. მისი მომდევნო გაჩერება "ბეშიქთაში" გახლდათ, საიდანაც ნახევარი სეზონით "ჰამბურგში" გაანათხოვრეს. ბოლოს კი "პარტიზანის" საკუთრება იყო და "გრასჰოპერსში" გახლდათ განათხოვრებული.

აილტონი

ატლეტიკო ბრაზილს უმიზნებს

მადრიდის "ატლეტიკო" აქტიურად ზრუნავს შემადგენლობის გაძლიერებაზე. ამ მიზნით, მან წინადადებით მიმართა "ლიონის" თავდამსხმელ **სიდნი გოვუს** და მას 4-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა - წერს გაზეთი "ეკიპი". ამ ხელშეკრულების მიხედვით, ფრანგი ფეხბურთელი სეზონში 1.2 მილიონ ფუნტს მიიღებს.

გოვუს ტრანსფერი სწორედ კუარეშმას "პორტუდან" გადაბირების ალტერნატივად განიხილება.

ღღეს ბეტისში კუპერს დანიშნავენ

საბგენტო "როიტერის" ინფორმაციით, დღეს "ბეტისი" ჟურნალისტებს ახალ მთავარ მწვრთნელს წარუდგენს. ეს გახლავთ საქვეყნოდ ცნობილი არგენტინელი სპეციალისტი **ექტორ კუპერი**, რომელიც თავის დროზე ესპანეთში "მალიორკასა" და "ვალენსიას" ავარჯიშებდა. ეს უკანასკნელი კუპერმა ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

უგო ვიანა ოსასუნას დაეხმარება

პორტუგალიელი ნახევარმცველი **უგო ვიანა** მომავალ სეზონში "ოსასუნას" ღირსებას დაიცავს. ერთწლიანი არენდის წესით, ეს ნიჭიერი ფეხბურთელი "ვალენსიადან" პამპლონაში გადაბარგდა.

"როიტერი" აგრეთვე იტყობინება, რომ თუ გაისად "ოსასუნა" 4 მილიონ ევროს გადაიხდის, უგო ვიანა მისი საკუთრება გახდება.

ესპანიოლი პარტიზანის კაპიტანს იფორმებს

სერბეთიდან ესპანეთში სათამაშოდ გადადის ბელგრადის "პარტიზანის" კაპიტანი **მილან სმილიანიჩი**. კერძოდ, სერბეთის ნაკრების 21 წლის ნახევარმცველი "ესპანიოლში" გააგრძელებს კარიერას.

ბარსელონელთა სპორტული დირექტორი **პაკო ერერა** უკვე ჩავიდა ბელგრადში, სადაც "პარტიზანის" ხელმძღვანელობასთან სმილიანიჩის მომავალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. სავარაუდოდ, სერბი ფეხბურთელი "ესპანიოლთან" 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

კუარეშმა 20 მილიონი ღირს

"პორტუ" მზად არის, დათმოს თავისი შემტევი ნახევარმცველი **რიკარდო კუარეშმა**, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამ ფეხბურთელში პოტენციური მყიდველი 25 მილიონ ევროს გადაიხდის. ამ ინფორმაციას გაზეთი "მარკა ავრცელებს.

ამავე გამოცემის ცნობით, კუარეშმათი ყველაზე მეტად მადრიდის "ატლეტიკოა" დაინტერესებული, რომელიც პორტუგალიელ ნახევარმცველში 22 მილიონ ევროს იხდის. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ საქმეში "რეალი" ჩაებას და თანაქალაქელ კლუბს კუარეშმა ცხვირწინ აიცალოს.

ჰაინცე კონტრაქტის გამოსყიდვას აპირებს

MAIL ON SUNDAY იტყობინება, რომ არგენტინის ნაკრების მცველ **გაბრიელ ჰაინცეს** "მანჩესტერ იუნაიტედში" დარჩენა არ სურს. 29 წლის ფეხბურთელი აპირებს, გამოსყიდოს ინგლისის ჩემპიონთან მოქმედი კონტრაქტი, რათა "ლივერპულში" გააგრძელოს კარიერა.

შეგახსენებთ, რომ ადრე "მანჩესტერმა" კატეგორიულად უარყო ჰაინცეს გაყიდვა ინგლისის ნებისმიერ სხვა გუნდში, არადა, თავად არგენტინელს ძალიან სურს გარემოს გამოცვლა.

ჰაინცეზე პრეტენზიას მადრიდის "რეალიც" აცხადებს.

ვენგერი არ ჩქარობს

SKY NEWS-სთვის მიცემულ ინტერვიუში, ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** თავისი მომავალი კარიერის თაობაზე ასეთი განცხადება გააკეთა:

"ჩემი მომავლის შესახებ ინფორმაციას საჭირო მომენტში გამოვაცხადებ და არა იმ დროს, როცა ამას ჟურნალისტები მკითხავენ".

როგორც ცნობილია, ვენგერის "არსენალთან" კონტრაქტს მომავალი სეზონის ბოლოს ეწურება ვადა და ვარაუდობენ, რომ "მეთოფეთა" რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად, ფრანგი სპეციალისტი "ბარსელონაში" გააგრძელებს მოღვაწეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალჩოპოლი

მოჯი წყალსაც წაუღია...

ნეაპოლის პროკურატურამ გამოძიება დაასრულა. დანაშაულებრივმა სისტემამ, რომელიც იუვენტუსის ყოფილმა გენერალურმა მენეჯერმა შექმნა, შეიძლება, 37 კაცი იმსხვერპლოს...

ჩვენი იტალიელი კოლეგები თავიანთი საქმის ოსტატები არიან და ეს უნდა ვაღიაროთ. იციან მულამის დაჭერა. ნებისმიერ მოვლენას ისეთ საინტრიგო სარჩულს ამოუდებენ, გაოცდები კაცი. ხოლო თუ სკანდალს ეხება საქმე, მით უმეტეს, მაქსიმუმს გააკეთებენ, რათა გრანდიოზული ხმაური გამოიწვიონ. აგერ, ნეაპოლის პროკურატურამ გამოაქვეყნა გამოძიების შედეგები, რომელშიც გაშიფრულია იტალიურ ფეხბურთში მოქმედი დანაშაულებრივი სისტემა. დასახელდა იმ 37 ეჭვმიტანილის ვინაობაც, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება. ეს იყო და, მეორე დილითვე გაზეთებმა სიამოვნებით აიტაცეს ახალი "სკანდალური" თემა. აბა, რა უნდა ექნათ?! ჯერ ახალი ჩემპიონატიც არ დაწყებულა და იტალიურ სატრანსფერო ბაზარზეც ერთგვარი სტილია, დიდი მანევრები რაღაც არ ჩანს... ეს არცაა გასაკვირი, რადგან სუპერკლუბების შემოსავლები წლიდან წლამდე კლებულობს. იქმნება მხოლოდ მოჩვენებითი აქტივობის შთაბეჭდილება. მაგალითად, ისეთი, როგორიც ამასწინათ იყო: "მილანი" **რონალდინიოში** 89 მილიონ გირვანქას იხდის და ასე შემდეგ...

...მოკლედ, ნეაპოლურ გამოძიებაზე ვამბობდით. ისე კი, თუ ექსპერტებს დავუჯერებთ, სინამდვილეში ამ პატიოსან სინიორებს ახალი არც არაფერი უთქვამთ. უბრალოდ, მათ გადაღეჭეს შარშანდელი ამბები, როცა თამაშების ჩაწყობისა და მსაჯებზე ზემოქმედების მიზეზით, რამდენიმე ცნობილი პერსონა დაისაჯა - პირველ რიგში, "იუვენტუსის" გენერალური მენეჯერი **ლუჩანო მოჯი** და იტალიური სამსაჯო კორპუსის ლიდერი **პაოლო ბერგამო**. იმ ბოლოქარ დღეებში, სატელეფონო საუბრების გამომზეურება ნამდვილი ბომბი იყო, ბომბი, რომელმაც იტალიური მედია-ბაზარი ააფეთქა. როგორც ამბობენ, "გაძეტა დელო სპორტის" ყოველდღიური ტირაჟი 50 ათასი ეგზემპლარით გაზრდილა!

დღეს ამგვარ ეფექტს აღარ ელოდებიან. იტალიელები ამ ამბებს უკვე სკეპტიკურად უყურებენ, რადგან - ერთი, რომ პროცესი ცალკეულ პიროვნებებთან ანგარიშსწორებას დაემსგავსა, და მეორე, რომ ბევრისთვის ამ პროცესს არაფერი აქვს საერთო კალჩოს განწმენდასთან. მაგრამ ასეა თუ ისე, გამოძიება დასრულდა და, ასე ვთქვათ, ინფორმაცია უნდა გაიყიდოს, თან კარგად შეფუთულიც. იტალიელებს ეს შეუძლიათ. მკითხველს უკვე შესთავაზეს მასალა, რუბრიკით - "კალჩოპოლი", და სათაურით - "გუმბათის ქვეშ". იქ ნათქვამია, რომ მოჯიმ და მისმა დამქაშებმა შექმნეს სინდიკატი ("გუმბათი"), რომელმაც მთელი იტალიური ფეხბურთი თავის კონტროლს დაუქვემდებარა.

მაინც, რა აღმოაჩინეს ამისთანა **ჯუზეპე ნარდუჩიმ** და **ფილიპო ბეატრიჩემ**, გამომძიებლებმა, რომელთა სახელები ახლა პრესაში ყველაზე ხშირად იკითხება. ამ ხნის განმავლობაში მათ ასზე მეტი მოწმე დაკითხეს და ათეულ ათასამდე (!) სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მოისმინეს. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ მოჯიმ შექმნა კორუფციული სისტემა, რომლის შემადგენელ ნაწილებად იქცნენ როგორც იტალიის ფეხბურთის ფედერაციისა და სამსაჯო კორპუსის მაღალჩინოსნები, ასევე, თქვენ წარმოიდგინეთ, ცალკეული ჟურნალისტებიცა და ტელეგადაცემათა რედაქტორებიც კი. ამ სისტემის მიზანი იყო, გავლენა მოეხდინა ნაციონალური ჩემპიონატის შეხვედრათა შედეგებზე. ერთმანეთთან კავშირს კი ლიხტენშტაინში სპეციალურად შეძენილი, შვეიცარიული მობილიური ოპერატორის SIM-ბარათით ახორციელებდნენ. ამას გარდა, ნარდუჩიმ და ბეატრიჩემ გამოაქვეყნეს 2004/05 წლების სეზონის იმ მატჩების ნუსხაც, რომელიც გარიგებული იყო, ან შეიძლება, გარიგებული ყოფილიყო.

ძნელი მისახვედრი არ არის, მოვლენათა ეპიცენტრში კვლავ "იუვენტუსი" აღმოჩნდა. თუმცა გამომძიებელთა ზოგიერთი მტკიცება, რბილად რომ ვთქვათ, მეტ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. ასე მაგალითად, "რომა"-"პარმის" (ნ:1) მატჩში არბიტრმა **სალვატორე რაკალბუტომ** გაფრთხილებები მისცა პარმელ **პიზანუსა** და **კონტინის**, რის გამოც მათ "იუვენტუსთან" მომდევნო მატჩების გამოტოვება მოუხდათ. "ფიორენტინა"-"ბოლონიის" შეხვედრაში კი არბიტრმა **მასიმო დე სანტისმა** უსაფუძვლოდ "გააყვითლა" ბოლონიელთა სამი ფეხბურთელი, რითაც მათ შემდეგ ტურში "ბებერ ქალბატონთან" დაპირისპირების "ბედნიერება" მოუსპო. გაუგებარი კი ის არის, თუ რატომ გახდა საჭირო ლიხტენშტაინში SIM-ბარათის ყიდვა? ნუთუ იმისთვის, რომ კონტინის, პიზანუსა და ნასტას ეს თითო თამაში გამოეტოვებინათ? და რა გამოდის, მათი ეშინოდა დიდ "იუვენტუსს"?

ახლა, ამ მასალებს ჩახლართული იტალიური მართლმსაჯულების მომდევნო ინსტანციას გადასცემენ. ეს ინსტანცია კი, თავის მხრივ, გაარკვევს, არის თუ არა ამ საქმეში საკმარისი მტკიცებულებები საიმისოდ, რომ მერე საქმე სასამართლოს გადაეცეს. იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებულ საქმეში 37 პერსონა ფიგურირებს, რა თქმა უნდა, ამას ერთი სასამართლო სხდომა არ ეყოფა. გადაწყვეტილებას თვეების შემდეგ მიიღებენ. ვარაუდობენ, რომ მოჯი და სხვა ეჭვმიტანილები სასამართლოს წინაშე მომავალი წლის დასაწყისში წარდგებიან. ექსპერტთა ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, განაჩენს სადღაც 2009 წლის ზაფხულში დაიკითხავენ. მოჯი და კომპანიას "ვირის აბანოში" ყურყუტი ელოდება. მთავარ მოქმედ პირებს 2-წლიან მუხლს მიუყენებენ, დანარჩენებს კი ერთ წლამდე, პლუს ამას, მაქსიმალურ ფულად ჯარიმას 250 ათასი ევროს ოდენობით...

როგორც ხედავთ, "კალჩოპოლის" პირველი სერიისგან განსხვავებით, იტალიელი სამართალდამცველები აპირებენ, დეტალურად ჩაუჯდნენ ნეაპოლური პროკურატურის საქაღალდეებს. თუკი ერთი წლის წინათ, გამოძიებამ და განაჩენმა ერთად თვეზე მეტი დრო წაიღო, ახალ პროცესს, შეიძლება, წლებიც დასჭირდეს, რაც თავისთავად, პუბლიკის ინტერესს აშკარად დასწევს. ტიფოზებისთვის კი მთავარი ისაა, რომ სასჯელი მხოლოდ ცალკეულ პირებს ელოდებათ და არა კლუბებს. და სწორედ ესაა ინტერესის დაქვეითების ერთ-ერთი წინაპირობაც - ჩემპიონატის შედეგებს აღარ გადახედავენ, ესე იგი, აღარ იქნება ქულების მიჭრა-მოჭრაც, დაბალ ლიგებში გადასროლა... ჰოდა, მოჯი და მისი სინდიკატი წყალსაც წაუღია. ერთი სიტყვით, ახლა "კალჩოპოლის" ყველაზე უინტერესო პროცესი იწყება...

მალიორკა

ტრისტანმა ბალეარელებს ფედერაციაში უჩივლა

დიეგო ტრისტანმა გასული სეზონი "მალიორკაში" გაატარა. წარმოშობით ანდალუსიელმა ფორვარდმა მთელი წლის განმავლობაში ერთი გოლის გატანაც ვერ შეძლო. ბალეარელები მისი თამაშით უკიდურესად უკმაყოფილოები დარჩნენ. არანაკლებ უკმაყოფილოა თავად ტრისტანი. გუშინ ვეტერანმა ფორვარდმა ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციაში სარჩელი შეიტანა. "მალიორკას" ის მოტყუების გამო უჩივის. დიეგოს თუ დავუჯერებთ, ხელმძღვანელობამ 150 ათასი ევრო არ გადაუხადა. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდება დადასტურდება, კუნძულელებს ჯარიმის სახით ორმაგი თანხის გადახდა მოუწევთ.

მწვრთნელი

ზაგალო საავადმყოფოში

მარიო ზაგალო

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ჟორჟე მარიო ლობო ზაგალო,** დეჰიბრატაციის დიაგნოზით, რიო დე ჟანეიროს საავადმყოფოში მოათავსეს. როგორც გაირკვა, რამდენიმე კვირის განმავლობაში მან 13 კილო დაიკლო. ოჯახის წევრები ფიქრობდნენ, რომ მდგომარეობას საკუთარი ძალებით გაუმკლავდებოდნენ, მაგრამ ბოლოს ზაგალო იმდენად ცუდად გახდა, გონება დაკარგა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, მიხვდნენ, რომ კვალიფიციური სამედიცინო დამხარების გარეშე სიტუაცია კიდევ უფრო გართულდებოდა და შესაძლოა, საქმე ლეტალური შედეგითაც დასრულებულიყო. "ჰოსპიტალ სამარიტანოს" ექიმები ამბობენ, რომ პაციენტი უაღრესად სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს. არსებობს ეჭვი, რომ ზაგალოს ბოლოს გაკეთებული ოპერაციის შედეგად ინფექცია შეეჭრა. სეუ მარიოს დიარია ძალიან ხშირად აწუხებს და დიდი რაოდენობით სითხესაც ამიტომ ჰკარგავს. მოკლედ, ბრაზილიელ მედიკოსებს გულისხმიერი მუშაობა მართებთ იმისთვის, რათა პაციენტს ზუსტი დიაგნოზი დაუსვან და კვალიფიციურად უმკურნალონ. წინააღდეგ შემთხვევაში ასაკოვანი საფეხბურთო სპეციალისტის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება.

კვალიარელა უდინეზეში დარჩა

"უდინეზეს" ფორვარდმა **ფაბიო კვალიარელამ** თავის ამჟამინდელ კლუბთან 2012 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. tuttomercatoweb-ის ცნობით, ეს ამბავი სულ მალე ოფიციალურად გამოცხადდება.

ასე რომ, იტალიის ნაკრების თავდამსხმელმა ბოლო მოუღო ჭორებს იმის თაობაზე, თითქოს ის "მანჩესტერ იუნაიტედში" ან "იუვენტუსში" აპირებდა კარიერის გაგრძელებას.

ბოჟინოვი ტრანსფერზე დააყენეს

"ფიორენტინას" მთავარმა მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფორვარდი **ვალერი ბოჟინოვი** ამ ზაფხულს ფლორენციულ კლუბს გამოემშვიდობება. ბულგარელი თავდამსხმელის ტრანსფერზე დაყენების მიზეზი ის გახლავთ, რომ ფეხბურთელმა და კლუბმა ახალი კონტრაქტის დეტალებზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

"ჩვენ შევეცადეთ დაგვერწმუნებინა ვალერი, რომ ახალი კონტრაქტის გაფორმება აუცილებელი იყო, მაგრამ ეს არ მოხდა. ამიტომაც, ბულგარელი ტრანსფერზე დავაყენეთ", - აღნიშნა იტალიურ პრესასთან საუბრისას პრანდელიმ.

ინტერმა ბალაიდი სლავიას ათხოვა

ტუნისის ნაკრების ნახევარმცველი **თუანი ბალაიდი,** 2007-08 წლების სეზონს პრაღის "სლავიაში" გაატარებს. ეს ფეხბურთელი ჩეხეთში არენდით მილანის "ინტერიდან" გადავიდა.

აღსანიშნავია, რომ 19 წლის ბალაიდი უკვე სამი წელიწადია, იტალიის ჩემპიონის საკუთრებაა, მაგრამ მილანელთა ძირითადში ერთხელაც არ გამოჩენილა. შარშან, "ინტერმა" ტუნისელი ჰოლანდიაში "ეინდჰოვენს" ათხოვა.

გაცვლა პარმასა და ლივორნოს შორის

შაბაბის, მოთამაშეები გაუცვალეს ერთმანეთს "პარმამ" და "ლივორნომ". "პარმამ" 23 წლის მეკარე **ალფონსო დე ლუჩია** დათმო, სანაცვლოდ კი, 28 წლის ნახევარმცველი **სტეფანო მორონე** მიიღო.

ლე ლუჩიამ გასულ სეზონში 13-ჯერ ითამაშა იტალიის ჩემპიონატში და 26 გოლი გაუშვა, რაც შეეხება მორონეს, შარშან სერია A-ში 37 მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

ჯენოას ორი ტრანსფერი

სერია A-ში გადასულმა "ჯენოამ" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა მცველ **ჩეზარე ბოვოსთან**. გასული სეზონი 24 წლის ბოვომ "ლივორნოში" გაატარა - აქ ის არენდის წესიათ თამაშობდა.

გარდა ამისა, "ჯენოამ" "ჩეზენასთან" შეათანხმა სენეგალელი ფორვარდის, **პაპა ვაიგოს** ტრანსფერის საკითხიც.

პელე ჯართში ჩააბარეს

ბრაზილიის პოლიციამ უსახლკარო ადამიანი დააკავა. ამ უკანასკნელს ბრალად ედება ის, რომ პელეს ბრინჯაოს ქანდაკებას ხელი მოახერხა და შესაბამის თანხად ჯართის მიმღებ პუნქტში ჩააბარა.

19 წლის პიროვნებამ დანაშაული აღიარა. მისი თქმით, ფეხბურთის მეფეს ხელი ხერხით მოაჭრა. მან აგრეთვე მოიპარა ნიკეს ქანდაკების ბრინჯაოს ასლი, რომელიც პელეს ქანდაკების თავზემოთ იყო დამონტაჟებული. ამ თასის სანაცვლოდ, მან 50 დოლარი მიიღო.

ახლა ეროვნული სიამაყის შემბღალველს ოთხწლიანი პატიმრობა ემუქრება.

მაკალოხი რეინჯერსს დარჩა

გლაზგოს "რეინჯერსმა" "ვიგანიდან" შოტლანდიის ნაკრების ნახევარმცველი **ლი მაკალოხი** შეიძინა.

ფეხბურთელმა შოტლანდიურ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 2007 წლის იანვარში, "რეინჯერსი" მაკალოხში "ვიგანს" 1.1 მილიონ ევროს სთავაზობდა, მაგრამ ინგლისურმა მხარემ უარი განაცხადა. გასული სეზონის შემდეგ, როცა "ვიგანმა" შეინარჩუნა ადგილი პრემიერლიგაში, ინგლისურმა კლუბმა მაინც გადანყვიტა შოტლანდიელის გაყიდვა, ოღონდ 3 მილიონ ევროდ.

ბერდი ფელჰემშია და არა ბლექბერნში

"საუთჰემპტონის" ყოფილი მცველი **კრის ბერდი** 4 წლით "ფულჰემში" ჩაირიცხა. როგორც ცნობილია, ინგლისურმა პრესამ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელის "ბლექბერნში" ტრანსფერის საკითხი მოგვარებულად ჩათვალა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს ინფორმაცია მცდარი ყოფილა.

25 წლის ბერდში "ფულჰემმა" "საუთჰემპტონს" 3.025 მილიონი ფუნტი გადაუხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ზლატან იბრაჰიმოვიჩთან

კივუც რომ გვყავდეს, ჩვენი მოგებები არავინ იქნება

იტალიაში ასე ამბობენ: "იუვენტუსი" დაბრუნდა და ნამდვილ "ინტერს" ახლა ვნახავთო. შეიძლება, გადაჭარბებულიც იყოს ამგვარი შეფასება, მაგრამ ასეც და ისეც, "ინტერს" თავისი საქმე და მიზნები აქვს: ტიტულის დაცვა და ევროპაში წარმატებით გამოსვლა. რობერტო მანჩინი და კომპანიამ უკვე შეუდგა მზადებას ახალი სეზონისთვის. ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის შემდეგ, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა დრო გამონახა და კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს ინტერვიუ მისცა...

- სკუდეტოს მოპოვების შემდეგ, მეორე დღესვე თანაგუნდელებს მოუწოდე, რომ უკვე დაფიქრებულიყვნენ მომავალ სეზონზე, რომელიც, შენი აზრით, გაცილებით მძიმე იქნება. ახლაც ასე ფიქრობ?

- დიახ, მაგრამ ეს არ ყოფილა წუწუნი, ან წინასწარ თავის დაზღვევა, უბრალოდ, ეს ფაქტია. ჩემპიონზე ზეწოლა ძალიან დიდია და ეს ნორმალურად მიმაჩნია. სწორედ ამაზე ვაფრთხილებდი თანაგუნდელებს, რომ ამ ზეწოლისთვის მზად უნდა ვიყოთ.

- სეზონი მძიმე იქნება "ინტერისთვის" თუ... იბრაჰიმოვიჩისთვის?

- როგორც გუნდისთვის, ასევე ჩემთვის. "ინტერისთვის" სიძნელე ის არის, რომ ბრწყინვალე სეზონის შემდეგ, მისგან ახლაც იგივეს ელიან... ელიან, რომ შედეგები გაუმჯობესდება. ამავე დროს, ნებისმიერი გუნდისთვის ჩვენთან შეხვედრა წლის მატჩის ტოლფასი იქნება. მაგრამ ჩვენ ვჩქაროთ ეს და ფსიქოლოგიურადაც მზად ვართ. წინასასეზონო მზადების პირველი დღეებია და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უკვე ყველა მობილიზებული და მომზადებულია, ყველამ იცის, რა უნდა აკეთოს.

- უკეთ გამოსვლა იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგა უნდა მოიგოთ?

- სულაც არ ვთვლი, რომ ლიგის მოსაგებად ტურნირში ყველაზე ძლიერი უნდა იყო. ეს სპეციფიკური გათამაშებაა და საჭიროა კონცენტრაცია ერთ კონკრეტულ მომენტში. თუმცა ბედის წყალობაც აუცილებელია. უამისოდ არაფერი გამოვა.

- მასიმო მორატმ თქვა, არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, სკუდეტო თუ ჩემპიონთა ლიგა, ევროტრიუმფს ავირჩევდიო. შენ? შენთვის რომელია პრიორიტეტი?

- ერთი წლის წინათ რომ გეკითხათ, გეტყოდით, რომ ჩემთვის ნებისმიერი ტრიუმფი ერთნაირად ემოციური და მნიშვნელოვანი იქნებოდა, მაგრამ ახლა მეც ლიგას მივანიჭებ უპირატესობას. ჩემს კარიერას სწორედ ეს ტიტული არ აკლია. ამას რომ ვამბობ, მახსენდება პაველ ნედვედი, რომელსაც ბრწყინვალე კარიერა აქვს, მაგრამ ისე მიდის ფინიშისკენ, რომ ეტყობა, ვეღარ მოახერხებს ლიგის მოგებას. ძალიან არ მინდა, რომ ევროტრიუმფის გარეშე ჩამოვკიდო ბუცები ლურსმანზე...

- და რამ შეგიშალათ ხელი, რომ გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგაც მოგეგოთ?

- შესაძლოა, სკუდეტოს ზედმეტად ბევრი ყურადღება დავუთმეთ. გახსოვთ, რამდენი რეკორდი დავამყარეთ სერია A-ში? ახლა კი, სანუკვარი გამარჯვების შემდეგ, შეგვიძლია, ორივე ტურნირისთვის ძალები ოპტიმალურად გავანაწილოთ.

- ახალ სეზონში პირველად გახვალ მოედანზე "იუვენტუსის" წინააღმდეგ...

- მოუთმენლად ველი ამ ორ დაპირისპირებას...

- რა აზრის ხარ ახალ "იუვენტუსზე"?

- სიმართლე გითხრათ, სატრანსფერო ამბებს თვალს არ ვადევნებ. მაგრამ ზოგადად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ნებისმიერ ახალ გუნდს, შესათამაშებლად, გარკვეული დრო სჭირდება, დრო იმისთვის, რათა ისეთივე "იუვე" იყოს, როგორც ორი წლის წინათ. დღევანდელ "ინტერს" ის გუნდი არაფრით ჩამოუვარდებოდა.

- რას იტყვი "მილანზე", რომელსაც ხმაურიანი შენაძენი ჯერ არ გაუკეთებია?

- გუნდმა, რომელმაც სეზონის წინ სერიოზული რყევები და სკანდალები გადაიტანა, ჩემპიონთა ლიგა მოიგო და თამამად შეუძლია, იამაყოს. რაც შეეხება ახალ შენაძენებს, ამისთვის დრო ჯერ კიდევ აქვთ, მოასწრებენ... მე, მაგალითად, "იუვენტუსში" რომ გადავედი, სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღე იყო. ასე რომ...

- "ინტერმა", ჯერჯერობით, მხოლოდ დავიდ სუასო იყიდა. რას ფიქრობ მასზე?

- ის "კალიარის" სიმბოლოდ იქცა. ძალიან სწრაფი და შედეგიანია. ეს თვისებები ახლა "ინტერშიც" უნდა გამოავლინოს.

- ამბობენ, "ინტერს" ძალიან ბევრი ფორვარდი ჰყავსო. თითიდან ხომ არაა გამოწოვილი ეს პრობლემა?

- ამას ამბობს ის, ვისაც ჩვენი ეშინია. დიდი კონკურენცია საშუალებას მოგვცემს, უპრობლემოდ შევცვალოთ ტრავმირებული ან გადაღლილი მოთამაშეები. ამიტომაც, არც ერთს არ გვექნება მოდუნების დრო და უფლება. მაქსიმუმის გაღებაა საჭირო.

- იქნებ ამიტომაცაა, რომ ადრიანო ვარჯიშებზე თავს იკლავს?

- ...და ასევე უნდა გააგრძელოს. კარიერაში სიძნელეები ყველას აქვს. "იუვენტუსში" ჩემი ყოფნის ბოლო ექვსი თვე მახსენდება... ადრიანოს იმიტომ აკრიტიკებენ, რომ მისგან ბევრს ითხოვენ...

- ისე გამოვიდა, რომ იბრაჰიმოვიჩი-ადრიანოს დუეტი წესიერად არც გვინახავს...

- როცა ორივე კარგ ფორმაში ვართ, ჩვენი შეჩერება ძალიან ძნელია. იმედი მაქვს, ახალ სეზონში ეს ხშირად იქნება. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გუნდი მარტო ორ ფორვარდზე ვერ იქნება დამოკიდებული.

- არის ფეხბურთელი, რომელიც "ინტერს" ძალიან აკლია?

- რა თქმა უნდა, კივუ! ის აუცილებლად უნდა გადმოვიდეს "ინტერში". კივუსთან ერთად "აიაქსში" ვთამაშობდი და ვიცი მისი უსაზღვრო შესაძლებლობები. თუ "აიაქსმა" იმ პერიოდში რაიმეს მიაღწია, ამაში მისი უდიდესი დამსახურებაც იყო. კივუ მარტო მცველი არ არის. ის არის მოთამაშე, რომელსაც მოედანზე ძალიან ბევრი რამ შეუძლია. ის რომ გვყავდეს, ჩვენი მომგები არავინ იქნებოდა.

- როგორ ფიქრობ, გადმოვა "ინტერში"?

- დიდ გარიგებებში გარკვევა ძალიან ძნელია. ეს ჩვეულებრივი ბიზნესია. იმედი მაქვს, კივუ მაინც გადმოვა ჩვენთან და თანაც ძალიან მალე...

- ნეღან თქვი, რომ მომავალი სეზონი ჩემთვის ძნელი იქნებაო. რატომ?

- იმიტომ, რომ საკუთარ თავს დიდ მოთხოვნებს ვუყენებ. ძველი გამარჯვებები წარსულში დარჩა, ახლა იმაზე ვფიქრობ, როგორ მივაღწიო ახალ გამარჯვებებს...

- და როგორ უნდა მიაღწიო?

- მეტად უნდა ვაკონტროლო თამაშის მიმდინარეობა, მეტი საგოლე პასი გავაკეთო... მეტი ფანტაზიაც უნდა მქონდეს...

- რომბისებურად განლაგებული ნახევარდაცვა, რასაც რობერტო მანჩინი მიმართავს, იდეალურია შენთვის. ასეა?

- არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ მთლიანად "ინტერისთვის". მაგრამ ამ სქემას დახვეწა სჭირდება. მეტად უნდა შევუტიოთ, თუმც იტალიაში ამის გაკეთება ადვილი არ არის. ჩემთვის, საფეხბურთო ფილოსოფიის არსი მხოლოდ შეტევაშია. იმედი მაქვს, რომ თამაშის წარმართვის სწორ გზას მივაგნებთ. ისე, უნდა გავიხსენოთ, რომ გასულ სეზონშიც ძალიან ბევრი გავიტანეთ...

- ერთ ფაქტს გვერდს ვერ ავუვლით. გასული სეზონის ბოლოს, შენმა ინტერვიუმ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გახსოვს?

- როგორ არ მახსოვს? ეს იყო ინტერვიუ, რომელშიც ჩემს კონტრაქტზე, ლუჩანო მოჯიზე და სხვადასხვა თემებზე ვლაპარაკობდი... რატომღაც, ჩემი სიტყვები დაამახინჯეს. სასკანდალო იქ არაფერი მითქვამს, მაგრამ პრესამ, როგორც სჩვევია, ბუზი სპილოდ აქცია.

- ეს ინტერვიუ, და პლუს ამას, ფოტოზე მოჯისა და მის ვაჟთან ერთად გადაღებული იბრაჰიმოვიჩი, ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ "იუვენტუსის" ყოფილ ბოსზე სიმპათიით საუბრობდი...

- საკმარისია, მოჯი ახსენო, რომ ყველა თავს გესხმის. თუმცა კი ეს ნორმალური რეაქციაა იმ ამბებიდან გამომდინარე, რაც შარშან მოხდა. მაგრამ მე მოჯის მტერი ვერ ვიქნები იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ჩემთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია. ის მე პატივს ვცემ, მე კი მას. არსად არ მითქვამს, რომ "ინტერს" მოჯი სჭირდება...

- ...და მაინც, რა თქვი, ბოლოს და ბოლოს?

- ვთქვი, რომ "ინტერი" მძლავრი კლუბია, რომელმაც სრულყოფილებისთვის უნდა იბრძოლოს, ისევე, როგორც "იუვენტუსმა", მე და ყველა ჩვენგანმა. და ისიც დავამატე, რომ "ინტერისთვის" სასარგებლო იქნებოდა ისეთი კაცი, როგორიც ლუჩანო მოჯია...

- ანუ...

- ანუ, ადამიანი მოჯის დარი ორგანიზაციული ნიჭით, სიტუაციის კონტროლის საოცარი უნარით... მაშინ ყველამ ისე ჩათვალა, თითქოს ჩემგან ეს იყო შეტევა "ინტერის" დირექტორებზე, მარკო ბრანკასა და გაბრიელე ორიალიზე. სინამდვილეში კი, მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით, ახლა "ინტერში" რომ ვარ, სწორედ ბრანკას დამსახურებაა... ორიალისაც არაფერს ვერჩი. უბრალოდ, მათ არ შეუძლიათ იმ როლის შესრულება, რაც "იუვენტუსში" მოჯის ჰქონდა. არადა, ეს ძალიან საჭიროა ნებისმიერი კლუბისთვის, და მათ შორის, "ინტერისთვის".

- იმ ინტერვიუში ისიც თქვი, თითქოს შენი აგენტი მინო რაიოლა აპირებდა, მოლაპარაკებები დაეწყო "ინტერის" ხელმძღვანელობასთან, კონტრაქტის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით...

- წესად მაქვს, რომ ინტერვიუებში ფულზე არ ვილაპარაკო. შესაძლოა, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ამ თემას შევეხე. მაგრამ კონტრაქტის პირობების გადახედვა და ხელფასის მომატება არ მიგულისხმია. ყველას გასაგონად ვამბობ, რომ "ინტერს" 2010 წლამდე ვეკუთვნი და ანაზღაურებითაც კმაყოფილი ვარ. სხვა საქმეა, რომ ამ პირობების გადახედვა "ინტერმა" მოინდომოს. ამ შემთხვევაში, კლუბი ჩემს აგენტს უნდა დაუკავშირდეს. ყველა მსგავს საკითხს ის მოაგვარებს, ჩემი საქმე კი ფეხბურთის თამაში და გამარჯვებებია.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ლიუნგბერგმა გელაქსიში?

როგორც ცნობილია, "არსენალის" შვედი ნახევარმცველის **ფრედი ლიუნგბერგის** აგენტმა **კლას ელეფალკმა** ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ თუ მის კლიენტს ამ ზაფხულს ლონდონური კლუბის დატოვება მოუწევს, ის ინგლისში აღარ დარჩება და სხვა ქვეყანაში გააგრძელებს კარიერას.

დასახელდა ლიუნგბერგის მომავალი კარიერის ათასგვარი ვარიანტი. ერთ-ერთი ვერსიით (რომელიც იტალიურ პრესას ეკუთვნის), შვედი ფეხბურთელის გადაბირება სურს "ლოს ანჯელეს გელაქსის". ლიუნგბერგის პიროვნებით დაინტერესება ამ კლუბის მეპატრონემაც დაადასტურა და თუ ეს ტრანსფერი შედგება, შვედი კალიფორნიელი კლუბის ნახევარდაცვაში, **დევიდ ბექჰემთან** ერთად საინტერესო ტანდემს შექმნის.

რიჩარდსონი სანდერლენში გადავიდა

გასულ უიქენდზე ორი ფეხბურთელი შეიძინა პრემიერლიგაში აღზევებულმა "სანდერლენდმა".

მთავარი შენაძენი გახლავთ "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი **კირან რიჩარდსონი**. როგორც ინგლისური პრესა იტყობინება, "სანდერლენდს" ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი 5.5 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდა.

უფრო ადრე კი, სანდერლენდელებმა "კარდიფიდან" თავდამსხმელი **მაიკლ ჩოპრა** გადაიბირეს და ამის სანაცვლოდ 5 მილიონი ფუნტი გადაიხადეს.

გასულ სეზონში ჩოპრა ინგლისის მეორე დივიზიონში თამაშობდა და 22 გოლი გაიტანა.

შვეიცარიელი კაპიტანი სიდიშია

როგორც BBC იტყობინება, "მანჩესტერ სიტიმ" კონტრაქტი გააფორმა შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანთან, **გელსონ ფერნანდესთან**.

ახალგაზრდა შვეიცარიელთან დადებული ხელშეკრულების დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ნანტი ფეხბურთელებს ყიდის

საფრანგეთის მეორე დივიზიონში გავარდნილი "ნანტი" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს ეთხოვება. ამჯერად კლუბი დატოვა სერბმა მეკარემ **ვლადიმერ სტოიკოვიჩმა**.

გოლკიპერი პორტუგალიის ლიგაში გააგრძელებს თამაშს, სადაც მომდევნო ხუთი სეზონი ლისაბონის "სპორტინგის" კარს დაიცავს.

აგრეთვე "ნანტიდან" აიბარგა 30 წლის არგენტინელი თავდამსხმელი **ერნან როსი**. მან შვეიცარიის "ქსამაქსთან" გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი. გასულ სეზონში, ფორვარდმა 36 მატჩში მიიღო მონაწილეობა და ოთხი გოლი გაიტანა.

სპორტინგმა ფორვარდი შეიძინა

სტოიკოვიჩი ამ დღეებში "სპორტინგის" ერთადერთი შენაძენი არ გახლავთ. პორტუგალიურმა კლუბმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ცრვენა ზვეზდას" ჩერნოგორიელ ფორვარდ **მილან პუროვიჩთან**. ლისაბონელებმა ბელგრადულ კლუბს 2 მილიონი ევრო გადაუხადეს, ხოლო პუროვიჩის წლიური ხელფასი 500 ათასი ევრო იქნება.

"სპორტინგის" ახალნვეული ლისაბონურ კლუბში მეცხრე ნომრით ითამაშებს.

ბუტი ბენფიკაში წავიდა

ცნობილი გერმანელი მეკარე **ჰანს-იორგ ბუტი** კარიერას ლისაბონის "ბენფიკაში" გააგრძელებს. როგორ იცით, "ლევერკუზენის" შტატიანმა პენალტისტმა მაისში განყვიტა კონტრაქტი "ბაიერთან" და ახლა პორტუგალიის ჩემპიონატში მოსინჯავს ძალებს.

"ბენფიკასთან" ხელშეკრულების გაფორმება დღეისთვის არის ნავარაუდები.

ბუტის ტრანსფერის მოგვარების შემდეგ, ლისაბონურმა კლუბმა სათადარიგო მეკარე **მორეტო,** არენდის წესით საბერძნეთის აიკ-ში გაუშვა. როგორც უეფას ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, სურვილის შემთხვევაში, გაისად ბერძნულ კლუბს მორეტოს გამოსყიდვის საშუალება ექნება.

ინგლისის თასი

II რაუნდი. I მატჩები

ლეიტონ ორიენტი (ჩირლ)–გენგი (დელ)	0:4 (0:2)
პამარბიუ (შველეთი)–ორმერ (ირლანდია)	1:0 (1:1)
ოსელული (რუმინეთი)–ლეკეთი (ბოსნია)	3:0 (0:0)
რუბინი (რუსეთი)–ზალაეგერშეგი (უნგრეთი)	2:0 (3:0)
პაიდუკი (სერბეთი)–მარიბორი (სლოვენია)	5:0 (0:2)
გლორია (რუმინეთი)–მაკაბი (ს. ისრაელი)	0:2 პენ. 3:2 (2:0)
სტ. გალენი (შვეიცარია)–დარბი (ფოლლოვა)	0:1 პენ. 0:3 (1:0)
ჩერნო მორე (ბულგარეთი)–მაკედონია (მაკედონია)	3:0 (4:0)
ოლბორგი (დანია)–პონტა (ფინეთი)	1:1 (2:2)
ვლაკნია (ალბანეთი)–ბრაგაზონი (თურქეთი)	0:4 (0:6)
სლოვანი (სლოვაკეთი)–რაპიდი (ავსტრია)	1:0 (1:3)
შახტიორი (დონეცკი)–ჩერნომორეცი (უკრაინა)	0:2 (2:4)
ლიბერეცი (ჩეხეთი)–ფოგოლი (საზაანეთი)	0:2 (1:1)

III რაუნდი

პაიდუკი (სერბეთი)–ლეირა (ბორტუგალია)
ჩერნო მორე (ბულგარეთი)–სამდორია (იტალია)
გლორია (რუმინეთი)–ატლეტიკო (ესპანეთი)
ოსელული (რუმინეთი)–ბრაგაზონი (თურქეთი)
ფოგოლი (საზაანეთი)–ოფი (საბერძნეთი)
დარბი (ფოლლოვა)–პამბერგი (ბერგენია)
ჩერნომორეცი (უკრაინა)–ლანი (საფრანგეთი)
რაპიდი(ავსტრია)–რუბინი (რუსეთი)
ვეტრა (ლიტვა)–ბლეტგერი (ინგლისი)
. პამარბიუ (შველეთი)–უტრეხტი (ბოლანდია)
გენგი (ბელგია)–ოლბორგი (დანია)

პირველი მატჩები 21-22 ივლისს გაიმართება, საპასუხო - 28-29 ივლისს

ავსტრია

II ტური

ალბანი-რიდი	2:3
აუსტრია (ვ)-ლინცერი	1:1
ბირლი-შტურმი	0:0
აუსტრია (კ)-ზალცბურგი	1:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ლინცერი	2	1	1	0	2-1	4
2. ზალცბურგი	2	1	0	1	4-2	3
3. რაპიდი	1	1	0	0	3-1	3
4. მატრასბურგი	1	1	0	0	2-1	3
5. რიდი	2	1	0	1	4-4	3
6. აუსტრია (კ)	2	1	0	1	1-1	3
7. აუსტრია (ვ)	2	0	2	0	3-3	2
8. შტურმი	2	0	2	0	2-2	2
9. ტიროლი	2	0	1	1	1-3	1
10. ალბანი	2	0	0	2	3-7	0

ფინეთი

XIII ტური

მარიეჰამნი-ოულუ	0:0
ვაასა-ლაპენი	1:0
ტურკუ-კტკ	დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ტამპერე	13	9	2	2	20-14	29
2. მიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ერიკ კანტონასთან

ერთხელ, ათი წლის წინათ...

კანტონას აზრით, საუკეთესო ფრანგი ფეხბურთელი ერიკ კანტონაა

როგორც ჩანს, ასეთი ფეხბურთელები მხოლოდ საფრანგეთში იბადებიან და სავარაუდოდ, 10 წელიწადში ერთხელ. მიშელ პლატინი 1987 წელს წავიდა, ერიკ კანტონა - 1997-ში, ხოლო ზიდანმა შარშან, თითქმის ზუსტად გააგრძელა ეს პირობითი ანალოგია. სამივე მათგანს ფეხბურთისადმი განუმეორებელი სიყვარული და განუმეორებელი ნომრების დადგმა აერთიანებდათ. მათ შორის ყველაზე ამოუცნობი ერიკ კანტონა იყო: ამოუცნობი იყო მისი თამაში, ფეხბურთიდან წასვლა... ამოუცნობია ფეხბურთის შემდეგ მისი ცხოვრებაც. კანტონასგან ინტერვიუს აღება გმირობის ტოლფასია. ასე რომ, ფრანგული "ეკიპის" რეპორტიორმა შეუძლებელი შეძლო...

- საფეხბურთო კარიერა ათი წლის წინათ დაასრულეთ, როდესაც მხოლოდ 30 წლის იყავით. იმ დროის გამო ნოსტალგია არ გაქვთ?

- ხანდახან ასეც ხდება ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ, ნოსტალგია შეიძლება სასიამოვნო გრძნობაც იყოს. ბავშვური მოგონებები, მუსიკა - ყველაფერმა ამან შეიძლება ნოსტალგია გამოიწვიოს. ჩემთვის ფეხბურთისადმი ნოსტალგია - ეს არა უშუალოდ თამაში ან რომელიმე სტადიონია, არამედ უფრო ის, რაც მას აკრავს გარს. მათ შორის, გასახდელი, მინდორი... როცა Canal Plus-ის სპორტული გადაცემის გადაღებისას კვლავ გავედი "ოლდ ტრაფორდის" მინდორზე, რა თქმა უნდა, გამახსენდა ის დიადი წუთები, რომელიც აღარ განმეორდება. მაგრამ არ შეიძლება მუდმივად ამაზე ფიქრი და საუბარი. ცხოვრებაში ბევრი სხვა საინტერესოცაა ფეხბურთის გარდა.

- როგორი მოგონებები დაგრჩათ ბოლო ოფიციალური მატჩისგან, რომელიც 1997 წლის 11 მაისს ჩაატარეთ?

- მახსოვს, "ვესტ ჰემის" წინააღმდეგ ვთამაშობდით. ფინალური სასტვენის შემდეგ, რომელიღაც მოწინააღმდეგე ფეხბურთელს მაისურა გავუცვალე. მოგვიანებით გავიგე, რომ იმ ბიჭს ჩემი მაისურა აუქციონზე გაუტანია გასაყიდად, ხოლო ფული კი, ალბათ, ქველმოქმედებას მოახმარა (იცინის).

- რას გრძნობდით, როცა მინდორს ტოვებდით?

- არაფერს, რადგან ფეხბურთის მიტოვება მინდოდა. მობეზრებული მქონდა ფეხბურთი. თანაც, საკუთარ თავს ვეუბნებოდი - როცა მომინდება, მაშინვე შევძლებ დაბრუნებას. "შენ ახალგაზრდა ხარ, - ვფიქრობდი მაშინ. - ორი თვე ივარჯიშებ, ფორმას აღიდგენ და დაბრუნდები". ეს აზრი დიდხანს არ მშორდებოდა. მაგრამ, ექვსი თვის წინათ გავიფიქრე,.რომ ორი თვეც რომ მინდომებით ვივარჯიშო, ეს საკმარისი არ იქნება მინდორზე დასაბრუნებლად.

- რატომ თქვით, რომ ფეხბურთი მოგბეზრდათ?

- იმიტომ, რომ მუხტი გაქრა, კოცონი ჩაქრა. ფეხბურთი მთელი ჩემი ცხოვრება იყო, ჩემი ბავშვობის გატაცება. რატომ უნდა გააგრძელო თამაში, როცა ეს გატაცება აღარ არსებობს? იმისთვის, რომ ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრო და 300 მილიონი ევრო გამოიმუშავო? არა, ეს ჩემთვის უინტერესოა.

- თქვენს გადაწყვეტილებაზე იმანაც იმოქმედა, რომ საფრანგეთის ნაკრებში აღარ გინვევდნენ?

- რა თქმა უნდა. მე რომ ნაკრებში თამაში გამეგრძელებინა, 1997-ში არ წავიდოდი. მომდევნო წელიწადს ხომ, საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გამართულიყო. სხვათა შორის, ალბათ, არც იმ შემთხვევაში წავიდოდი, "მანჩესტერს" 1997 წელს ჩემპიონთა ლიგა რომ მოეგო.

- ფეხბურთში დარჩენაზე არასოდეს გიფიქრიათ? მაგალითად, მწვრთნელი, აგენტი და ტელეკომენტატორი გამხდარიყავით?

- დიდი ხანი მეხმარებოდა აზრი იმის შესახებ, რომ ოდესღაც მოთამაშის ამპლუაში დავბრუნდებოდი. დღეს ვფიქრობ, რომ შემიძლია საკუთარი თავი მწვრთნელის ამპლუაში გამოვცადო. ვიცი, ეს სავსებით შესაძლებელია, გზაც ხსნილია. მაგრამ, სწორედ ამიტომაც, არასოდეს დავბრუნდები ფეხბურთში. აი, გზები რომ დაკეტილი იყოს, მაშინ სხვა სიტუაცია იქნებოდა და მე შეიძლება ამ გზების გახსნის სურვილი გამჩენოდა.

- ფეხბურთისადმი გატაცება თავად თამაშისა თუ მის გარშემო შექმნილი გარემოებების გამო გაქრა?

- გარემო პირობებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს წასვლაში. "მანჩესტერში" საქმის კომერციულ მხარეს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კასეტის ჩაწერის, ინტერვიუს მიცემის, წიგნის შექმნის, გადაღებებში მონაწილეობის თხოვნები ჩვეულებრივი ამბავი იყო... იმისთვის, რომ ჩემი სახელი და ხასიათი ყველგან არ გამოეყენებინათ, კლუბთან ყოველთვის ზუსტად განსაზღვრულ კონტრაქტებს ვაფორმებდი, რომლის მიხედვითაც, მათ ჩემი ფოტოების გამოყენების ექსკლუზიურ უფლებას არ ვანიჭებდი. მაგრამ "მანჩესტერში" ამ პირობებს ყოველთვის არ ასრულებდნენ. ამ თემაზე ალექს ფერგიუსონსაც ვესაუბრე და მაშინდელ პრეზიდენტ მარტინ ედვარდსაც. მათ ვეუბნებოდი: თავს გაუფრთხილდით, ხანდახან ასეთი საქციელს უსიამოვნებებამდე მივყავართ.

ერთხელ დილით, თამაშის წინ, ერთ-ერთი "ყვითელი" ჟურნალის პირველ გვერდზე საკუთარი ფოტო ვიხილე. ზოგიერთს არ ანაღვლებს, რომ მათი ფოტოები ტაბლოიდების პირველ გვერდებზე იბეჭდება, არიან ადამიანები, რომლებიც ამით ამაყობენ კიდეც. მე მათ რიცხვს არ განვეკუთვნები. მე ეს მეზიზღება. როცა მსგავსი შემთხვევები მატჩის წინ ხდებოდა, წყობიდან გამოვდიოდი და ცუდად ვთამაშობდი. ამას ღალატს შევადარებდი. ფეხბურთიდან წასვლა სწორედ იმ დღეს გადავწყვიტე. კლუბის ხელმძღვანელობას ვუთხარი: "კარგით, მე წავალ, მაგრამ იცოდეთ, რომ ეს საქციელი არ შეგრჩებათ".

- და სასამართლოს მიმართეთ?

- რა თქმა უნდა. და მოვიგე.

- წასვლისას, ზუსტად იცოდით, რას გააკეთებდით 10 წლის შემდეგ?

- ვიცოდი, რომ მსახიობობა მინდოდა. მაგრამ სრულად დარწმუნებული არაფერში ვყოფილვარ. ახლა, 10 წლის გასვლის შემდეგ, ვამაყობ იმით, რომ კინოში მიღებენ.

- რა ადგილი დაუტოვეთ ფეხბურთს თქვენს დღევანდელ ცხოვრებაში?

- არავითარი. ის მე მხოლოდ თავსა და მოგონებებში მაქვს.

- უკანასკნელად სტადიონზე რომელი თამაში იხილეთ?

- შარშან, "ნოუ კამპზე" "ბარსელონა" "ვალენსიას" ხვდებოდა.

- ტელევიზიით?

- თუ არ ვცდები, "რომასა" და "ლიონის" მატჩი ჩემპიონთა ლიგაზე. რომ იცოდეთ, არ მიყვარს ფეხბურთის ყურება. მინდა თავად გავირბინო მინდორზე, მე კი სურვილი არ მაქვს ამ გრძნობაზე ვიყო დამოკიდებული.

- რას ფიქრობთ დღევანდელ "მანჩესტერზე"?

- არსებობს საფეხბურთო და კომერციული "მანჩესტერი". ეს ორი განსხვავებული სამყაროა. ჩემთვის "მანჩესტერ იუნაიტედი" ყოველთვის იყო და იქნება საფეხბურთო გუნდი. "იუნაიტედი" - ეს არის ბრწყინვალე თამაშის კულტურა, ფილოსოფია, რომელიც მრავალი წლის წინათ დაიბადა. ეს არის მეტოქის კლასის ხარჯზე დამარცხების უნარი. დღემდე უზომოდ მიყვარს ეს ფილოსოფია.

- "მანჩესტერში" მეშვიდე ნომრით კრისტიანო რონალდო თამაშობს. რას ფიქრობთ ამ ფეხბურთელზე? იმსახურებს ის ამ ნომერს?

- შარშან, რონალდოს ცოტა გოლი გაჰქონდა და ბევრს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მისთვის სულერთი იყო, როგორ ითამაშებდა. მას რაღაც აკლდა. ამ სეზონში კი, გოლების გატანას მოუხშირა. ის ახალი მოთამაშე, მსოფლიო კლასის ფეხბურთელი გახდა. ვფიქრობ, კრისტიანო პლანეტის 10 საუკეთესო ფეხბურთელს შორის შედის. თანამედროვე ფეხბურთში მნიშვნელოვანია, რომ გუნდი ერთი მთლიანი ორგანიზმი იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა არსებობდეს ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც შეეძლება თამაშის საკუთარ თავზე აღება და გოლების გატანა.

- ისეთი, როგორიც რონალდინიოა "ბარსელონაში"?

- სავსებით მართალია. თუ მოწინააღმდეგემ ალღო აუღო თქვენს ტაქტიკას და თქვენს წინააღმდეგ იარაღი იპოვნა, ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელის იმედად რჩები. ასეთ სიტუაციებში, მათ უნდა გადაწყვიტონ მატჩის ბედი.

- როგორც ფეხბურთელი, კრისტიან რონალდო თქვენგან განსხვავდება?

- ამ კითხვაზე დადებითი პასუხიც შემიძლია გაგცეთ და უარყოფითიც. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო გოლების გატანა, მაგრამ არ მინდოდა, ეს ნებისმიერ ფასად გამეკეთებინა. თუ გოლის გატანის 51-პროცენტიანი შანსი მქონდა, კარში ვურტყამდი. მაგრამ თუ ასეთივე შანსი ჩემს პარტნიორს გააჩნდა, მაშინ პასის გაკეთება მერჩივნა. იმიტომ, რომ თანაგუნდელებისთვის პასის მიცემა ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო. ამ მხრივ, მე და რონალდო დიდად არ განვსხვავდებით. მაგრამ ჩვენ განვსხვავდებით სტილით. ის ბევრს მუშაობს ბურთთან, ვიდრე მე ვაკეთებდი ამას.

- ყველაზე მეტად რომელი ილეთი მოგწონდათ?

- გამეგზავნა ბურთი იქ, სადაც ამას არავინ ელოდა. თუმცა, იმ პირობით, რომ ამისგან რაიმე სარგებელი იქნებოდა. ყველა ელის, რომ შენ პასს მარცხნივ გააკეთებ, ამ დროს კი, ბურთს მარჯვნივ გზავნი. მოულოდნელი და ზუსტი პასის შესრულების უნარი, 10-ჯერ ზრდის სახიფათო მომენტების რიცხვს.

- რაიმე გადაიღეთ და გამოიყენეთ პლაჟის ფეხბურთში ალექს ფერგიუსონის მუშაობის მეთოდებისგან?

- იცით, ფერგიუსონი თითქმის არ გვეუბნებოდა, თუ როგორ უნდა გვთამაშა. ჩვენი სათამაშო ტაქტიკა იდეალური იყო, არ გვჭირდებოდა მეტოქის ტაქტიკისთვის მორგება. ფერგი უფრო ბევრს დეტალებზე საუბრობდა. მაგალითად იმაზე, რომ მეტოქის მეკარეს არ უყვარს, როცა დაბალ ბურთებს ურტყამენ, ან მოწინააღმდეგეს რომელიმე ფლანგი აქვს სუსტი. მაგრამ, ყველაზე მეტად მას უყვარდა ასეთი ფრაზის თქმა: "ახლა კი, თამაშისგან სიამოვნება მიიღეთ, დატკბით ფეხბურთით". შესანიშნავი დარიგებაა. ფეხბურთელი მთელი კვირა ვარჯიშობს, რის შემდეგაც, მას შეუძლია თავისი სიამოვნებისთვის ითამაშოს. ხოლო თუ კეთილსინდისიერად მუშაობ, სიამოვნება ყოველთვის არსებობს.

- მსგავსი სიტყვები ფრანგული გუნდების გასახდელებშიც ისმის?

- საფრანგეთში ფეხბურთელს მხოლოდ ეს ესმის: "წინ, წინ!" მაგრამ, სად წინ? და რაც მთავარია - როგორ? ან მოდის კლუბის პრეზიდენტი და ამბობს: "თქვენი მაისურები ოფლისგან უნდა დასველდეს". რბილად რომ ვთქვათ, ეს არის ფეხბურთისადმი გამარტივებული დამოკიდებულება. ჩვენ ხომ მინდორზე სათამაშოდ გავდივართ და



ერიკ კანტონა

არა საომრად... კიდევ ამბობს: "ასე გააკეთე, ასე კი, არავითარ შემთხვევაში არ ითამაშო..." ასეთი დარიგებების დროს, სიამოვნება აღარ გახსოვს. ვშიშობ, მაგრამ ამ მხრივ, დღემდე არაფერია შეცვლილი.

- ფრანგულ ფეხბურთში უფრო მეტი გათვლაა, ვიდრე სიამოვნება?

- საფრანგეთში, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევენ დაცვას. თუ რომელიმე გუნდი ხუთი შემტევი ფეხბურთელით გადის მინდორზე, მისი მოწინააღმდეგე აუცილებლად გამოიყვანს შვიდ მცველს. თუ თავდამსხმელები ცოტანი არიან, მცველების რიცხვი მაინც ექვსზე ნაკლები არ იქნება. მაგრამ რა საჭიროა ეს, თუ შენს წინააღმდეგ ერთადერთი ფორვარდი თამაშობს? საფრანგეთში არ ესმით, რომ საუკეთესო დაცვა თავდასხმაა.

- თქვენ უკვე 40 წელს გადააბიჯეთ. შეიცვალეთ თუ ისევ საფრანგეთის "ცუდ ბიჭად" ითვლებით?

- "ცუდი ბიჭი"? არა მგონია, რომ დიდად შევიცვალე. სავარაუდოდ, იმ ბიჭს დღესაც ვეცემოდი წიხლით ტრიბუნაზე.

- გარეგნულად უფრო მშვიდი ჩანხართ...

- შესაძლოა, მაგრამ, დრო და დრო, კვლავ არ ვექვემდებარები კონტროლს. თუმცა, დღეს საკუთარ თავს უკეთესად ვიცნობ და ეს მეხმარება.

- თქვენ ესწრებოდით ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს. რას ფიქრობთ ზინედინ ზიდანის ცნობილ თავურზე?

- რას ვფიქრობ? ბევრ რამეს. ზიდანი ფინალში სათამაშოდ ისე გავიდა, როგორც ბავშვობაში საკუთარი სახლის ეზოში თამაშობდა. ის, თუ როგორ დაარტყა მან პენალტი, იმ თავურ დარტყმაზე უარესი იყო. მისთვის ფეხბურთი მხოლოდ და მხოლოდ, სიამოვნებისგან შედგება. რა თქმა უნდა, ის არ გეგმავდა მატერაციისთვის დარტყმას... ოღონდ ნუ იფიქრებთ, რომ მე ვამართლებ მის საქციელს.

- საფრანგეთს შეეძლო იმ ფინალის მოგება.

- მე უფრო მგონია, რომ არა ზიდანის, არამედ დომენეკის შეცდომის გამო წავაგეთ. იტალიელები მეორე ტაიმში საერთოდ არ გადადიოდნენ ჩვენს ნახევარზე. დომენეკს თავდამსხმელი უნდა გამოეშვა მოედანზე. ეს იყო მწვრთნელის ტაქტიკური შეცდომა. უფრო უარესი რამ, ვიდრე ზიდანის თავით დარტყმა. ადამიანისგან არ უნდა ავიღოთ მხოლოდ კარგი და ცუდი დავივიწყოთ. უმაღლესი დონის ფეხბურთელებს არა მარტო ძლიერი თვისებები ახასიათებთ, მათ თავიანთი სისუსტეებიც აქვთ.

- მაგრამ მიშელ პლატინის ასეთი უკიდურესობები არ ახასიათებდა და მაინც რჩებოდა ბრწყინვალე ფეხბურთელად.

- არა მგონია, რომ პლატინის ჰყოფნოდა ჭკუა, უფრო სწორად სიგიჟე, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ისე შეესრულებინა პენალტი, როგორც ეს ზიდანმა გააკეთა.

- გამოდის, რომ მათ შორის საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენისას, ხმას ზიდანს მისცემდით?

- (იღიმის). არა, საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, ერიკ კანტონაა. მაგრამ, როგორც მოთამაშე, ჩემთვის უფრო ახლობელი ზიდანია.

- საკუთარ თავში აღმოაჩენთ ზიდანს? თქვენც ხომ ბევრი ნაკლი გქონდათ.

- შემიძლია მას გავუგო, რადგან თავად ვყოფილვარ მსგავს სიტუაციებში.

- ადანაშაულებდით საკუთარ თავს მას შემდეგ, რაც "კრისტალ პალასის" გულშემატკივარს ტრიბუნაზე წიხლი უთავაზეთ?

- მომდევნო დილას არ გამიანალიზებია სიტუაცია და არც ვიცოდი რა მოხდა ან რა მოხდებოდა. მე არ ვფლობდი სიტუაციას. რა თქმა უნდა, საკუთარი საქციელით არ ვამაყობდი. მაგრამ, ჩვენ ხომ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, რომლებსაც თავისი სისუსტეები და ნაკლოვანებები აქვთ. იმ ხულიგანმა "ფრანგი ძუკნა" მინოდა. რა თქმა უნდა, ეს სიტყვები მანამდე 50 მილიონჯერ მქონდა მოსმენილი, მაგრამ იმ დღეს, რატომღაც, სხვანაირი რეაგირება მოვახდინე. ისე არა, როგორც ყოველთვის. რატომ? არ ვიცი. უბრალოდ, არ ვიცი. დღემდე ვერ ვიპოვნე ამაზე პასუხი.

- გაივლის კიდევ 50 წელიწადი. როგორ გსურთ, ადამიანებმა თქვენზე 2057 წელს ისაუბრონ?

- რომ მე ფეხბურთით ვცხოვრობდი. თამაშისადმი ჩემეულ დამოკიდებულებაში არ ყოფილა სიყალბე. რომ ბევრს ვმუშაობდი და ამასთან, საკუთარი სიამოვნებისთვის ვთამაშობდი. და, ბუნებრივია, ვერსად გავექცევით საკუთარ სისუსტეებს. 50 წლის შემდეგ, ყველაზე მეტად, ალბათ, სწორედ ამას გაიხსენებენ.

- იყო დრო, როდესაც ჩვენ თქვენს გამო ვწუხდით. გვეშინოდა, რომ ის ნაკლოვანებები, რომლებზედაც ახლა ვსაუბრობთ, ისევე მოგისვრიდათ უფსკრულში, როგორც ეს დიეგო მარადონასა და ჯორჯ ბესტს დაემართათ.

- მარადონა და ბესტი ფეხბურთისთვის და ფეხბურთით ცხოვრობდნენ. მათი სპორტიდან წასვლის შემდეგ, მხოლოდ მოგონებები დარჩა. მე კი, სხვა სფეროებში გატაცებები და საკუთარი თავის გამოხატვის სხვა საშუალებები მქონდა. ამიტომაც არ ვცხოვრობ მხოლოდ მოგონებებით. ამიტომაც არ გადავიჩეხე უფსკრულში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲮᲔᲚᲗᲝᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. U 20

თორმეტეულიც ხომ ელიტაა...

IX-XII ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, ᲜᲝᲕᲐ ᲒᲝᲠᲘᲪᲐ (ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ 69:96

28:22, 11:24, 15:28, 15:22

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ	ᲬᲗ	Ქ	Მ	Პ	Ჩ	Დ	Შ
ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ	18	4	1	5	1	0	0
ᲓᲘᲓᲘᲐ	21	13	1	1	0	0	2
ᲭᲝᲭᲣᲐ	29	17	3	1	0	1	3
ᲤᲐᲠᲚᲐᲚᲐᲕᲐ	31	8	1	1	0	0	1
ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ	29	8	11	3	1	2	1
ᲬᲘᲜᲬᲘᲕᲐᲫᲔ	12	3	1	2	1	0	1
ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲐ	10	0	0	1	0	0	3
ᲚᲐᲤᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ	9	5	0	0	2	0	0
ᲯᲒᲔᲠᲘᲜᲘᲐ	7	5	2	0	0	0	1
ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ	4	3	3	0	0	0	0
ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ	11	1	5	0	0	0	1
ᲑᲔᲠᲘᲫᲕᲘᲚᲘ	19	2	1	1	0	0	1

XI ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, ᲜᲝᲕᲐ ᲒᲝᲠᲘᲪᲐ (ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲚᲘᲢᲕᲐ 70:81

17:30, 20:16, 17:18, 16:17

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ	ᲬᲗ	Ქ	Მ	Პ	Ჩ	Დ	Შ
ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲐ	6	2	1	1	0	0	2
ᲓᲘᲓᲘᲐ	33	11	5	2	1	1	2
ᲤᲐᲠᲚᲐᲚᲐᲕᲐ	29	13	1	1	1	0	4
ᲑᲔᲠᲘᲫᲕᲘᲚᲘ	15	3	7	2	1	0	1
ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ	27	18	8	1	0	3	3
ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ	28	6	7	5	1	0	1
ᲬᲘᲜᲬᲘᲕᲐᲫᲔ	6	2	1	1	1	0	3
ᲚᲐᲤᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ	15	6	3	0	1	0	1
ᲭᲝᲭᲣᲐ	17	3	0	2	0	1	2
ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ	13	6	3	1	0	0	1

**ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲣᲠ ᲔᲢᲐ�პᲐᲖᲔ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ IX-XII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲝᲣᲬᲘᲐ - ᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲡ ᲒᲐᲕᲔᲯᲘᲑᲠᲔᲗ, �გᲣᲨᲘᲜ - ᲚᲘᲢᲕᲐᲡ. ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲔᲚᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲛᲔ-12 ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲬᲘᲜᲐᲗᲚᲐ. ᲠᲐᲪ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, A ᲚᲘ�გᲐᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲗ. ᲐᲥᲕᲔ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ B ᲓᲘᲕᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲓᲜᲔᲗ. ᲛᲐᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲙᲘ ᲒᲐᲘᲡᲐᲓ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲢᲔᲜᲔ�გᲠᲝ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲑᲔᲜ.

გიორგი შერმადინი

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲠ ᲔᲧᲝᲗ - 39-Ე ᲥᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡ 19:0 ᲡᲞᲣᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ �გᲝᲜᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲗ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲣᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ 49:39-Ს Ი�გᲔᲑᲓᲜᲔᲗ.

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔ�ვᲐᲠᲨᲘ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲯᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲚᲝ ᲡᲘᲠᲔᲜᲐᲛᲓᲔ 33-ᲥᲣᲚᲘᲐᲜ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ: 96:69 - ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ.

ᲗᲣᲙᲘ 10 ᲩᲐᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ (34-ᲓᲐᲜ) ᲙᲐᲠᲒ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ, 11 ᲝᲠᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�გᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ 51-ᲓᲐᲜ 30 ᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲡ.

ᲗᲘᲗᲘᲫᲛᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲐ ᲛᲔ-11 ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ: ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ 9 ᲡᲐᲛᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ 15 ᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲩᲐᲐᲒᲓᲔᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲚᲘᲢᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ - 31 ᲝᲠᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ 2 ᲡᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲘᲝᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲪ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲚᲘᲢᲕᲐᲛ 81:80 ᲒᲕᲐᲯᲝᲑᲐ. ᲔᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲐᲘᲛᲘ ᲣᲤᲔᲠᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲨᲘ ᲡᲪᲐᲓᲔᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡ�წᲝᲠᲔᲑᲐ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲗᲜᲬᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲜᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲚᲘᲢᲕᲐᲛ ᲒᲕᲐᲯᲝᲑᲐ. ᲔᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲐᲘᲛᲘ ᲐᲠᲐᲤᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲤᲠᲝᲕᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲠ ᲔᲧᲝᲗ - 39-Ე ᲥᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡ 19:0 ᲡᲞᲣᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა | გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის ტურნირები

პირველი გვერდიდან

ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ, ბოლო ორი წელია, ერთიმეორეზე უკეთესი ტურნირები იმართება. წლეულს, ერთბაშად 13 ქვეყანა გვესტუმრა. ვიმედოვნებთ, მომავალში, მონაწილეთა რიცხვის მატებასთან ერთად, ხარისხიც გაიზრდება და ტურნირს ძველი დიდება დაუბრუნდება.

აშკარად თვალშისაცემი იყო მრავალრიცხოვანი ჩინური დელეგაცია. მართალია, ისინი შედეგებით დიდად არ გამორჩეულან, მაგრამ მთელი შეჯიბრების განმავლობაში, თითქმის ყველა ორთაბრძოლა გადაიღეს ვიდეოთი. როგორც ჩანს, პეკინის ოლიმპიადის მასპინძლები, აქედანვე ზვერავენ პოტენციურ მეტოქეებს. ისე, კურტანიძე-გოგშელიძის ფინალის შემდეგ, ჩინელები კარგა ხანი არ შორდებოდნენ ლუკას და მასთან სურათებს იღებდნენ...

ანტიკური, გივი კარტოზია

შაბათს, "ქარიშხალას" არენა გივი კარტოზიას ტურნირში მონაწილე ანტიკური სტილით მოჭიდავეებს დაეთმოთ. შაბათსვე მოეწყო ტურნირის საზეიმო გახსნა. მაშ ასე, მივყვეთ შეჯიბრების მსვლელობას წონითი კატეგორიების მიხედვით.

55 კგ. აქ ტურნირის მთავარი მოულოდნელობა იყო **ირაკლი ჭოჭუას** უმედლოდ დარჩენა. იგი ჯერ ნახევარფინალში დამარცხდა არცთუ ისე ძლიერ თურქ **უჩანტუსთან**, მერე კი ბრინჯაოს მედალიც დაუთმო აზერბაიჯანელ **ბაგიროვს**. არანაკლები მოულოდნელობა იყო **მამუკა ხოზრევანიძის** ჩემპიონობა - მან ჭოჭუას მძლეველი უჩანტუს დამარცხებით მოიპოვა ოქროს მედალი და ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე გააკეთა განაცხადი.

60 კგ. სამწუხაროდ, **დავით ბედინაძემ** კვლავ ვერ გადალახა "მარად მეორის" სინდრომი. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორს ოქროს მედალი აზერბაიჯანელმა **ასრაფალოვმა** აართვა სამსეტიან დაძაბულ ბრძოლაში.

66 კილოგრამში, ეროვნული ნაკრების წევრმა **ლაშა ლომაძემ** დამაჯერებლად ჩაატარა ყველა შეხვედრა, ჩემპიონი გახდა და კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავისაგან" ტურნირის საუკეთესო მოჭიდავისთვის განკუთვნილი პრიზით დაჯილდოდდა. "ოლიმპიური ვარსკვლავი" ამიერიდან კარტოზია-ბალავაძის ტურნირზე საუკეთესო და ყველაზე პერსპექტიულ მოჭიდავეებს დაასახელებს ხოლმე. საუკეთესოებს 2000 ლარი გადაეცემათ, პერსპექტიულებს კი - 1000 ლარი.

74 კგ. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** არყოფნაში, გაილაღა ახალგაზრდა **გენადი გოგიშვილმა**, რომელმაც ჩემპიონობა არავის დაანება. იგი დასახელდა ტურნირის ყველაზე პერსპექტიულ მოჭიდავედ.

84 კგ. აქ ყველაზე საინტერესო იყო **ვლადიმერ გეგეშიძის** დაბრუნება. ორი წლის წინათ, იგი ძალიან ახლოს იყო ეროვნულ ნაკრებთან, მაგრამ მძიმე ტრავმის გამო, ახლაღა დაუბრუნდა ხალიჩას. სამწუხაროდ, ტურნირის პირველსავე შეხვედრაში, კვლავ მცირე ტრავმა მიიღო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც უპრობლემოდ გავიდა ფინალში, სადაც გამოცდილ **ბადრი ხასაიასთან**, ორ სეტში, მაგრამ ორივეჯერ დამატებით დროში დამარცხდა.

96 კგ. ახლადგამოჯანმრთელებული **რამაზ ნოზაძე** ნაკრების ხელმძღვანელობამ დაასვენა. ამით გზა გაეხსნა **გივი მორჩილაძეს**, რომელმაც ყველა მეტოქე ჩამოიშორა და ოქროს მედალი მოიპოვა.

120 კგ. ეს იყო მეორე წონითი კატეგორია, სადაც ჩემპიონი ქართველი ვერ გახდა. ჩვენმა მთავარმა იმედმა **რევაზ ჭელიძემ**, ჯერ მომავალ ჩემპიონთან, თურქ **კალალთან** წააგო, მერე კი ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაშიც დამარცხდა **გურამ ფერსელაძესთან**. ფინალში თურქმა უზბეკეთის სახელით მოასპარეზე ქართველი - დავით სალდაძე დაამარცხა...

55 კგ

1. მამუკა ხოზრევანიძე (საქართველო)
2. ფათიჰ უჩანტუ (თურქეთი)
3. ლაშა გოგიტაძე (საქართველო)
3. ნატიკ გაგიროვი (აზერბაიჯანი)

დაპირისპირება გრძელდება!



ვახტანგ ბალავაძე

60 კგ

1. თალეჰ ასრაფალოვი (აზერბაიჯანი)
2. დავით ბედინაძე (საქართველო)
3. ტარიელ ეგრალიძე (საქართველო)
3. ტურალ მახრამანოვი (აზერბაიჯანი)

66 კგ

1. ლაშა ლომაძე (საქართველო)
2. მანუჩარ ცხადაია (საქართველო)
3. ჯეიკობ კერგი (აშშ)
3. ელგრუს მამედოვი (აზერბაიჯანი)

74 კგ

1. გენადი გოგიშვილი (საქართველო)
2. ზმაგი გულიაშვილი (საქართველო)
3. ალუდა კუნჭულია (საქართველო)
3. ნიკოლაი დარაგანი (უკრაინა)

84 კგ

1. ბადრი ხასაია (საქართველო)
2. ვლადიმერ გეგეშიძე (საქართველო)
3. გელა ჩხაიძე (საქართველო)
3. მუსა აჯო (თურქეთი)

96 კგ

1. გივი მორჩილაძე (საქართველო)
2. არმენ გეგამიანი (სომხეთი)
3. ალეკო ბურდულაძე (საქართველო)
3. ახმედ ტაჩილუზუ (თურქეთი)

120 კგ

1. რეზა კალაში (თურქეთი)
2. დავით სალდაძე (უზბეკეთი)
3. გურამ ფერსელაძე (საქართველო)
3. პეტრე მეტრეველი (საქართველო)

თავისუფალი, ვახტანგ ბალავაძე

კვირას ესტაფეტა გადაეცათ თავისუფალი სტილით მოჭიდავეებსა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირს. კარტოზიას ტურნირის მსგავსად, აქაც მხოლოდ ორ წონით კატეგორიაში არ გვყავდა ჩემპიონი.

55 კილოგრამში, საქართველოს ნაკრების პირველი ნომერი **ბესიკ გოჩაშვილი**, საერთოდ უმედლოდ დარჩა, ხოლო **გორა კირკიტაძემ** ფინალში ვერაფერი დაიკლო სომეხ **სიმონიანს**. 60 კილოგრამში თურქმა **თეფიკ ობადაშმა** ისეთი დღე აყარა ყველა მეტოქეს, რომ ფინალის შემდეგ, ქართველი გულშემატკივრის ალალი ოვაციები დაიმსახურა. დამეთანხმებით, ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა საქართველოსნაირ საჭიდაო ქვეყანაში, ქართველის დამმარცხებელს ტაშს დაუკრავენ...

66 კილოგრამში, არანაირი პრობლემები არ შეჰქმნია **ოთარ თუშიშვილს**. აი, 74 კილოში კი **გელა საღირაშვილს** ჯერ მეოთხედფინალში ჰქონდა ურთულესი ბრძოლა **დავით ახალმოსულიშვილთან**, მერე კი ფინალში გვანერვიულა საკმაოდ ძლიერ აზერბაიჯანელ **ასლანოვთან**. თუმცა, ორივე შემთხვევაში, გამარჯვება გელას დარჩა. იგი ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ დასახელდა. 84 კილოგრამში, **რევაზ მინდორაშვილმა** ჩვეულად იჭიდავა და შანსი არავის დაუტოვა, ხოლო 120 კილოგრამში, ტურნირის ყველაზე პერსპექტიულ მოჭიდავედ შერაცხულმა **დავით მოძმანაშვილმა** იძალა.

რაც შეეხება მთავარ ორთაბრძოლას, ფინალის შემდეგ, კურტანიძესა და გოგშელიძეს გავესაუბრეთ:

ლუკა კურტანიძე: - **სამწუხაროდ, დღეს იღბალმა ზურგი მაქცია. რას ვიზამთ, ცხოვრება გრძელდება და ბრძოლას ბოლომდე ვაპირებ. მე კიდევ ერთი წლით ვიხანგრძლივებ სპორტსმენის კარიერას და დანებებას ჯერ არ ვაპირებ. ყველაფერს გავაკეთებ პეკინის ოლიმპიადაზე მოსახვედრად. მართალია, გადაწყვეტილი მქონდა, რომ დღეს უნდა ნავსულიყავი აქტიური სპორტიდან, მაგრამ, ხანგრძლივი ფიქრის მერე, გადაწყვეტილება შევცვალე. მებრძოლი ბრძოლის ველზე ან უნდა იმარჯვებდეს, ან ეცემოდეს. ორივე შემთხვევაში, მან ღირსეულად უნდა იბრძოლოს. ჰოდა, მეც ბოლომდე ღირსეულად მინდა მივყვე ჩემს საქმეს.**

გიორგი გოგშელიძე: - **ლუკა კურტანიძე რას წარმოადგენს, ამაზე ჩემი შეხსენება არავის სჭირდება. იგი ძალიან დიდი სპორტსმენია, უამრავი სახელოვანი გამარჯვება მოუტანა საქართველოს და მოდით, სწორედ ამაზე გაამახვილეთ ყურადღება და არა იმაზე, რომ დღეს დამარცხდა. რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს ორთაბრძოლას, იგი საკმაოდ პრინციპული იყო. იღბლისა და ღვთის წყალობით, გამარჯვება მე დამრჩა...**

55 კგ

1. ვასან სიმონიანი (სომხეთი)
2. გოჩა კირკიტაძე (საქართველო)
3. გეგან ვარგურიანი (სომხეთი)
3. ალვან მირზოევი (სომხეთი)

60 კგ

1. თეფიკ ობადაში (თურქეთი)
2. მალხაზ ძურდიანი (საქართველო)
3. გიორგი გალიაშვილი (საქართველო)
3. მალხაზ ზარძუა (საქართველო)

66 კგ

1. ოთარ თუშიშვილი (საქართველო)
2. პაატა ნოზაძე (საქართველო)
3. კოგა კაკალაძე (საქართველო)
3. ჟირარ ოგანესიანი (სომხეთი)

74 კგ

1. გელა საღირაშვილი (საქართველო)
2. ელნურ ასლანოვი (აზერბაიჯანი)
3. ახმედ გულძანი (თურქეთი)
3. დავით ახალმოსულიშვილი (საქართ.)

84 კგ

1. რევაზ მინდორაშვილი (საქართველო)
2. არტურ ენოკიანი (სომხეთი)
3. ნიკოლოზ გაგნიძე (საქართველო)
3. ვან იუნი (ჩინეთი)

96 კგ

1. გიორგი გოგშელიძე (საქართველო)
2. ლუკა კურტანიძე (საქართველო)
3. გალვირ სერგატი (თურქეთი)
3. იანგ გულინი (ჩინეთი)

120 კგ

1. დავით მოძმანაშვილი (საქართველო)
2. ზვიად სიხარული (საქართველო)
3. დავით ოთიაშვილი (საქართველო)
3. მუსლიმ მუსლიმოვი (აზერბაიჯანი)



გიორგი გოგშელიძე

ლუკა კურტანიძე

ნოდარ სუარიძის ფოტოები

სუმო

გორგაძე არ აგებს

ქარმელი რიკიშისთვის ნაგოიას ბაშოზე უმთავრესი ამოცანა ტურნირის დადებითი ბალანსით დასრულება იქნება: დასავლეთის მეცხრე მაეგაშირა **კოკაის** უჭირს, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეები არცთუ ძლიერები ჰყავს. შაბათს კოკაის ძალზე გაუმართლა - მისი მეტოქე დებიუტანტი **ტოიოპიბიკი** იყო, ახალგაზრდამ ჩვენებური დოჰიოდან ეფექტურად მოისროლა, თუმცა სანამ კოკაი მინას შეეხებოდა, მანამდე იაპონელი შეეხო დოჰიოს და გამარჯვება ქართველს დარჩა. გუშინ კოკაიმ პირნმინდად წაგო ოს **ჰაკუროძანთან**. კოკაის ბალანსი 4-4 გახლავთ, ასე რომ, დარჩენილი 7 ორთაბრძოლიდან მან, სულ მცირე, ოთხი უნდა მოიგოს. დღეს კოკაის მეტოქე მე-16 მაეგაშირა **კაკიძოეა**, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 7:4-ს უგებს.

ბაშოზე გამოიკვეთა იმ სუმოისტთა ვინაობა, რომლებიც იმპერატორის თასისთვის იბრძოლებენ. **ჰაკუჰო** ბრწყინვალედ ჭიდაობს მისთვის სადებიუტო (იოკოძუნას რანგში) ტურნირში, ასევე დაუმარცხებელია მასპინძელთა კერპი სეკივაკე **კოტომიცუკი**. **ასაშორიუ** მათ მხოლოდ ერთი მოგებით ჩამორჩება, ორი მარცხი აქვს **კაიოს**.

შაბათს მესამე დივიზიონში მეორე მარცხი განიცადა **თეიმურაზ ჯუღელმა** (**გაგამარუ**), მან **სენშოსთან** წააგო. გუშინ ზედიზედ მეოთხედ მოიგო **ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**), რომელმაც **სოკოკურაის** აჯობა. ტოჩინოშინს 4-0 ბალანსი აქვს და ლიდერთა შორისაა, გაგამარუ 2-2 ბალანსით აგრძელებს ბრძოლას.

ნაგოიას ბაშო

(ივლისის სუპერტურნირი)

8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

VII დღე: **კოკაი-ტოიოპიბიკი 1:0 (აბისეტაოში), ასაშორიუ-ტოკიტენკუ 1:0, ჰაკუჰო-ამინიშიკი 1:0, კაიო-დეჯიმა 1:0, ტაკეკაძე-დეჯიმა 1:0, კოტოოშუ-ასასეკირიუ 1:0, კოტომიცუკი-ტაკამისაკარი 1:0.**

VIII დღე: **კოკაი-ჰაკუროძანი 0:1 (იორიკირი), ჰაკუჰო-ტოიონოშიმა 1:0, ასაშორიუ-ტაკამისაკარი 1:0, ჩიოტაიკაი-კოტოოშუ 1:0, კოტომიცუკი-კაიო 1:0, ასასეკირიუ-ამა 1:0, ვაკანოსატო-ამინიშიკი 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **8-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (სეკივაკე); 7-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰომაშო (მაეგაშირა 6); 6-2: კაიო (ოძეკი), კისენოსატო (მ 6); .. კოკაი (მ 9): 4-4.**

IX დღე: **კოკაი-კაკიძოე, ასაშორიუ-მიაბიამა, ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, კაიო-კოტოოშუ, ჩიოტაიკაი-ამა, კოტომიცუკი-ტოიონოშიმა, ტოკიტენკუ-დეჯიმა, ამინიშიკი-ტაკეკაძე.**

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი. V ეტაპი

ბრძოლა მაჯაფრდება

კვირას, რუსთავის ავტოდრომზე, წრიულ რბოლაში მორიგი, მე-5 ეტაპი გაიმართა. წინა ოთხი რბოლიდან ორჯერ გამარჯვება იზეიმა **ოთარ თავართქილაძემ** "ჰონდა სივიკის" მოდელით, ერთხელ - **გიორგი ოგბაიძემ** ამავე ფირმის ავტომობილით და ერთხელ - **არჩილ ბიძინაშვილმა**, ასევე "ჰონდა სივიკით".

ამჯერადაც ისინი ითვლებოდნენ ფავორიტებად, თუმცა **ზურაბ ბეჟუაშვილი** (ჰონდა სივიკი) ყოველ რბოლაში ამტკიცებს, რომ მისი ჩამოწერა ჯერ კიდევ ადრეა. ლიდერებს ნელ-ნელა უახლოვდება **დათა ქაჯაიაც** (ჰონდა RX), რომელიც ყოველ ეტაპზე აუმჯობესებს შედეგს. ამ ძალისხმევამ კვირას თავისი შედეგიც გამოიღო - ქაჯაია პოდიუმზე ავიდა.

ორი რბოლის ჯამში ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა არჩილ ბიძინაშვილმა და გვერდში ამოუდგა ჩემპიონატის ლიდერს, ოთარ თავართქილაძეს, რომელსაც კვირას არ გაუმართლა, მაგრამ, საერთო ჯამში, მაინც წინაა. მეორე ადგილზე დათა ქაჯაია გავიდა, მესამე კი ზურაბ ბეჟუაშვილი იყო. მის მანქანას ბოლო წრეზე საბურავი დაეშვა, მაგრამ პილოტმა მაინც მოახერხა მესამე ადგილის შენარჩუნება. წრიულ რბოლაში მეექვსე ეტაპი გაიმართება 29 ივლისს, კვლავ რუსთავი ავტოდრომზე.

დავით ჩუბინიძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსოვნა

ფარიკაობის დარგანიანი

ნუგზარ ასათიანი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფარიკაობაში, მართლაც დიდი ჩემპიონი და შესანიშნავი ადამიანი იყო, სპორტსმენთა მთელ თაობას რომ დაუსახავ სამაგალითოდ.

ეს წყნარი, მორიდებული, ღიმილიანი ადამიანი ვერცხლისფერ ბილიკზე სრულიად იცვლებოდა; საკუთარი ძალების რწმენა, ნებისყოფა და შეუპოვრობა, სისწრაფე, გამარჯვების უდიდესი წყურვილი, გინდა თავდადებაც - ყველაფერი ეს ბუნებრივად იყო შერწყმული მის პიროვნებაში. როცა ამ თვისებებს მრავალწლიანი დაუღალავი შრომით მიღწეული ოსტატობა დაემატა, ნუგზარ ასათიანს უკვე ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეეძლო, იმის მიუხედავად, რომ მაშინ მის პირისპირ საფარიკაო სამყაროს ცოცხალი ლეგენდებიც იბრძოდნენ.

ასეთი რწმენით, მუდამ უშიშრად გადიოდა საფარიკაო ბილიკზე (რაც ძალიან მნიშვნელოვანია, როცა დღეში 30-40 ორთაბრძოლის გადახდა გიწევს) და თანაგუნდელებს, საქართველოსა თუ საბჭოთა ნაკრების წევრებს, ნათელ მაგალითს აძლევდა; ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში არ კარგავდა გამარჯვების იმედს და ამ თვისებების წყალობით ზოგჯერ, ხმლით ხელში, სასწაულიც მოუხდენია.

ტოკიოს ოლიმპიადაზეც, სადაც იგი ჩემპიონი გახდა, იტალიელებთან გადამწყვეტი ორთაბრძოლა ნუგზარ ასათიანმა მოიგო.

მას შემდეგ დაიწყო მისი სახელოვანი გზა საქართველოსა და მსოფლიოს ფარიკაობაში. წარმატებები ადრეც ჰქონდა, მაგრამ ქარველი მუშკეტერის ძალა პირველად სრული სახით გამოჩნდა 1960 წელს წინასაოლიმპიადო ტურნირზე. მანამდე მას უკვე დამარცხებული ჰყავდა მსოფლიო ფარიკაობის ორი უდიდესი მეტრი - უნგრელი რუდოლფო კარპატი და პოლონელი ეჟი პავლოვსკი, ასევე საბჭოთა ნაკრების აღიარებული ლიდერები - იაკობ რილსკი, მარკ რაკიტა, დავიდ ტიშლერი. მაგრამ რომის ოლიმპიადის წინათ ამ სამის გარდა, სხვა ფავორიტებიც - უმარ მავლიხანოვი, ევგენი ჩერეპოვსკი და ლევ კუზნეცოვიც გადაელობნენ რომისკენ მიმავალ გზაზე და იმ დროს, როცა ხმლით ფარიკაობის საბჭოთა სკოლა ზენიტს უახლოვდებოდა, ასეთ კომპანიაში დაამტკიცა ნუგზარ ასათიანმა, რომ არავისზე ნაკლები არ იყო: საუკეთესო სამეულში დაიმკვიდრა ადგილი და უფლება მიიღო არა მხოლოდ გუნდურ, არამედ პირად პირველობაშიც ესპარეზა ოლიმპიურ თამაშებში.

ცოტა უფრო ადრე სარატოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში სნორედ ნუგზარ ასათიანის გადამწყვეტმა გამარჯვებამ მოუტანა ჩემპიონობა "ბურევესტნიკის" გუნდს უძლეველ არმიელებთან (ნუგზართან ერთად გუნდში მორის სახვაძეც გამოდიოდა, - რედ.).

რომის ოლიმპიადის შემდეგ თბილისელ გულშემატკივრებსაც მიეცათ საშუალება თვალნათლივ დაენახათ უკვე ცნობილი თანაქალაქელის ოსტატობა საფარიკაო ბილიკზე: ნუგზარ ასათიანმა აქ საკავშირო თასი მოიპოვა (ასევე იური ოსიპოვმა და გურამ კოსტავამ, შესაბამისად რაპირასა და დაშნაში, - რედ.). ერთი წლის შემდეგ იგივე განმეორდა უკვე საკავშირო ჩემპიონატზე, ლენინგრადში.

მაგრამ ის, რაც ნუგზარ ასათიანმა გააკეთა 1966 წელს, უმაგალითოა არამარტო ფარიკაობის, არამედ საერთოდ, სპორტის ისტორიაში. ახალშერთულ მეუღლესთან ერთად ლენინგრადს მიემგზავრებოდა საქორწინო მოგზაურობაში, როცა მატარებელი როსტოვში შეჩერდა. იქ საკავშირო თასის გაიათამაშება უნდა დაწყებულიყო. ნუგზარს გულმა ვერ გაუძლო, მატარებლიდან ჩამოვიდა და საფარიკაო დარბაზში მეუღლესთან ერთად გამოგვეცხადა გაოცებულ თანაგუნდელებს. შეჯიბრების შემდეგ კი პატარძალს საჩუქარი - საკავშირო თასი მიართვა და ამ ჯილდოთი გამემგზავრნენ ნევისპირა ქალაქისკენ.

ნუგზარ ასათიანს სხვა მრავალი ჯილდოც მოუპოვებია, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატებზე, მათგან უმაღლესი, რა თქმა უნდა, ტოკიოს ოქროა, მაგრამ წასვლაც ღირსეულად შეძლო: 1968 წელს, სარატოვში, საკავშირო თასის გათამაშებაში ისევ აჯობა არამარტო ძველ ასებს - რაკიტას, მავლიხანოვს, მელნიკოვს, არამედ ახლებსაც - ედუარდ ვინოკუროვს და ვლადიმერ ნაზლიმოვს. მეხიკოს ოლიმპიადაშიც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს...

ნუგზარ ასათიანი არამარტო ჩვენი თანაგუნდელი, ჩვენი მეგობარიც იყო თითქმის გაცნობის დღიდან. სამეგობროდ კი უკეთეს ადამიანს ძნელად ინატრებდი, ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნა ადამიანური სითბო, პატიოსნება და სულის სიმტკიცე. ერთხანს, პროფესიით იურისტი, გამომძიებლადაც მუშაობდა, მაგრამ მალე დაანება თავი - იქ ისეთი ცუდი ამბებიც ხდება, რაც ჩემთვის მიუღებელიაო...

დღეს ნუგზარ ასათიანს 70 წელი შეუსრულდებოდა. იგი ფარიკაობის ლეგენდებს ერკინებოდა და თვითონაც ლეგენდად დარჩა.

იური ოსიპოვი, ზურაბ ცქიტიშვილი, მურმან ასათიანი, მორის სახვაძე, გურამ ლორთქიფანიძე, გურამ ჯაიანი, არჩილ გოგელია.

უკვდავება 70 წლისაა

საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონებიდან **ნუგზარ ასათიანი** ერთ-ერთი პირველთაგანი წავიდა ამ ქვეყნიდან და გაუნელებელი ტკივილი დაუტოვა ყველას, ვინც მართლაც ამ ღირსეულ ადამიანსა და უდიდეს სპორტსმენს ახლოს იცნობდა.

ნუგზარ ასათიანმა არა მხოლოდ მოფარიკავეთა სამყაროში, საერთოდ, ქართულ სპორტში შექმნა და დაამკვიდრა იდეალური სპორტსმენისა და პიროვნების სახე, რაც მისაბაძ მაგალითად გადაეცემა თაობებს. მისით მთელი საბჭოთა კავშირი და მსოფლიო საფარიკაო თანამეგობრობა ამაყობდა.

ნუგზარ ასათიანი ყველას დააკლდა, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობას, რომლის შექმნით გულით ხარობდა, - ჯერ საორგანიზაციო კომიტეტს უდგა გვერდით, შემდეგ აქტიურად ჩაერთო ახალშექმნილი ორგანიზაციის საქმიანობაში.

დღეს ნუგზარი, ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ფარიკაობაში, 70 წლისა გახდებოდა. წლებს ასეთი ადამიანებისთვის უკვდავება მოაქვს. თუმცა უკვდავებას იგი ჯერ კიდევ მაშინ ეზიარა, როცა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

სპორტის აკადემია

გადაწყვეტილება არ შეიცვლება - აცხადებს მინისტრი

ვნებათაღელვა სპორტის აკადემიის ირგვლივ გრძელდება. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა **გიორგი გაბაშვილმა** გასულ შაბათს საგანგებო კონფერენცია მოიწვია სამინისტროში, რათა შექმნილ ვითარებაში შეეტანა სიცხადე. მისი გამოსვლის დედააზრი ასეთი იყო: საგანგაშო არაფერია, ყველაფერი კეთდება სპორტის საკეთილდღეოდ. ამასთან, მინისტრმა კატეგორიულად განაცხადა, რომ გადაწყვეტილება სპორტის აკადემიის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტთან შეერთების შესახებ არ შეიცვლება.

ახლა დღის წესრიგში რჩება ორი პოზიცია: ერთი, რომელსაც სპორტის აკადემიის ხსნის საორგანიზაციო კომიტეტი გამოხატავს, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, დამოუკიდებლობის შენარჩუნებით აკადემიის ახალი კომპლექსის გაშენებას მოითხოვს და მეორე - უკვე მიღებული გადაწყვეტილებიდან სპორტის აკადემიამ მიიღოს სარგებლის მაქსიმუმი. ამ პოზიციას ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტარი **გიორგი ასანიძე** ახმოვანებს, რომელიც ასევე მონაწილეობდა პრესკონფერენციაში. ჩვენმა მეორე ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმა**, რომელიც ასევე სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულია, განაცხადა, რომ მისთვის საინტერესო იყო მინისტრის განმარტებები და თუკი რეფორმა სასიკეთოდ წაადგება ქართულ სპორტს, რატომ უნდა მივიჩნიოთ იგი ტრაგედიად.

პრესკონფერენციამდე აკადემიის წინ კვლავ შეიკრიბნენ სასწავლებლის დამოუკიდებლობის მხარდამჭერები, რომელთა შორის სეოკ-ის შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ოლიმპიური ორგანიზაციებისა და ამავე რეგიონების უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკურ ზრდის ფაკულტეტის ხელმძღვანელებიც გამოჩნდნენ. აკადემიის წინ შეკრებილები სამინისტროსკენ დაიძრნენ, მაგრამ მათ პრესკონფერენციაზე დასწრების შესაძლებლობა არ მიეცათ.

ჩიბები

საქართველოს თასი
დინამო არ გამოცხადდა

საქართველოს თასის გათამაშების მესამე ეტაპის მესამე შეხვედრა, "ლოკომოტივისა" და "დინამოს" შორის არ გაიმართა. დინამოელებს, როგორც ჩანს, ფინანსური პრობლემები აქვთ და რკინიგზელებთან სათამაშოდ არ გამოცხადდნენ. დებულების თანახმად, "ლოკომოტივს" გამარჯვება მიეკუთვნა და მეოთხე, ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. ჯგუფურ ეტაპზევე, ოღონდ დამარცხებულთა შორის, იასპარეზებს "დინამო". მისი მეტოქეები დღეს და ხვალ გასამართ საპასუხო შეხვედრებში გაირკვევა. ამის მერე გუნდები მორაგბეებს შვებულებაში გაუშვებენ. შინაური სეზონი კი სექტემბერში განახლდება.

ბესიკ ჯანგავაძე

ანონსი

16 ივლისი

18:30 ხარები-ლელო ვაკე

17 ივლისი

18:30 ყოჩები-უნივერსიტეტი ვაკე

სამი ერის პირველობა
ბოლო ტურში გადაწყდება

"ოლ ბლექსს", ცოტა არ იყოს, გაუჭირდა ზელანდიაში მეორე შემადგენლობით ჩასულ "ქურციკთა" ძლევა. ზელანდიამ ბონუს-ქულაც ვერ მოიპოვა, თუმცა ამას უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს - სამი ერის ბედი მორიგ უქმეზე ზელანდიაშივე გაირკვევა, როცა კუნძულებს ავსტრალიის ნაკრები ესტუმრება. კრაისტჩერჩში მასპინძლებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს, აფრიკელები კი თავს ყოჩაღად იცავდნენ, სანამ საქმეში შეცვლაზე შესული ზელანდიელები არ ჩაერთვნენ. მასპინძელთა სამიდან ორი ლელო შეცვლაზე შესულებმა (**ბრენდონ ლეონარდი** და **ნიკ ევანსი**) გაიტანეს. "ოლ ბლექსის" ათი ნომრის **დენ კარტერის** ანგარიშზე კი 23 ქულაა. საერთო შეფასებით, უკეთ ზელანდიელთა კაპიტანმა **რიჩი მაკქოუმ** ითამაშა. სხვებმა კი გვარიანი კრიტიკა დაიმსახურეს, რაკი ლამის "ქურციკთა" B ნაკრებს ძლივს აჯობეს.

ზელანდია-სამხ. აფრიკა 33:6

ზელანდია:3ლ (ლეონარდი, ევანსი, კარტერი), 3გ, 4ს (კარტერი); აფრიკა:2ს (ჰუხარდი)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	პრ	ქ
ზელანდია	3	2	0	1	+27	1	9
ავსტრალია	3	2	0	1	+10	1	9
სამხ. აფრიკა	4	1	0	3	-37	1	5

ჩოგბურთი

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ქალბატონ ლეილა მესხს, ჩოგბურთის ფედერაციის გამგეობას

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წევრთა
განცხადება
რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

ჩვენ, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წევრები, ვითვალისწინებთ რა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ინტერესებს, ვხელმძღვანელობთ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წესდების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დ ქვეპუნქტით, მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტით და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით:

ვიწვევთ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის რიგგარეშე კრებას 2007 წლის 31 ივლისს 19 სთ-ზე, მისამართზე: ქ. თბილისი ლუბლიანის ქ. №18 (იან ჰომერის სახელობის კორტები).

დღის წესრიგი:

1) საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გადარჩევა - უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა;

2) საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა;

3) საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გამგეობის გადარჩევა - წევრთა უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა;

4) საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გამგეობის წევრთა არჩევა.

აღნიშნული კრების მოწვევის აუცილებელი მიზეზებია:

ა) ქართულ ჩოგბურთში შექმნილი საგანგაშო ვითარება: კერძოდ, მომავალი თაობების არარსებობა, რაც ვლინდება ნებისმიერი ასაკის გოგონათა და ვაჟთა ტურნირების დროს;

ბ) ბაზების და საჩოგბურთო ინფრასტრუქტურის სიმწირე და არანაირი ზრუნვა მათი განვითარებისა და რეაბილიტაციისათვის;

გ) რეგიონებში ჩოგბურთის არარსებობა;

დ) დაფინანსების სიმწირე და მრავალი სხვა...

რეგისტრაცია დაიწყება 31 ივლისის 18 სთ-ზე და დამთავრდება 19 სთ-ზე.

შენიშვნების წარდგენის ბოლო ვადაა 27 ივლისი, იმავე მისამართზე ლუბლიანის №18.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წევრები:



ტურნირები

ბასტილიის დღე გშჯაადში



პოლ-ანრი მატიე

პოლ-ანრი მატიე ბასტილიის დღე შვეიცარიის ღია პირველობაზე ტრიუმფით აღნიშნა. ფრანგმა ჩოგბურთელმა გშტაადის ტურნირის ფინალში, დაძაბულ პაექრობაში აჯობა იტალიელ **ანდრეას ზეპის** და კარიერაში მეოთხე ტიტული მოიპოვა. ფრანგი ჩემპიონი ეყოლება ნიუპორტის ტურნირსაც, რომლის ფინალში თამაშის უფლებაც ამ ქვეყნის ორმა ჩოგბურთელმა - **ფაბრის სანტორომ** და **ნიკოლა მაიუმ** მოიპოვა.

მატიეს რეიტინგში 28-ე ადგილი უკავია, ზეპი კი 111-ეა და ატპ-ს ტურნირის ფინალშიც პირველად ითამაშა, მაგრამ პაპანაქება სიცხეს უკეთ იტალიელი შეეგუა, რომელმაც პირველი სეტი ტაიბრეიკზე მოიგო და მეორეშიც კარგა ხანს, მეტოქეს ბრეიკის საშუალებას არ აძლევდა. მატიემ მეორე სეტის მიწურულს მაინც შეძლო მეტოქის სერვისზე ქულის აღება და სეტებში ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ გადამწყვეტ სეტში კვლავ მდევრის როლში ყოფნამ მოუწია.

მესამე სეტის მეექვსე გეიმში ზეპიმ ორი ბრეიკ პოინტი მიიღო, თუმცა მათი რეალიზება ვერ მოახერხა, რაც პირველ რიგში, ფრანგის დამსახურება იყო. თუმცა, იტალიელმა მერვე გეიმში მაინც შეძლო მიზნის მიღწევა, რაშიც მას ხელი ბადემ შეუწყო - მატიეს დარტყმული ბურთი სწორედ ბადეს შეეო და ისევ ფრანგის მოედანში ჩავარდა.

ზეპი 5:3 დანინაურდა და მოწოდებაც მისი იყო, მაგრამ გამარჯვების სიახლოვე რომ იგრძნო, იტალიელი ანერვიულდა, რამაც ცუდი სამსახური გაუწია. ზეპის მოწოდებაზე მატიემ ზედიზედ სამი ქულა აიღო და პირველივე ბრეიკ პოინტი მეტოქის მიერ დაშვებული ორმაგი შეცდომის წყალობით აქცია ქულად. მომდევნო, თავისი სერვის-გეიმი ფრანგმა იოლად მოიგო და მერე ისევ ზეპის სერვისზე იხეირა - 6:5 მის სასარგებლოდ. ახლა უკვე მატიე აწოდებდა მატჩზე, მაგრამ ამჯერად ზეპი გამოცოცხლდა. 30:30-ზე ფრანგმა ნაღმა დარტყმული ბურთი მოედანს გადააცილა და მეტოქეს სეტის ტაიბრეიკზე გადაყვანის შანსი აჩუქა. მაგრამ ეს შანსი თავადვე, მომდევნო მოწოდებაზევე, ეისით წაართვა, რის შემდეგაც აღარ გასჭირვებია შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანა.

"ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დაძაბული შეხვედრის შემდეგ, გამარჯვება მე დამრჩა. რა თქმა უნდა, ეს გამარჯვება შემართების წყალობით დავიმსახურე, მაგრამ გამარჯვებას არანაკლებ ზეპიც იმსახურებდა. მან ბრნყინვალედ ითამაშა და რომ არა ნერვიულობა, ალბათ მიზანსაც მიაღწევდა", - განაცხადა მატიემ, ვინც ამ სეზონში მეორე ტურნირის ჩემპიონი გახდა (პირველად კასაბლანკას ტურნირი მოიგო).

თუ შვეიცარიის ღიას ჩემპიონი დაძაბულ პაექრობაში გარკვა, შვედეთის ღიას ფინალში ბრძოლა პრაქტიკულად არ ყოფილა. იქ კორტის ორივე მხარეს ესპანელი ჩოგბურთელი იდგა. ესპანურ დუელში კი გამარჯვებას **დავიდ ფერერმა** მიაღწია, რომელმაც ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო **ნიკოლას ალმაგროს**.

სხვათა შორის, ეს ორი ესპანელი სულ მესამედ შეხვდა ერთმანეთს და სამივე შემთხვევაში, კორტი მოგებულმა ფერერმა დატოვა. მათი წინა ორი დაპირისპირება შარშან, ცინცინატის მასტერსსა და აშშ-ის ღიაზე (ორივე ჰარდზე) შედგა, ამჯერად კი მათ თიხნარზე ითამაშეს.

"იმაზე კარგი არაფერია, რომ ტურნირს გამარჯვებით ამთავრებ. ფინალში მაქსიმალურად მობილიზებული ვიყავი. მგონი, ასე კარგად არც არასოდეს მითამაშია. იქნებ, ამაში ის გარემოებაც მიწყობდა ხელს, რომ ნიკოლასი ზედმეტად ნერვიულობდა. სხვათა შორის, ტურნირზე ჩემი მწვრთნელის გარეშე ჩამოვედი, მის მოვალეობას კი აქ ნიკოლასის მწვრთნელი ასრულებდა. ოღონდ, არა ფინალში", - განაცხადა ფერერმა, ვისთვისაც ეს კარიერაში მოგებული მეოთხე ტურნირია.

ცნობისათვის, ალმაგრო და ფერერი მეგობრები არიან და ტურნირებისთვის მეტწილად ერთად ემზადებიან ხოლმე. ფერერს **ხავიერ პილესი** წვრთნის, ალმაგროს კი - **ანტონიო გონსალესი**. ჰოდა, შვედეთის ღიაზე ფერერს თავისი მწვრთნელი რომ არ გაჰყვა, მას გონსალესი ეხმარებოდა.

შვეიცარიის ღია

გშტაადი (შვეიცარია). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 421 250 ევრო

მეოთხედფინალი

იგორ ანდრეევი (რუს)-რიშარ გასკე (საფ, 3) 7:5, 6:2; **პოლ-ანრი მატიე (საფ, 5)**-გაელ მონფილსი (საფ) 6:1, 4:6, 6:3; **რადეკ სტეპანეკი (ჩეხ)**-მარკ გიშელი (საფ, 6) 6:3, 6:3; **ანდრეას ზეპი (იტა)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:4, 6:0

ნახევარფინალი

პოლ-ანრი მატიე (საფ, 5)-რადეკ სტეპანეკი (ჩეხ) 6:3, 6:4; **ანდრეას ზეპი (იტა)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:4, 3:6, 7:6(5)

ფინალი

პოლ-ანრი მატიე (საფ, 5)-ანდრეას ზეპი (იტა) 6:7(1), 6:4, 7:5

შვედეთის ღია

ბაშტადი (შვედეთი). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო

მეოთხედფინალი

დავიდ ფერერი (ესპ, 2)-ჟილ სიმონი (საფ) 6:1, 6:0; **კარლოს მოია (ესპ, 4)**-რობინ სოდერლინგი (შვედ, 6) 6:2, 6:4; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 5)**-ოლივიე როხუსი (ბელგ) 6:1, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-ოუის ორნა (პერუ) 7:5, 6:4

ნახევარფინალი

დავიდ ფერერი (ესპ, 2)-ფილიპო ვოლანდრი (იტა, 5) 6:2, 6:1; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-კარლოს მოია (ესპ, 4) 6:3, 1:6, 6:2

ფინალი

დავიდ ფერერი (ესპ, 2)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 6:1, 6:2

CAMPBELL'S HALL OF FAME

ნიუპორტი (აშშ). ბალახი

საპრიზო ფონდი: 416 000 დოლარი

მეოთხედფინალი

უესლი მუდი (სამხ.აფრ)-ვინს სპადეა (აშშ, 2) 6:4, 6:4; **ფაბრის სანტორო (საფ, 4)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:4, 6:3; **ნიკოლა მაიუ (საფ, 5)**-პრაკაშ არმიტრაჯი (ინდ) 6:4, 7:6(4); **დიკ ნორმანი (ბელგ)**-აისამ-ულ-ჰაქ ყურეში (პაკ) 6:4, 3:6, 6:4

ნახევარფინალი

ფაბრის სანტორო (საფ, 4)-უესლი მუდი (სამხ.აფრ) 7:6(2), 6:3; **ნიკოლა მაიუ (საფ, 5)**- დიკ ნორმანი (ბელგ) 6:4, 6:7(2), 6:2

ვარსკვლავები

სამპრასი დიდების დარბაზში

პიტ სამპრასი

საჩოგბურთო სამყაროს დიდების დარბაზის კომისიამ, დიდების დარბაზში შესაყვანად ოთხი ჩოგბურთელი წარადგინა. მათ შორის არიან დიდი სლემის 14 ტიტულის მომპოვებელი ამერიკელი **პიტ სამპრასი** და დიდი სლემისვე ოთხი ტიტულის მფლობელი ესპანელი **არანჩა სანჩეს ვიკარიო**. მათ გარდა, დარბაზის წევრობაზე წარდგენილნი არიან დიდი სლემის ტურნირის პირველი შვედი ჩემპიონი (1957 წელი, საფრანგეთის ღია) **სვენ დავიდსონი** და საჩოგბურთო ფოტორეპორტიორი **რას ადამსი**, ვინც ნახევარი საუკუნე აშუქებდა საჩოგბურთო ტურნირებს.

სამპრასმა ატპ-ს ტურზე 15 წელი გაატარა და ამ პერიოდში, დიდი სლემის 14 ტურნირის გარდა, კიდევ 50 ტურნირის მოგება შეძლო (მათგან ხუთი ატპ-ს მსოფლიო ჩემპიონატზე, იგივე მასტერსის თასზე) და 24 ტურნირის ფინალი წააგო. დიდი სლემის ტურნირებზე მოპოვებული ტიტულებიდან 7 უიმბლდონზე მოდის, ორი ავსტრალიის ღიაზე და ხუთიც - აშშ-ის ღიაზე.

სამპრასმა მთლიანობაში 286 კვირა გაატარა რეიტინგის სათავეში. აქედან ზედიზედ 102 კვირის განმავლობაში, პირველობას არავის უთმობდა. დაკიდევ, 1993-98 წლების სეზონების ბოლოს, რეიტინგში მონინავე პოზიციები ეკავა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. აშშ-ის ნაკრებთან ერთად, სამპრასმა 1992 და 1995 წლებში დევისის თასიც მოიპოვა.

1990 წელს სამპრასმა აშშ-ის ღია 19 წლისამ მოიგო და ამ ტურნირის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი შეიქნა. სამაგიეროდ, მას არასოდეს მოუგია სათიხნარო გრან სლემი - საფრანგეთის ღია, რის გამოც, მისთვის ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელის სტატუსს არ იმეტებენ.

სხვათა შორის, ჯერჯერობით სამპრასის მსგავსი კარიერა აქვს შვეიცარიელ **როჯერ ფედერერსაც**, ვისაც უკვე დდი სლემის 11 ტურნირი აქვს მოგებული, მაგრამ როლან გაროსზე ზედიზედ ორჯერ ფინალში წააგო. საინტერესოა ისიც, რომ ეს ორი სუპერვარსკვლავი ამ სეზონის მიწურულს, აზიაში რამდენიმე საჩვენებელ შეხვედრას ჩაატარებს.

რაც შეეხება სანჩეს-ვიკარიოს, ის პირველი ესპანელი ქალი ჩოგბურთელია, ვინც აშშ-ის ღიას მოგება შეძლო (1994 წელს). ვტა-ს ტურზე გატარებული 18 წლის განმავლობაში მან დიდი სლემის 14 ტიტულის მოპოვება შეძლო, რომელთაგან მხოლოდ ოთხს დაეუფლა ერთეულებში, დანარჩენებს კი - წყვილებში.

სანჩეს-ვიკარიო იმ ოთხ ქალ მეჩოგნეს შორისაა, რომლებსაც ერთდროულად, ერთეულებისა და წყვილების რეიტინგებში ეკავა პირველი ადგილი (1995 წელს).

მერაბ ლორთქიფანიძე

16 ივლისი. ორშაბათი

NTB-პლუსი (უახბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 კოპა ამერიკა. ფინალი. არგენტინა-ბრაზილია.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-კატანია.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/8 ფინალი. იუვენტუსი-დეპორტივო. საპასუხო მატჩი.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 კოპა ამერიკა. ფინალი. არგენტინა-ბრაზილია.
22:50 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ბარსელონა.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბარსელონა.
08:45 კრიკი. რინგ-საიდი.
09:40 მინი-მოედანი.
10:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
11:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.
13:30 მინი-მოედანი.
13:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:25 მძლეოსნობა.
16:50 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
18:30 სპორტლოტი.
18:50 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილარეალი-ბეტისი.
20:40 ბოკსი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ვანკუვერი-დალასი.
22:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:55 პროფესიული კრივი. ვიტალი ჰარისი-სტივ ჯონსტონი.
01:25 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
03:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
05:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
05:45 სპორტლოტი.
06:00 ფეხბურთი. 2006-07 [illegible] ბი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერ-[illegible]

EUROSPORT

10:30 მოტორსპორტი. საკეირო ტელეფურნალი.
11:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი.
12:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებში. ოსტრავა. ჩეხეთი.
13:30 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (23-ნლამდელები). უნგრეთი.
14:30 ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი. ლუცერნი. შვეიცარია.
15:45 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. შეფილდი. ბრიტანეთი.
17:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-ნლამდელები). 1/4 ფინალი. კანადა.
18:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ვერდერი-ბაზელი.
20:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-რუსეთი. ავსტრია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ავსტრია-ესპანეთი. ავსტრია (LIVE).
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 მულტისპორტი.
02:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებში. ოსტრავა. ჩეხეთი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ვერდერი-ბაზელი.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. იტალია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ვერდერი-ბაზელი.
17:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-ნლამდელები). 1/4 ფინალი. კანადა.
18:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. სან ხოსე-ჩიკაგო.
19:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი.
20:00 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
22:00 მოტორსპორტი. საკეირაო ტელეფურნალი.
22:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი (LIVE).
00:15 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგიულარული ჩემპიონატი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-ნლამდელები). 1/4 ფინალი. კანადა.
02:15 ახალი ამბები.

მძლეოსნობა ოქროს ლიგა

პაუელი ინციდენტმა დაჩრდილა

მცირე ტრავმული პაუზის შემდეგ, სარბენ ბილიკს დაუბრუნდა ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენი, იამაიკელი **ასაფა პაუელი**, რომელმაც ოქროს ლიგის სერიის რომაული შეხვედრა მოიგო. თუმცა, მისი გამარჯვებით დაბრუნება რომის ოლიმპიურ სტადიონზე მომხდარმა ინციდენტმა დაჩრდილა, რომელსაც საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია.

სიგრძეზე მხტომელი ფრანგი **სალიმ სდირი** სარბენ ბილიკზე, თავისი ხტომებისთვის მოთელვას გადიოდა, როცა შუბის მტყორცნელთა სექტორში, ცდის შესასრულებლად პოზიცია ფინელმა **ტერო პიტკამაეკიმ** დაიკავა. რომის შეხვედრამდე, პიტკამაეკი ოქროს ლიგის ჯეკპოტის მაძიებელთა ოთხეულში შედიოდა. რომში მას სერიოზული მეტოქეობა შეხვდა ნორვეგიელი **ანდრეას თორკილდსენისგან**, რომელმაც პირველივე ეტაპზე შუბი ძალიან შორს, 88.36 მეტრზე გაისროლა.

მესამე ცდაზე ფინელმა მეტისმეტი მოინდომა. მაგრამ მის მიერ გატყორცნილი შუბი მარცხნივ გაფრინდა და მოთელვაზე მყოფ სდირის ზურგში ჩაერჭო. დაზარალებული სასწრაფოდ გადაიყვანეს ჯერ სტადიონის ამბულატორიაში, იქიდან კი რომის ჰოსპიტალში. საბედნიეროდ, ამბულატორიაშივე ჩატარებულმა ტესტირებამ ცხადყო, რომ სდირი სერიოზულ დაზიანებას გადაურჩა, მას შინაგანი ორგანოები არ დაზიანებია. შუბი მის სხეულში მხოლოდ სამი სანტიმეტრის სიღრმეზე შესულა.

პაუელმა დაბრუნებისთანავე შესანიშნავად იასპარეზა. მან დისტანცია 9.90 წამში გაირბინა და მართალია, თავისივე რეკორდამდე (9.77 წამი) ბევრი დააკლდა, სამაგიეროდ, სეზონში მეორე საუკეთესო დრო მაინც დააფიქსირა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგი (9.84) ამერიკელ **ტაისონ გეის** ეკუთვნის, ვინც გუშინ შეფილდში ასპარეზობდა და იქადნიდა, რეკორდს დავამყარებო.

"ტრავმის შემდეგ, ეს ჩემი პირველი გამოსვლა იყო და რა თქმა უნდა, ამ შედეგით კმაყოფილი ვარ. სტარტიდან მოყოლებული, ყველაფერი იდეალურად გავაკეთე. ეგ კი არა, დისტანციის მეორე ნახევარზე ოდნავ მოვეშვი კიდეც, რადგან არ მინდოდა, ძალიან დავძაბულიყავი და ტრავმა გამმეზზებოდა", - განაცხადა ასაფამ და იქვე დასძინა, ამ სეზონში ჩემსა და ტაისონ გეის შორის დაძაბული პაექრობის ხილვა გელითო.

მილიონდოლარიანი ჯეკპოტის მაძიებელთა სიას კი მხოლოდ სამი მძლეოსანიღა შემორჩა. სანუკვარი პრიზისთვის ბრძოლას აგრძელებენ ამერიკელები - **სანია რიჩარდსი** (400 მეტრი) და **მიმშელ პერი** (100 მეტრი თარჯრბენით), ასევე რუსი **ელენა ისინბაევა** (ჭოკით ხტომა).

400 მეტრზე სპრინტში თავიდანვე ლიდერობა იგდო რიჩარდსმა, ვინც პირველი 350 მეტრი შესანიშნავად გაირბინა, მაგრამ შემდეგ დაღლა დაეტყო და ფინიშამდე პირველობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდა. ბოლოს მკვეთრად აჩქარდა 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონი, სენეგალელი **ემი მბაკე თიამი**, მაგრამ იამაიკური წარმოშობის ამერიკელის გასწრება მან ვეღარ შეძლო. საბოლოოდ, რიჩარდსმა ფინიშს 49.77 წამში მიაღწია, თიამის შედეგი კი 50.15 წამია (ამ სეზონში მისთვის საუკეთესო).

პერიმ ამ სეზონში სეზონის საუკეთესო შედეგით (12.44 წამი) მოიგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სპრინტერულ თარჯრბენში მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. "გამარჯვება თავისთავად სასიამოვნოა, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესი ისაა, რომ ყველა კომპონენტში კარგად გამოვედი. სტარტზე დროული რეაგირება მქონდა, გზის შუა ნაწილი სწრაფად გავირბინე და ფინიშითაც კმაყოფილი ვარ. ასე თუ გავაგრძელე, ჯეკპოტის მოპოვების კარგი შანსი მექნება", - განაცხადა პერიმ, ვინც ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზეც ფავორიტი იქნება.

ჭოკით ხტომაში კი ყველა ელოდა ისინბაევასა და მისი ახალი კონკურენტის, ამერიკელი **ჯენიფერ სტუჩინსკის** პაექრობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამერიკელი წელის ტრავმის გამო, საასპარეზოდა ვერ გამოვიდა. ისინბაევა კი ფაქტობრივად, უმეტოქეოდ დარჩა და 4.90 მეტრზე გადავლებითაც (პირველივე ცდაზე) იოლად მოიგო ტურნირი.

რა თქმა უნდა, გამარჯვება რომ გაინაღდა, მერე თავისივე მსოფლიო რეკორდს (5.01 მეტრი) შეეჭიდა - თამასა 5.02 მეტრზე გაადებინა, მაგრამ, ისევე როგორც წინა ორ შეხვედრაზე (ოსლოსა და პარიზში), მიზანს კვლავ ვერ შესწვდა. არადა, მესამე ცდა თითქმის უნაკლოდ შეასრულა და თითქოს, სიმაღლეს გადაევლო კიდეც. მაგრამ ძირს რომ ეშვებოდა, თამასა მაინც ჩამოვარდა ბოძებიდან.

მერაბ ლორთქიფანიძე

სდირი ჰოსპიტალში გადაჰყავთ

NBA. ᲛᲔᲛᲤᲘᲡ ᲒᲠᲘᲖᲚᲘᲡᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲣᲞᲔᲠᲩᲐᲜᲓᲔᲛᲘ



ᲓᲐᲠᲙᲝ ᲛᲘᲚᲘᲩᲘᲩ

"ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢ-ᲞᲘᲚᲘᲡᲢᲝᲜᲔᲖᲨᲘ" დაკარგული ორი სეზონი, "ორლანდო მეჯიქში" თვითრწმენის დაბრუნების ხელიდან გაშვებული ბრწყინვალე შანსი... **დარკო მილიჩჩს** მსოფლიო კალათბურთში სახელის დამკვიდრებისა და სკეპტიკოსების დადუმების უკანასკნელი შანსი ეძლევა. დამდეგი სეზონიდან, ნიჭიერი სერბი ცენტრი "მემფის გრიზლისში" **პაუ გასოლის** თანაგუნდელი გახდება.

მილიჩჩი, ალბათ, თავისთვის იდეალურ გუნდში მოხვდა. ჯერ ერთი, გასოლის სახით მას არა კონკურენტი, არამედ ძირითად ხუთეულში საუკეთესო პარტნიორი ეყოლება. ესპანელი, ცენტრის ფუნქციებს მხოლოდ ნაკრებში ასრულებს, ხოლო ოკეანისგაღმურ ლიგაში კი, "გრიზლისის" მწვრთნელები მას ყოველთვის მძიმე ფორვარდად ათამაშებენ და აქედან გამომდინარე, დარკოს სათამაშო დრო მთლიანად მასზე იქნება დამოკიდებული.

მილიჩჩი "დეტროიტმა" 2002 წლის დრაფტზე მეორე ნომრად აირჩია, მის მერე კი რიგში **კარმელო ენტონი, დუეინ უეიდი** და **კრის ბოში** იდგნენ. **ბენ უოლასის, რაშიდ უოლასისა** და **ანტონიო მაკდაიესის** ჩრდილში მოქცეულმა დარკომ ფრთები მიჩიგანში ასეც ვერ გაშალა და იძულებითი უქმობის მერე, ფლორიდაში გაუშვეს, სადაც "მეჯიქში" თითქოსდა ბოლომდე უნდა გამოევლინა თავისი შესაძლებლობები. "დეტროიტის" შემადგენლობაში მილიჩჩმა 103 შეხვედრაში მხოლოდ 1.5 ქულისა და 1.1 მოხსნის დაგროვება მოახერხა.

მილიჩჩმა ფლორიდაშიც ვერ ითამაშა სტაბილურად, თუმცა უკანასკნელი ფლეი ოფის სერია, რომელშიც "მეჯიქი" სწორედ "დეტროიტს" ხვდებოდა, სერბმა ძალიან კარგად ჩაატარა. მილიჩჩი ერთ მატჩში საშუალოდ 12 ქულასა და 7 მოხსნას აგროვებდა, მაგრამ სერია "პისტონზმა" მშრალად, 4:0 მოიგო.

"მეჯიქში" ჩატარებულ 110 შეხვედრაში დარკო მილიჩჩმა საშუალოდ 7.9 ქულა და 5.1 მოხსნა შემატა გუნდს, რაც თუნდაც საშუალო დონის ცენტრისთვისაც კი დიდი ვერაფერი შედეგია.

თავის ახალ გუნდთან დარკომ სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც იგი 22 მილიონ დოლარს მიიღებს. ამის შესახებ მასმედიელებს "მემფისის" გენერალურმა მენეჯერმა **კრის უოლასმა** განუცხადა.

"დარკოს სახით ძალიან დიდი პოტენციალის მქონე მოთამაშე ავიყვანეთ. იგი ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და ჩვენს ლიგაში უკვე 4 სეზონია თამაშობს. მან და პაუმ მოედნის ორივე მხარეს იოლად უნდა გამონახონ საერთო ენა. "მემფისს" მოთამაშეების დასამატებლად სახელფასო ფონდში კიდევ დარჩა საკმარისი თანხა. ასე რომ, ჩვენგან კიდევ გელით სიურპრიზები", - მიაჩნია უოლასს.

ზურაბ თალაკვაძე

მინესოტა ტიმბერვულვზი

ᲒᲐᲠᲜᲔᲢᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘᲐ

არ ცხრება აჟიოტაჟი **კევინ გარნეტის** სხვა კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით. როგორც იცით, დრაფტის დღეს, "მინესოტამ" თავისი სუპერვარსკვლავისა და ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშის გაცვლა ვერ შეძლო, თუმცა ქეი ჯის მსურველები დღესაც ბლომად ჰყავს.

ESPN-მა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის თემაც გარნეტი და მისი მომავალი გუნდი იყო.

კითხვაზე, თუ რამდენად სწორია გარნეტის "მინესოტიდან" წასვლა, 58 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, 42-მა კი უარყოფითი.

კევინისთვის იდეალურ გუნდებში პირველი ადგილი 41 პროცენტით "ჩიკაგო ბულზმა" დაიკავა, მეორე-მესამე პოზიციები კი "მინესოტამ" (22) და "ლეიკერსმა" (15) დაიკავეს.

გახდება თუ არა "მინესოტა" უგარნეტოდ უკეთესი გუნდი? იმაში, რომ კევინის გარეშე "მგლები" რეგრესს განიცდიან, 62 პროცენტია დარწმუნებული.

მოახერხებს თუ არა გარნეტი ჩემპიონობის მოპოვებას? 53 პროცენტი მიიჩნევს, რომ კევინი კარიერას მინიმუმ ერთი ჩემპიონობით მაინც დაასრულებს.

და სად გახდება იგი ჩემპიონი? 52 პროცენტის აზრით, ეს გუნდი "ბულზია", მეორე ადგილი კი "ლეიკერსმა" (20) დაიკავა.

შედის თუ არა გარნეტი ყველა დროის 5 საუკეთესო მძიმე ფორვარდის სიაში? კევინი ამ ელიტური სიის ბევრად მხოლოდ 23 პროცენტმა მიიჩნია, რაც ნამდვილად ახლოსაა სიმართლესთან.

"ჩემზე ზედმეტად ბევრს საუბრობენ. არ მოგბეზრდათ? აი, თუ "მინესოტაში" დავრჩი, მერე წერეთ, რამდენიც გსურთ, მაგრამ არარსებულზე ამდენის წერა უაზრობაა. ყველამ ჩვენი საქმე მაღალ დონეზე უნდა გავაკეთოთ", - მიაჩნია კევინს, რომელსაც 2 დღის წინ, მინეაპოლისში გოლფკლუბის გახსნაზე **ჯერმეინ ონილი, დონიელ მარშალი, ჯუმეინ ჯოუნსი** და **ტროი ჰადსონი** ეწვივნენ.

ტურ დე ფრანსი

ᲐᲚᲞᲣᲠᲘ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲘ

გასულ უქმეებზე ტურ დე ფრანსის მონაწილეებმა ორი სამთო ეტაპი გაიარეს და ორივე შემთხვევაში, ლიდერის ყვითელ მაისურას ახალი პატრონი გამოუჩნდა. ჯერ იყო და, შვეიცარიელ **ფაბიან კანჩელარას** ის გერმანელმა **ლინუს გერდემანმა** ჩამოართვა, გუშინ კი ლიდერობა დანიელმა **მიქაელ რასმუსენმა** გადაიბარა.

ამ ორიდან რასმუსენი ველოსპორტის მოყვარულებისთვის კარგადაა ცნობილი - დანიელი ხომ თავის დროზე, სამთო ეტაპებზე თვით **ლენს არმსტრონგსაც** კი უწევდა კონკურენციას და წინა ორ ტურზე სამთო მრბოლის კოპლებიანი მაისურა აქვს მოგებული. სამაგიეროდ, 24 წლის გერმანელის შესახებ, მეშვიდე ეტაპამდე მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ამ სეზონში მან შვეიცარიის ტურის ერთი ეტაპის მოგება შეძლო.

გერდემანი, ვინც ტურზე პირველად ასპარეზობს, იმ 15 ველომრბოლს შორის იყო, რომლებმაც პელოტონის ჩამოტოვება შეძლეს. მალე, მესამე კატეგორიის აღმართ კოტ დე კორლიეს შემდეგ, მათმა უპირატესობამ 8 წუთსა 30 წამს მიაღწია. ამის შემდეგ, პელოტონშიც იკადრეს ფეხის აჩქარება და პირველი კატეგორიის აღმართ კოლ დე ლა კოლომბიერეს დასაწყისში, დაწინაურებულთა უპირატესობა განახევრდა.

პარალელურად, ძირითად ჯგუფს ჩამორჩნენ კანჩელარა, "დისქავერის" ამერიკელი ლიდერი **ჯორჯ ჰინკეიპი** და მწვანე მაისურის ბელგიელი მფლობელი **ტომ ბონენი**. თავის მხრივ კი, მოწინავეები გერდემანმა და ყაზახმა **დმიტრი ფოფონოვმა** ჩამოიტოვეს. ფინიშამდე ოცი კილომეტრი რომ რჩებოდა, გერმანელმა ყაზახიც უკან ჩამოიტოვა. ფოფონოვი მალე დაიღალა და მას ბევრმა გაასწრო, გერდემანმა კი ბოლომდე მაღალი ტემპი შეინარჩუნა და ფინიშთან 40 წამით მიასწრო მეორეზე გასულ ესპანელ **ინიგო ლანდალუსს**.

"წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ ტურის ეტაპი მოვიგე. ვიცოდით, რომ ძალიან ძნელი ეტაპი გვქონდა გასავლელი. რა თქმა უნდა, მთელი გუნდი ლიდერზე მუშაობდა, მაგრამ შემდეგ გავაცნობიერე, რომ დაწინაურება შემეძლო და შანსი ხელიდან არ გამიშვია. ყველაზე ძნელი ბოლო სამასი მეტრი იყო. ფეხები ისე დამიმძიმდა, სატერფულებს ძლივსღა ვატრიალებდი", - განაცხადა გერდემანმა.

ფინიშს პელოტონთან ერთად უწიეს ტურის ფავორიტებმა, გერმანელმა **ანდრეას კლოდენმა** და ყაზახმა **ალექსანდრ ვინოკუროვმა**. ამ ორმა წინა ეტაპზე საკმაოდ სერიოზული ტრავმები მიიღო და ამჯერად მათ გეგმებში არც შედიოდა თავის გამოჩენა. უფრო მეტიც, ვინოკუროვი იმითაც კმაყოფილი დარჩა, რომ ტრავმა არ გაუმიზეზდა.

გუშინაც სამთო ეტაპი იყო. თანაც, ველომრბოლებს პირველი კატეგორიის სამი აღმართის გავლა მოუხდათ და ფინიშიც, ბოლო აღმართის პიკიდან ორი კილომეტრის შემდეგ ჰქონდათ. ასეთ გზებზე რასმუსენი თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. და მანაც შეუტია. თანაც, ეულად და სოლიდური უპირატესობაც ბოლომდე შეინარჩუნა. მასთან ორი წუთი და 47 წამი წააგო მთის კიდევ ერთმა სპეციალისტმა, ესპანელმა **იბან მაიომ**, მესამეზე კი კიდევ ერთი ესპანელი, **ალეხანდრო ვალვერდე** გავიდა.

ბოლო აღმართზე ძალიან გაუჭირდა ვინოკუროვს, ვინც საბოლოოდ, რასმუსენს 4 წუთითა და 29 წამით ჩამორჩა. უფრო მეტიც, ყაზახ ველომრბოლს ბოლო სამ კილომეტრზე კლოდენი რომ არ შეშველებოდა, ალბათ ჩამორჩენა კიდევ უფრო სოლიდური იქნებოდა. თავის გამოჩენა უნდოდა ფრანგ **კრისტოფ მოროს**, ვინც როგორც წესი, ბასტილიის დღეს აქტიურობს ხოლმე. მან რვაჯერ სცადა დაწინაურება, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მისი აქტიურობა მეტოქეებმა აღკვეთეს.

გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ასპარეზობას ორი ძლიერი ველომრბოლი გამოეთიშა - ერთ-ერთ დაღმართზე დაეცა და დამცავ ზღუდეს შეასკდა "ტე-მობილის" ავსტრალიელი ლიდერი **მაიკლ როჯერსი**. მასთან ერთად, ინციდენტში ესპანელი **დავიდ არაოიოც** მოყვა, მაგრამ ეს ზღუდეს გადააფრინდა და გზისპირა ფერდობზე ჩავარდა. გზის გაგრძელება ორივემ შეძლო, მაგრამ თუ არაოიო სერიოზულ ტრავმას გადაურჩა, როჯერსმა ცოტა ხანში (ფინიშამდე 29 კილომეტრით ადრე) შეწყვიტა ასპარეზობა. გუშინვე, ტურის მიტოვება მოუხდა კიდევ ერთ ავსტრალიელს - **სტიუარტ ო'გრეიდის**, ვინც როჯერსის ინციდენტამდე დაეცა და წელი დაიზიანა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲒᲣᲨᲠᲣ ᲔᲜ ᲑᲠᲔᲡᲘᲓᲐᲜ ᲑᲠᲐᲜ ᲑᲝᲠᲜᲐᲜᲐᲛᲓᲔ (197.5 ᲙᲛ)

1. ლინუს გერდემანი (გერმანია, ტე-მობილი) 4:53.13 (40.41 კმ/სთ); 2. ინიგო ლანდალუს ინჩაურაგა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.40; 3. დავიდ დე ლა ფუენტე რასილა (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 1.39; 4. მაურისიო სოლერი (კოლუმბია, ბორლოუორლდი) 2.14; 5. ლორან ლეფევერი (საფრანგეთი, ბუჟე ტელეკომი) 2.21; 6. ფაბიან კეგმანი (გერმანია, გეროლშტაინერი) 3.32; 7. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, ქვიესტეპინერგეტიკი) 3.38; 8. ხავიერ ფლორენსიო კაბრე (ესპანეთი, ბუჟე ტელეკომი) 3.38; 9. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2r პრევოიანსი) 3.38; 10. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 3.38...

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲒᲠᲐᲜ ᲑᲝᲠᲜᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲢᲘᲜᲘᲔᲛᲓᲔ (165 ᲙᲛ)

1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 4:49.40 (34.18 კმ/სთ); 2. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 2.47; 3. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 3.12; 4. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2r პრევოიანსი) 3.13; 5. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 3.13; 6. კეიდელ ეევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 3.13; 7. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) 3.13; 8. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 3.31; 9. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 3.35; 10. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.35...

ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲠᲕᲐ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 15:37.42; 2. ლინუს გერდემანი (გერმანია, ტე-მობილი) 0.43; 3. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 2.39; 4. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 2.51; 5. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) 2.52; 6. კეიდელ ეევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.53; 7. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2r პრევოიანსი) 3.06; 8. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 3.10; 9. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 3.14; 10. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 3.19...

მიქაელ რასმუსენი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲡᲪᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲞᲐᲗᲐ ᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲑᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲪᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲞᲐᲗᲐ ᲗᲝᲗᲝᲗᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ
ᲑᲘᲐ ᲩᲣᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲩᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲚ ᲯᲐᲜᲒᲐᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲪᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ
ᲑᲝᲗᲝᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲮᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲩᲠᲘᲐᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲒᲠᲔᲯᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲩᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲟᲔᲚᲘᲫᲔ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲙᲝᲗᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲐᲠᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲪᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲒᲔᲩᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲑᲐ ᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐ
ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ), ᲒᲘᲪᲘ ᲕᲔᲨᲐ�პᲘᲫᲔ, ᲫᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲒᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48)
ᲑᲐᲫᲐᲠ ᲑᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17)
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔ

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: ᲨᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10³,
0159 თბილისი
(ᲓᲘᲚᲝᲕᲘ, ᲐᲮ. ᲙᲘᲜᲝᲗᲐᲢᲠᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲘᲠᲘᲡᲐ

ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲚᲔ

ᲛᲔᲛᲤᲘᲡᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲠᲐᲜ-ᲞᲠᲘ

ᲧᲔᲢᲐᲞᲘ

125 ᲙᲣᲒ.ᲡᲛ (27 ᲬᲠᲔ - 99.117 ᲙᲛ)

1. **ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - 39:30.802; 2. **კოიამა** (იაპონია, KTM) - +3.532; 3. **ფაუბელი** (ესპანეთი, "აპრილია") - +3.610; 4. **კორსი** (იტალია, "აპრილია") - +4.444; 5. **კრუშენახერი** (შვეიცარია, KTM) - +11.851.

საერთო ჩათვლა: 1. **ტალმაში** - 156 ქულა; 2. **ფაუბელი** - 154; 3. **კოიამა** - 118; 4. **პეშეკი** (ჩეხეთი, "დერბი") - 113; 5. **კორსი** - 110.

250 ᲙᲣᲒ.ᲡᲛ (29 ᲬᲠᲔ - 106.459 ᲙᲛ)

1. **პიროში** აიომა (იაპონია, KTM) - 41:16.191; 2. **კალიო** (ფინეთი, KTM) - +0.119; 3. **დე ანჯელისი** (სან მარინო, "აპრილია") - +0.274; 4. **ლორენსო** (ესპანეთი, "აპრილია") - +0.579; ; 5. **დოვიციოზო** (იტალია, "ჰონდა") - +1.296.

საერთო ჩათვლა: 1. **ლორენსო** - 191 ქულა; 2. **დე ანჯელისი** - 171; 3. **დოვიციოზო** - 166; 4. **ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - 116; 5. **ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - 90.

ᲛᲝᲢᲝᲠᲒᲠᲐᲜᲐᲠᲘ (26 ᲬᲠᲔ - 118.430 ᲙᲛ)

1. **პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - 41:53.196; 2. **კაპიროსი** (იტალია, "დუკატი") - +13.166; 3. **ჰეიდენი** (აშშ, "ჰონდა") - +16.771; 4. **ედვარდსი** (აშშ, "იამაჰა") - +18.299; 5. **სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - +31.424.

საერთო ჩათვლა: 1. **სტოუნერი** - 196 ქულა; 2. **როსი** (იტალია, "იამაჰა") - 164; 3. **პედროსა** - 144; 4. **პოპკინსი** (ბრიტანეთი, "სუძუკი") - 103; 5. **მელანდრი** (იტალია, "ჰონდა") - 97.